ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 21 თებერვალი 1998 №25 (560) ფასი 50 თეთრი


# იყიდება! ქინქლაძე იყიდება!

## რიგში დგანან: ლივერპული, ევერტონი, ტოტენჰემი

„მანჩესტერ სიტიში" დიდი გარდაქმნებია. ბოლო ხანს ამ გუნდში რომ ამბები ტრიალებს, ცხადია, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება.

ამას „სიტის" ერთგული ქომაგები ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ და კლუბის დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარის ფრენსის ლის გადაყენებას მოითხოვენ.

გუშინწინ საბჭოც შეიკრიბა, რომელზეც წყალშემდგარმა ლიმ პოზიციები კი დათმო, მაგრამ თავმჯდომარეობა მაინც შეინარჩუნა. ეგაა, ფრენსის ლის გარკვეული უფლებები ჩამოართვეს.

რა ბედი ეწევა ლის, ეს ჩვენთვის იქნებ დიდად საწუხარიც არ იყოს, მაგრამ რა ელის ქინქლაძეს, შელიას და ცხადაძეს?

გუშინწინდელ კრებაზევე თავისი გეგმები გათქვა გუნდის ახალმა მწვრთნელმა ჯო როილმ, რომელმაც ორწელიწადნახევრით დაუკავშირა თავისი ბედი „სიტის".

როილიმ ის სანუკვარი სიტყვები ამოთქვა, რასაც ქინქლაძის ბედით დაინტერესებულნი კარგა ხანია ელიან — ქართველი ვარსკვლავი ჩემს შორეულ გეგმებში არ შედისო.

როილის თქმით, ქინქლაძის გაყიდვა უკვე გადაწყვეტილია, რადგან მან შობამდეც ითხოვა წასვლა და ლისგან პირობაც მიიღო.

ითქვა ისიც, რომ ქინქლაძით დაინტერესებულ კლუბს 7 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს.

როილის ქინქლაძის კლასი ეჭვქვეშ არ დაუყენებია, მაგრამ განაცხადა, მე გამოკვეთილად 4-4-2-ით თამაშს ვაპირებ და ამ სქემაში ქინქლაძე ვერაფრით ჩაჯდება, რადგან თავად ორ თავდამსხმელს უკან გამწესებულს ურჩევნია თამაშიო.



აშკარა — დაუჯერებელი: გიო სიტის ეყრება!

როილი თურმე კიდევ რამდენიმე მოთამაშის დათხოვნას აპირებს, ოღონდ მათი ვინაობა ჯერ არ დაუკონკრეტებია. ამას წერდა ყველა გუშინდელი ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფის" გარდა.

გაზეთები იმასაც იუწყებიან, რომ უკვე გამოჩნდენ ის კლუბები, რომლებიც ქინქლაძის ყიდვით არიან დაინტერესებულნი.

პირველი კანდიდატი, ვინც ქინქლაძის გადაბირებას აპირებს, „ლივერპულია". გიოს შეძენას პრემიერლიგის აუტსაიდერები „ევერტონი" და „ტოტენჰემიც" შეეცდებიან. ამათ გარდა გიოთი კიდევ რამდენიმე არაბრიტანული კლუბიცაა დაინტერესებული, მაგრამ მათ ვინაობას არ ამხელენ.

მოკლედ, როილის სიტყვაზე თუ ვენდობით, „სიტის" გიოს გაყიდვა უკვე გადაუწყვეტია, მაგრამ როდის გააკეთებს ამას, მარტშივე თუ მოგვიანებით, მალე გამოჩნდება.

**დავით მჭედლიშვილი**
**ლონდონიდან**

# ჰაშეკი — ბურე

## ხვალ: რუსული რაკეტა თუ დომინატორი?





გუშინდელი ნახევარფინალური მატჩების გმირები: დომინიკ ჰაშეკი (მარცხნივ) და პაველ ბურე

ასეთ ფინალს ნამდვილად არავინ ელოდა. ქებათა-ქება ჩეხებს. მათ შეუძლებელი შეძლეს და ორი ფავორიტი — აშშ და კანადა პლეი-ოფიდან გააგდეს. არადა, ოკეანისგაღმელ ქომაგებს ოლიმპიური ტურნირი ჩრდილოამერიკული დაპირისპირების მორიგ ეტაპად ესახებოდათ. ასე არ მოხდა, სამაგიეროდ, ძველი თაობის გულშემატკივრები დარჩებოდნენ კმაყოფილნი — ისინი ხომ 60-70-იანი წლების დიდი ქიშპობის გამეორების მომსწრენი გახდებიან. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატების ბედი სწორედ რუსებისა და ჩეხების ორთაბრძოლაში წყდებოდა და საბჭოელები „მეგობარ მეტოქეს" (ასე უწოდებდნენ ჩეხებს რუსი ჟურნალისტები) არაერთხელ გაუმწარებია. მომდევნო წლებში, განსაკუთრებით სოციალიზმის გადავარდნის შემდეგ, ამ პაექრობას სიმწვავე დააკლდა და ახლა მით უფრო საინტერესოა, როგორ განახლდება ეს დაპირისპირება. წინასწარ რაიმეს თქმა მეტად ძნელია. ჩეხების სასარგებლოდ მეტყველებს მათი ორგანიზებული, დალაგებული თამაში, სადაც ყველა ჰოკეისტმა იცის თავისი საქმე. ამას დაუმატეთ ორი სუპერვარსკვლავი — დომინიკ ჰაშეკი და იარომირ იაგრი. რაღა ითქმის რუსებზე? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათ ბოლომდე არ გამოუვლენიათ თავიანთი პოტენციალი, თითქოს შეთამაშებაც აკლიათ. ერთიც არის — შტალენკოვი კარგი მეკარეა, მაგრამ ჰაშეკი არ გახლავთ. თუმცა, ბურე ნამდვილად შეუდარებელია და მომავალ ფინალსაც ტყუილად როდი უწოდებენ ბურე — ჰაშეკის დუელს. ასეა თუ ისე, უდიდესი სანახაობა გველის, მით უმეტეს, რომ ჩეხებს ოლიმპიური ოქრო არასოდეს მოუპოვებიათ, რუსებს კი 1993 წლიდან არც ერთი ჯილდო არ მოუგიათ.

## რაღა დარჩა?

მთავრდება ზამთრის XVIII ოლიმპიადა. დღეს კიდევ ექვსი ჩემპიონი გამოვლინდება (საქართველოსა და იაპონიას შორის დროის დიდი სხვაობის გამო ნაწილი უკვე გამოვლინდებოდა), ხვალ ბოლო ორიც, მერე კი თამაშები საზეიმოდ დაიხურება.

ყველა ოლიმპიადას ჰყავს გმირი თუ გმირები. ამჟამინდელზე ეს წოდება თამამად შეიძლება მიენიჭოს ნორვეგიელ ბარად მოთხილამურე ბიორნ დელის, უფრო კი ავსტრიელ მთად მოთხილამურე ჰერმან მაიერს. თუ დელი დიდ სპორტში კარგა ხანია, მაიერი წელიწადნახევარიც ვერაა, რაც ელიტაშია, მაგრამ ისეთ შედეგებს მიაღწია, რომ მსოფლიოს სპორტული მედია სულ მასზე საუბრობს და წერს.



ტარა ლიპინსკი ფიგურულ სრიალში ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი ქალია, რომელმაც გუშინ ნაგანოს ოქრო 15 წლისამ მოიპოვა. ლიპინსკიმ მცირედით აჯობა 17 წლის ამერიკელ მეტოქეს მიშელ კვანს, რომელიც აწ უკვე ოლიმპიურმა ჩემპიონმა შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზეც ჩამოიტოვა.

ლიპინსკიმ მსაჯთაგან უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა ტექნიკაშიც და არტისტულობაშიც, კვანი კი გამარჯვებულს არტისტიზმში ჩამორჩა.

ლიპინსკიმდე ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი ნორვეგიელი სონია ჰენი იყო, ვინაც ოქრო 1923 წელს თხუთმეტნახევარი წლისამ მოიგო.

# ჰერმანის დუბლი და ალბერტოს დაცემა

**მთის თხილამურობა**

„ჰერმინატორმა“ თავისი მაინც გაიტანა. ახლა გერლფრენდ პეტრას ამერიკის წყნაროკეანურ სამფლობელო გუამზე წაიყვანს, გასა-



ზორბა მაიერს სრიალის ფრიად აგრესიული სტილი აქვს

რუჯ საცხსაც ბლომად გაიყოლებს, იქაურ პლაჟებზე ნაგანოში გაყინულსა და დაჩეჩქვილ სხეულს გაითბობს და გაემზადება 28 თებერვლისთვის. ამ დღეს იონ-პიონში (სამხრეთ კორეა) მსოფლიოს თასის პირველი, ოლიმპიადის შემდგომი ეტაპია, „ჰერმინატორი“ კი შეჯიბრს ერთბაშად სამ კატეგორიაში ლიდერობს.

პეტრა საბავშვო ბაღში გადიად მუშაობს, შინ, საღამოობით კი მოთმინებით ადევნებს თვალს ერთსა და იმავე სურათს: ბოი-ფრენდი მთის თხილამურობის გრანდთა ასპარეზობას ვიდეოთი უთვალავჯერ „ახლოით განიჩხრიკავს“, შენიშნულს შეითვისებს და ქალისთვის მერეღა მოიცლის.

ნაგანოშიც ასე ყოფილა. პეტრა თან ახლდა სატრფოს. მას მხარს თანასოფლელებიც უმშვენებდნენ. ავსტრიის დაბა ფლახაუს დელეგაცია იაპონიაშიც გაყვა თხილამურობის ახალ ზე-ვარსკვლავ **ჰერმან მაიერს**.

კერპმაც არ დაალალატა თავისიანები. უმაგალითო გმირობაც შეიძლო. ოლიმპიადის 25 წლის ახალბედა წინა პარასკევის დაშვებისას საზარლად დაეცა: იფრინა, მალაყები გააკეთა, დამცავ ბადეებში გაიხლართა, მაგრამ როდი დაშინდა. ერთი ეგ იყო, რომ ვიდეოზე საკუთარ მარცხს აღარ უყურა.

მერე იყო ორშაბათი და ჰერმანის მკვდრეთით აღდგომა. კაცმა, წელიწადნახევრის წინ რომ შეეშვა კალატოზობას, სუპერ-გიგანტი მოიგო, რაც რომ არა პარასკევის ფათერაკი, გასაკვირი არც იქნებოდა, რადგან „ჰერმინატორს“ ამ სეზონში მსოფლიო თასზე ოთხიდან ოთხ სუპერ-გიგანტში უმარჯვია.

ხუთშაბათს ჰერმანმა დუბლი გაასრულა. გადასარევ მზიან დარში ჩვეულად აგრესიულად ჩაიგიგანტურსლალომა და მეორე ადგილზე მოტოვებულ თანაგუნდელ ებერჰარტერს ერთბაშად 85 მეასედით აჯობა. მისი ასპარეზობის შემხედვარე ავსტრიელთა თავკაცმა ვერნერ მარგრაიტერმა შენიშნა, ბიჭი კარიდან კარამდე ფრინავდაო.

პეტრა ამბობს, თუმც ჰერმანი უკვე ზე-ვარსკვლავია, მაინც მოკრძალებულ ბიჭად რჩებაო. აბა, სხვას რას უნდა ელოდე სპორტსმენისგან, ვინაც დიდ სპორტში იმით მოსულა, რომ სნოუბორდისტი ძმაკაცის გამონაცვალი ტანისამოსით ტრასის მეკვლედ ჩაუსრიალია და მწვრთნელებისთვის თავი შეუხსენებია, ახლა კი წამდაუწუმ იმეორებს, ჰერმინატორი და ურჩხული კი არა ვარ, არამედ ოდენ კაცი-მაიერიო.

ორი ოქროს მოხვეჭა ჰერმანისთვის, მისივე თქმით, მეორედ დაბადება ყოფილა. იგივე ვერ ითქმის ჭირვეულ იტალიელ ალბერტო ტომბაზე. გიგანტურ სლალომს მან სულ რაღაც 18 წამს გაუძლო: მერვე კარს მარცხენა თხილამური გამოდო, წაიქცა, გავით დავარდა, ბადეში გაეხვია და წაიხუმრა, მაიერს ამით არ ჩამოვრჩიო.

ტომბას იაპონიაში უამრავი ქომაგი ყავს. იქ მისი ფან-კლუბიც მოქმედებს. ნაგანოში ბრძანდება ალბერტოს ერთგული ქომაგი, სომბრეროსანი ლორის რიგი და დაი ალეზიაც.

ტრასა ხიფათიანი იყო. კარებთან მოეყინა, მათ შორის კი ფაფუკი თოვლი დაედო. ამას „ლა ბომბასთვის“ სხვებზე მეტად აბა რად უნდა შეეშალა ხელი, მაგრამ მისი წილხვედრი იაპონური ნავსიანობის ამბავი ხომ მოგეხსენებათ და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ახლა თურმე იმას ნატრულობს, უკვე კვირა დღე იდგეს და ყველაფერი ჩათავებულიყოს, რადგან ჩემი ვიცი და ამ ქვეყანაში ხეირს ვერ ვეწევიო.

ცნობად: ტომბა 1993 წლის მსოფლიო პირველობაზე მორიოკაში (იაპონია) რომ გაიმართა, სლალომის პირველსავე ცდაზე დაეცა, გიგანტურ სლალომში კი მოწამვლის გამო აღარც ჩაება.

**ირაკლი ნინუა**



ტომბამ ისევ მოადინა ზღართანი

# და მაინც დებორა

**ბოლო** ორი დღეა, 27 წლის იტალიელ დებორა კომპანიონი სტატისტიკოსთა მთავარი სალაპარაკო თემაა.

ხუთშაბათს ქალმა ერთბაშად ორი უნიკალური რეკორდი გაუშვა ხელიდან: სლალომი რომ მოეგო, შეიქნებოდა ზედიზედ სამი თამაშების ჩემპიონი პირველი მთად მოთხილამურე და პირველი ქალიც, სამი სხვადასხვა დისციპლინის ჩემპიონი. კომპანიონის 1992 წელს ალბერვილში ხომ სუპერ-გიგანტი მოუგია, 1994 წელს ლილეჰამერში კი — გიგანტური სლალომი.

პარასკევს დებორამ დანაკლისი გიგანტურ სლალომში დიდი სხვაობით, მაგრამ სანახევროდღა აინაზღაურა — ზედიზედ სამ ოლიმპიადაზე გამარჯვებას დაჯერდა, წინადღით კი იგი ზედმეტმა სიფრთხილემ დაალალატა.

სლალომის ტრასა იაპონელებს გერმანელმა ვოლფგანგ გრასლმა დაუპროექტათ. მასზე ციცაბო ასპარეზი მსოფლიოში ამჯერად არსადაა. ამას ისიც დაერთო, რომ თოვლი დასველდა და გასლიპინდა, რის გამოც I ცდა 19 მონაწილემ ვერ დაასრულა, II კი კიდევ ათმა.

კომპანიონი I ცდის შემდეგ 60 მეასედს უგებდა გერმანელ ჰილდე გერგს, მაგრამ II-ზე ფიქრებში გაერთო, რადგან მედალი თურმე მეტისმეტად სურდა.

სხვაგვარად განსაჯა გერგმა. თხა თხაზე ნაკლები მგელს შეუჭამიაო და „ველურმა ჰილდემ“ თავი არ დაზოგა. ერთგან კინაღამ ტრასიდანაც გავარდა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს 6 მეასედი მაინც მოუგო იტალიელს, ვისაც II ცდაზე მეხუთე შედეგი აღმოაჩნდა.

22 წლის გერგი მარტოხელაა. უყვარს კითხვა, ჩოგბურთი, სამზარეულოში ტრიალი და მხარ-თეძოზე წოლა. მისგან განსხვავებით სლალომის ბრინჯაოს პრიზიორი, ავსტრალიელი (!) ზალი სტეგალი ნაღდი გიჟმაჟია. სიდნეიში დაბადებული გოგო საფრანგეთის მთიანეთში გაზრდილა, ოჯახის ავსტრალიაში მიბრუნების შემდეგ კი ევროპას ხშირ-ხშირად ჩადის; ავსტრიაში დამკვიდრებულა და იქ ვინდსერფინგსა და კროსსაც არ იკლებს. აღარას ვამბობთ მთის თხილამურობაზე, რაშიც ზალიმ ისე გაუტია, რომ ნოემბერში პარკ-სიტის (იუტა, აშშ) მსოფლიო თასის სლალომიც მოიგო, ნაგანოში კი ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში ოდენ მეორე ავსტრალიელი მედალოსანი შეიქნა.

კვლავ დაეცა შარშანდელი ფავორიტი, აწკი საყვარლისგან მიტოვებული შვედი პერნილა ვიბერგი. ქალმა სამშაბათს კომბინაციის სლალომი ვერ ჩაამთავრა, ხუთშაბათს — საჩემპიონოც.

**გუშინ** კომპანიონის აღარ გაუფლანგავს I ცდის შემდგომი უპირატესობა: ფრანგ ლეფრანკს 94 მეასედს უგებდა, მაგრამ II ცდაზე თამამად ჩაინავარდა და კვლავ საუკეთესო შედეგი გაახრეხა. სუპერ-გიგანტის ბრინჯაოს პრიზიორმა, ავსტრიელმა მაისნიცერმაც გამოიღო ხელი და ამჯერად ვერცხლი დაითრია, რის გამოც შენიშნა, მოხარული ვარ, რომ დებორამ გაიმარჯვა და სამგზის ჩემპიონი შეიქნა, მე კი ვერცხლიც მაკმაყოფილებსო.

გაწვიმებას რომ აპირებდა, ორგანიზატორებმა იაზრეს და II ცდა 45 წუთით ადრე დაიწყეს. სხვაფრივ, ძნელი გამოსაცნობი იყო, თუ როგორ ამინდს დაიჭერდა დღეს გამთენიისას. ამ დროისთვის მთის თხილამურობის მშვენება, ვაჟთა სლალომია დანიშნული. ცოდვაა ამ სტარტის გადადება. რაც უნდა იყოს, ალბერტო ტომბა ოლიმპიადაზე უკანასკნელად ჩამოსრიალდება.

**ირაკლი ნინუა**



კომპანიონი (მარცხნივ) და მაისნიცერი დობილები არიან

**შორტ-ტრეკი**

# ოქროს პერო

კანადელმა ანი პერომ ქალთა 500 მეტრიანი შორტ-ტრეკის ოქრო მოიგო. ეს მით უფრო საკვირველი და საქებარია, რომ ამ გოგომ ხუთი თვეც არაა, რაც ორივე ფეხზე გაიკეთა ოპერაცია და ქრონიკულ ტრავმებს უწამლა. არადა, ტრავმებმა და ოჯახურმა სირთულეებმა დიდად დააზარალა მისი სასრიალო კარიერა. ბოლო დროს პერო მსოფლიო კლასიფიკაციაშიც კი არ იყო შეყვანილი.



იან იანგი, პერო (შუა), ჩუნ ლიკუნგი

მისი გამარჯვება ხმაურიანი იყო, გამორჩევით კი იმიტომ, რომ ამ 500-მეტრიანი გარბენების დროს მისი თანაგუნდელი იზაბელ შარესი, რომელიც უპირველეს ფავორიტად მიიჩნეოდა, ასევე ფავორიტ ჩინელს ვანგ ჩუნლუს შეასკდა და ორივენი ტრეკს გარეთ აღმოჩნდნენ. შარესი, როგორც ავარიაში დამნაშავე, შეჯიბრიდან მოიხსნა, ვანგი კი უმედლოდ დარჩა. სამაგიეროდ, ვერცხლი მისმა თანაგუნდელმა იანგ იანგმა მოიგო, რომელმაც აღნიშნა, ვერცხლი ჩემზე მეტად ვანგს ეკუთვნოდა, მაგრამ რას იზამ, ძალიან ეწყინა და სრიალი აღარ გააგრძელაო. მესამე ადგილი კი კორეელ ჩუნ ლიკუნგს ხვდა.

# გერმანელებმა და რუსებმა სროლა იციან

**ბიათლონი**

ნოზავა ონსენში ბიათლონის ქალთა ამანათრბენი გაიმართა, 4X7,5 კილომეტრზე. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ჭიდილი სამ დიდ ბობოლას — რუსეთს, გერმანიასა და ნორვეგიას შორის გაჩაღდებოდა. რუსები მსოფლიო თასის ლიდერები გახლდნენ და ამიტომაც უპირველეს ფავორიტებად აღიქმებოდნენ. გერმანელებს კი გულში ამოეჭრათ — უეჭველად უნდა მოვიგოთო. მათ ურსულა დიზლს, 7,5 კილომეტრიანი სპრინტის ოსტატს დააწყებინეს, აქაოდა, ადრიდანვე დავწინაურდეთო, მაგრამ დიზლი მესამე იყო. მისმა მომდევნომ, მარტინა ცელნერმა განსხვავება შეამცირა და მეორე გახდა, რბოლის გარდატეხა კი მესამე ნომერ კატრინ აპელის წყალობით მოხდა. ეს უკანასკნელი ლიდერად იქცა, დამამთავრებელმა პეტრა ბელემ კი სხვაობა შეინარჩუნა და გერმანიამ აუცდენელი სროლებით, 1 საათში, 40 წუთსა და 13,6 წამში მოიგო ოქრო.

აცდენით არც რუსებს აუცდენიათ, მაგრამ მათმა მესამე ნომერმა ალბინა ახატოვამ აპელთან ჭიდაობას ვერ გაუძლო და საბოლოოდ რუსები მეორეზე დარჩნენ, რაც გუნდის ლიდერმა გალინა კუკლევამ გვარიან წარმატებად ჩათვალა. მესამენი კი ნორვეგიელები იყვნენ ორი აცდენილი ტყვიით და, შესაბამისად, უარესი დროით.

# ბობსლეიში ბრიტანელი იქაჩება

**ბობსლეი**

შონ ოლსონმა ეგებ ერთგვარი სიხარული განაცდევინოს უმედლო ბრიტანეთის გუნდს — მან ხომ მეორე დრო უჩვენა გუშინ გამართულ ოთხკაციან ბობთა შეჯიბრში. პირველი გერმანელი კრისტოფ ლანგენის ეკიპაჟი იყო, მესამე შვეიცარიელ კრისტიან რაიხისა. ოთხკაცათა შეჯიბრი ოთხ გასრიალებად ტარდება. ორი გუშინ უნდა გამართულიყო, ორიც დღეს, მაგრამ გუშინ წვიმა წამოვიდა და მეორე ცდის ჩატარება ველარ მოხერხდა, დღეს კი სამივე უნდა გაიმართოს. ოლსონი იქაჩება, ჩემმა ეკიპაჟმა ბრიტანეთი უნდა ასახელოსო.



შვეიცარიის მეორე ეკიპაჟი

**ანონსი**

**დღეს, შაბათს**

❄ მთის თხილამურობის შეჯიბრთა შეჯიბრი — ვაჟთა სლალომია. იტალიელი ტომბა უკანასკნელად ისრიალებს

❄ ფიგურისტები მაყურებელს სამადლობელ სეირს უძღვნიან

❄ შორტ-ტრეკში ბოლო სამი ჩემპიონი გამოვლინდება: ქალები 1000 მეტრზე ირბენენ, ვაჟები კი 500-ზე და ამანათრბენსაც გამართავენ 5000-ზე

❄ ჰოკეიში III ადგილის გამოსავლენი მატჩია

❄ ოთხადგილა ბობებით მოგრიალენი სამჯერაც დაეშვებიან და ჩემპიონს გამოავლენენ

❄ ბიათლონისტი ვაჟები ამანათრბენში ჩაებმებიან

**ხვალ, კვირას**

❄ ჩვენებურად გამთენიის 5 საათზე ბარის მოთხილამურეთა შეჯიბრთა შეჯიბრია — ვაჟები თავისუფალი სტილით შეუყვებიან 50 კილომეტრს

❄ 09:45 საათზე ვაჟ ჰოკეისტთა საჩემპიონო ფინალი დაიწყება

❄ ხოლო 14 საათზე ოლიმპიადის დახურვის საზეიმო ცერემონიალი გაჩაღდება

**ქვეყნების მონაგარი**

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| გერმანია | 10 | 9 | 8 |
| რუსეთი | 9 | 5 | 2 |
| ნორვეგია | 8 | 8 | 5 |
| აშშ | 6 | 3 | 4 |
| კანადა | 5 | 5 | 4 |
| ჰოლანდია | 5 | 4 | 2 |
| იაპონია | 4 | 1 | 3 |
| ავსტრია | 3 | 5 | 7 |
| იტალია | 2 | 6 | 2 |
| ფინეთი | 2 | 4 | 5 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 4 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 3 |
| კორეა | 2 | 0 | 1 |
| ჩინეთი | 0 | 4 | 1 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 |
| ჩეხეთი | 0 | 1 | 1 |
| შვედეთი | 0 | 1 | 1 |
| დანია | 0 | 1 | 0 |
| უკრაინა | 0 | 1 | 0 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 2 |
| ყაზახეთი | 0 | 0 | 2 |
| ავსტრალია | 0 | 0 | 1 |
| ბელგია | 0 | 0 | 1 |

## კვარცხლბეკი

### მედალოსნები და სხვებიც

#### მთის თხილამურობა

ვაჟები. გიგანტური სლალომი. 19 თებერვალი

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 2 წუთი. 38,51 წამი (I ცდა 1.20,36 - II ცდა 1.18,15); 2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 2.39,36 (1.20,94 - 1.18,42); 3. მიხაელ ფონგრენიგენი (შვეიცარია) 2.39,69 (1.20,98 - 1.18,71); 4. ჰანს ნაუსი (ავსტრია) 2.39,71; 5. იურე კოშირი (სლოვენია) ,98; 6. სტივ ლოხერი (შვეიცარია) .40,30; 7. პაულ აკოლა (შვეიცარია) ,57; 8. ლასე ხიუსი (ნორვეგია) ,65; 9. კრისტიან მაიერი (ავსტრია) ,67; 10. ფრედრიკ ნიუბერგი (შვედეთი) ,95

ქალები. სლალომი. 19 თებერვალი

1. ჰილდე გერგი (გერმანია) 1.32,40 (45,89 - 46,51); 2. დებორა კომპანიონი (იტალია) 1.32,46 (45,29 - 47,17); 3. ზალი სტეგალი (ავსტრალია) 1.32,67 (45,96 - 46,71); 4. მარტინა ერტლი (გერმანია) 1.32,91; 5. საბინე ეგერი (ავსტრია) .33,22; 6. ინგრიდ ზალვენმოზერი (ავსტრია) ,39; 7. მარტინა აკოლა (შვეიცარია) .34,12; 8. მორენა გალიციო (იტალია) ,87; 9. მონიკა ბერგმანი (გერმანია) ,99; ... 12. იულვა ნოვენი (შვედეთი) .36,33; სოფიო ახმეტელი (საქართველო) დისკვალიფიკაცია I ცდაზე

ქალები. გიგანტური სლალომი. 20 თებერვალი

1. დებორა კომპანიონი (იტალია) 2.50,59 (1.18,94 - 1.31,65); 2. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 2.52,39 (1.20,13 - 1.32,26); 3. კატია ზაიცინგერი (გერმანია) 2.52,61 (1.20,19 - 1.32,42); 4. მარტინა ერტლი (გერმანია) 2.52,72; 5. სოფი ლეფრანკი (საფრანგეთი) .53,27; 6. ჰაიდი ცურბრიგენი (შვეიცარია) ,61; 7. ანა ოტოსონი (შვედეთი) ,81; 8. საბინა პანძანინი (იტალია) .54,09 ... 11. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) .55,40 ... 13. ჰილდე გერგი (გერმანია) ,89

#### ბარის თხილამურობა

ვაჟები. 4 X 10 კმ ამანათბრენი. 18 თებერვალი

1. ნორვეგია (სტურე სივერსტენი, ერლინგ იევნე, ბიორნ დელი, თომას ალსგორდი) 1 სთ: 40 წთ. 55,7; 2. იტალია 1:40.55,9; 3. ფინეთი 1:42.15,5; 4. შვედეთი 1:42.25,2; 5. რუსეთი .39,5; 6. შვეიცარია .49,2; 7. იაპონია :43.06,7; 8. გერმანია .16,1; 9. ავსტრია .16,5; 10. ესტონეთი :44.20,9

ქალები. 30 კმ თავისუფალი სტილით. 20 თებერვალი

1. იულია ჩეპალოვა (რუსეთი) 1:22.01,5; 2. სტეფანია ბელმონდო (იტალია) 1:22.11,7; 3. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) 1:23.15,7; 4. ელინ ნილსენი (ნორვეგია) 1:24.24,5; 5. ელენა ვიალბე (რუსეთი) .52,8; 6. მარია თოირლი (ავსტრია) .54,3; 7. ბრიგიტ ალბრეხტი (შვეიცარია) :25.15,0; 8. ირინა ტარანენკო-ტერელია (უკრაინა) .22,3; 9. მარიტ მიკელსპლასი (ნორვეგია) .36,9; 10. გაბრიელ პარუცი (იტალია) :26.06,0

#### ორჭიდი

გუნდური. 19-20 თებერვალი

1. ნორვეგია (ჰალდორ სკარდი, კენეთ ბრაატენი, ბიარტე ვიკი, ფრედ ლუნდბერგი); 2. ფინეთი; 3. საფრანგეთი; 4. ავსტრია; 5. იაპონია; 6. გერმანია; 7. შვეიცარია; 8. ჩეხეთი; 9. რუსეთი; 10. აშშ

#### ციგურაობა

ქალები. 1000 მ. 19 თებერვალი

1. მარიან ტიმერი (ჰოლანდია) 1 წთ. 16,51 წმ; 2. კრისტინ ვიტი (აშშ) 1.16,79; 3. კატრიონა ლემეი-დოუნი (კანადა) 1.17,37; 4. საბინ ფელკერი (გერმანია) 1.17,54; 5. ანმერი თომასი (ჰოლანდია) ,95; 6. ბეკი სუნდსტრომი (აშშ) .18,23; 7. ტომომი ოკაძაკი (იაპონია) ,27; 8. ერიკო სამიია (იაპონია) ,36; 9. მოირა დანდრეა (აშშ) ,38; 10. მონიკ გარბრეხტი (გერმანია) ,76

ქალები. 5000 მ. 20 თებერვალი

1. კლაუდია პეხშტაინი (გერმანია) 6.59,61 (მსოფლიო რეკორდი); 2. გუნდა ნიმანშტირნემანი (გერმანია) 6.59,65; 3. ლიუდა პროკაშევა (ყაზახეთი) 7.11,14; 4. ბარბარა დელური (ჰოლანდია) 7.11,81; 5. ტონი დეიონგი (ჰოლანდია) .12,77; 6. კარლა ცეილსტრა (ჰოლანდია) ,89; 7. კერსტინ ჰოლამი (აშშ) .14,20; 8. ემეზ ჰუნიადი (ავსტრია) .15,23; 9. ელენა ბელჩი (იტალია) ,58; 10. ჯენიფერ როდრიგესი (აშშ) .16,78

#### ფიგურული სრიალი

ქალები. 18-20 თებერვალი

1. ტარა ლიპინსკი (აშშ) 2,0 ქულა; 2. მიშელ კვანი (აშშ) 2,5; 3. ლუ ჩენი (ჩინეთი) 5,0; 4. მარია ბუტირსკაია (რუსეთი) 5,5; 5. ირინა სლუცკაია (რუსეთი) 7,5; 6. ვანესა გიუზმეროლი (საფრანგეთი) 10,0; 7. ელენა სოკოლოვა (რუსეთი) 12,0; 8. ტატიანა მალინინა (უზბეკეთი) 12,5; 9. ელენა ლიაშენკო (უკრაინა) 13,5; 10. სურია ბონალი (საფრანგეთი) 14,0

#### ბიათლონი

ქალები. 4 X 10 კმ ამანათრბენი. 19 თებერვალი

1. გერმანია (ურსულა დიზლი, მარტინა ცელნერი, კატრინ აპელი, პეტრა ბელე) 1 სთ: 40 წთ. 13,6 წმ (0 აცდენა); 2. რუსეთი 1:40.25,0 (0); 3. ნორვეგია 1:40.37,3 (2)

# ჰაშეკი — კანადა 2:1

## ჰოკეი

### კანადა 1:1 ჩეხეთი

(0:0, 0:0, 1:1, 0:0, ბულიტების სერიაში 0:1)

**შაიბები:** შლეგრი 1 (პატერა, 50) (0:1), ლინდენი 1 (ლინდროსი, 59) (1:1) ბულიტების სერიაში ერთადერთი გოლი რაიხელმა გაიტანა.

დომინიკ ჰაშეკმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თავდამსხმელებთან ორთაბრძოლისას მეკარეთა შორის ბადალი არ ჰყავს. ბულიტების სერიაში ხუთმა უძლიერესმა ჰოკეისტმა — ტეო ფლერიმ, ჯო ნუინდაიკმა, რეი ბურკმა, ერიკ ლინდროსმა და ბრენდონ შენაჰანმა ამაოდ სცადა ბედი. მეტად გასაკვირი იყო სახელოვან მეკარესთან პაექრობით დაბნეულ ვარსკვლავთა უსუსურობა.

ფაქტობრივად, მხოლოდ ერიკ ლინდროსი იყო ახლოს მიზანთან, მაგრამ მისი დარტყმული ძელს მოხვდა. ასე რომ, რობერტ რაიხელის პირველივე შაიბამ ჩეხებს პირველი ოლიმპიური ოქროს მოპოვების შანსი მისცა.

თავად მატჩს დიდი სიურპრიზი შეიძლება ეწოდოს. ყველაფერი იყო — კანადელთა შტურმი, ორმხრივი მწვავე შეტევები, თუნდაც დაცვაში ფხიზელი თამაში, მაგრამ თუ პირველ პერიოდში ჩეხები მოწინააღმდეგეს თავის ზონაში ჩაკეტავდნენ და ესოდენ აგრესიულნი იქნებოდნენ, არავის ეგონა. კანადელთა შტურმი, რომელსაც მატჩის დასაწყისში ელოდნენ, არ განხორციელდა და გათამამებულმა ჩეხებმაც ხელთ იგდეს ინიციატივა. განსაკუთრებით მათი „ევროპელები" აქტიურობდნენ. ირჟი დოპიტას (ჩეხეთის „ვშეტინში" თამაშობს) სამეულის წყალობით კანადელები საერთოდ ვერ აღწევდნენ მეტოქის ნახევრამდე, კიდევ ერთმა შინ მოასპარეზე ჰოკეისტმა, ჰეიდუკმა კი ყველაზე სახიფათო მომენტი ვერ გამოიყენა. საოცარი იყო ისიც, რომ დიდი გრეცკი, ლინდროსი და კომპანია მთელ ძალას დაცვაში ხარჯავდნენ და წინ არაფერი გამოსდიოდათ. ფაქტობრივად, კანადელებმა მხოლოდ პერიოდის მიწურულს, ჩეხი სვობოდას საეჭვოდ დაჯარიმების შემდეგ შეუტიეს ჰაშეკის კარს, მაგრამ მან პრონგერისა და კორსონის დარტყმები იოლად მოიგერია.

შესვენების შემდეგ კანადელთა შემტევ სამეულებში ცვლილებები მოხდა და ჰაშეკსაც მეტი სამუშაო გაუჩნდა. თუმცა არც ჩეხები დაიბნენ და მეტად ლაღი თამაში გაჩაღდა. შეუდარებელი იყო იარომირ იაგრი ასისტენტის როლში, ეგაა, დოპიტამ და ბერანეკმა ვერ ივარგეს. კანადელებმაც შექმნეს ერთიორი ხელსაყრელი მომენტი გრეცკის ძალისხმევით, მაგრამ ჰაშეკს შორეული დარტყმებით ვერაფერი მოუხერხეს.

მესამე მესამედში მეტოქეებმა დაცვაზე გადაიტანეს მთელი ყურადღება და რაც უფრო ცოტა დრო რჩებოდა, მით უფრო ნაკლებად აქტიურობდნენ. ამიტომ ჩეხების გოლი მეტად მოულოდნელი გამოდგა. ამ მომენტში კანადელთა მეკარე რუა შეცდა, რომელსაც შლეგრის შორეული დარტყმის დროს ხელს არავინ უშლიდა. ასე იყო თუ ისე, მოსახდენი მოხდა და ოკეანისგაღმელებს როგორმე მარცხისგან უნდა ეხსნათ თავი. მეტად გასაკვირი იყო, რომ ასეთ დაძაბულ მატჩში ისინი არც ერთხელ წაკინკლავებულან ჩეხებთან და არც აგრესიულობა გამოუვლენიათ. მხოლოდ ბოლო წუთებზე მოაწყვეს რაღაც შტურმისმაგვარი და ტურნირზე უნიათოდ მოთამაშე ლინდროსმა, როგორც იქნა, გამოიჩინა თავი, მისი პასით ტრევორ ლინდენმა ისარგებლა — 1:1. დამატებით დროში „ნეკერჩხლის ფოთლები", ბოლოს და ბოლოს, ამოქმედდნენ და ახლა უკვე ჰაშეკს მოუწია დიდმა გარჯამ. კანადელები, ეტყობა, წინასწარვე ღელავდნენ იმის გამო, რომ თუ ოვერტაიმში ვერ მოიგებდნენ, ბულიტების სერიაში ძალიან გაუჭირდებოდათ. როგორც მოვლენებმა ცხადყო, მათი შიში უსაფუძვლო არ გახლდათ. მატჩის შემდეგ ყველაზე გულდაწყვეტილი გრეცკი იყო. 37 წლის ლეგენდას დიდი გამარჯვებები სწყუროდა და ოლიმპიადაზეც ამიტომ იბრძოდა ასეთი თავდადებით, იღბალმა კი ზურგი აქცია. გულგატეხილმა ფორვარდმა, რომლის უნიკალურ კოლექციასაც მხოლოდ ოლიმპიური ოქრო აკლდა, განაცხადა, რომ ეს მისი ბოლო მატჩი იყო ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში: „ჩემი ცხოვრების ერთი მონაკვეთი დასრულდა. ეს არ მაღონებს, ვამაყობ იმით, რაც კანადისთვის გავაკეთე. ძალიან საწყენია, რომ ბოლო ორი წელი ჩვენი გუნდისთვის არასახარბიელო გამოდგა, მაგრამ, ვფიქრობ, მომავალი თაობა კვლავ დაამტკიცებს ჩვენს უპირატესობას".



კანადა — შინ, ჩეხეთი — ფინალში

# ბურე — ფინეთი 7:4

### რუსეთი 7:4 ფინეთი

(2:0, 2:3, 3:1)

**შაიბები:** პ. ბურე 5 (ჟამნოვი, 10) (1:0), პ. ბურე 6 (დ. მირონოვი, 18) (2:0), პ. ბურე 7 (21) (3:0), ჰელმინენი 2 (ლინდი, 24) (3:1), რინტინენი 1 (კური, ტიმონენი, 25) (3:2), სელიანე 4 (კოივუ, კური 36) (3:3), ჟამნოვი 2 (ჟიტნიკი, 38) (4:3), კოივუ 2 (სელიანე, 46) (4:4), კოვალენკო 4 (ფიოდოროვი 47) (5:4), პ. ბურე 8 (56) (6:4), პ. ბურე 9(იაშინი, 60) (7:4)

როცა სამი წლის წინ დაშავებული პაველ ბურე მომდევნო სეზონებში ტრავმამ გააწვალა და თამაშის საშუალება არ მისცა, ბევრმა ამ საუცხოო თავდამსხმელის კარიერა დასრულებულად ჩათვალა. თუმცა, წლეულს კვლავ ვიხილეთ ძველი, საოცარი სისწრაფის გამო „რუსულ რაკეტად" წოდებული ბურე. რეგულარულ ჩემპიონატში რუსი ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერია და მესიესთან ერთად, ფაქტობრივად, ერთადერთია, ვინც მკაცრი მაიკ კინენის ქებას იმსახურებს. ძნელი სათქმელია, როგორ გაგრძელდება 26 წლის ფორვარდის კარიერა, მაგრამ 20 თებერვლის შემდეგ მისი სახელი, ალბათ, სამუდამოდ შემორჩება ოლიმპიადების ისტორიას.

„სუომის" უძლიერეს გუნდთან უმძიმეს და უშელავათო შეხვედრაში პაველ ბურემ ნამდვილი გმირობა ჩაიდინა და 5 (!) გოლით თავის ნაკრებს ფინალში გასვლა გაუნაღდა. აკი თქვა კიდეც მატჩის შემდეგ რუსთა მწვრთნელმა ვლადიმერ იურზინოვმა, ეს ბურეს საღამო იყოო.

სოლიდური ანგარიშის მიუხედავად, რუსებს ძალიან გაუჭირდათ გამარჯვების მოპოვება. პირველივე პერიოდში მოედანზე ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ ამდენ ვარსკვლავთა შორის პაველ ბურე სულაც არ დაჩრდილულა: მისი ძალისხმევით ყოფილი საბჭოელები 21-ე წუთისთვის 3:0 იგებდნენ, თანაც თავდამსხმელმა გოლები სხვადასხვა სტილში გაიტანა. ჯერ იყო და, ფინელთა კარის სიახლოვეს გამართულ ორთაბრძოლაში შაიბა დაისაკუთრა და ბადეში გაახვია, მერე, დმიტრი მირონოვმა გრძელი პასი რომ მიაწოდა და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მიულისი მოატყუა, მესამედ კი მისი გარღვევა მოულოდნელი გოლით დასრულდა. 3:0 — თითქოსდა მატჩის ბედიც გადაწყდა, მაგრამ ფინელები არ გატყდნენ, საუცხოოდ ათამაშდნენ და მეტოქის კართან ნამდვილი შტურმი მოაწყვეს. მთელი ათი წუთის განმავლობაში სკანდინაველები გამუდმებით უტევდნენ და ანგარიშიც შეამცირეს, მერე კი, როცა ანერვიულებული რუსები ორკაციან უმცირესობაში დარჩნენ, „სოუმის" წამყვანმა დუეტმა თქვა თავისი სიტყვა და კოივუს პასის შემდეგ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა, ტეემუ სელიანემ გაათანაბრა.

და მაინც, იღბალი რუსების მხარეს იყო. მას შემდეგ, რაც გუნდებმა გოლები გაცვალეს, ინიციატივას კვლავ ფინელები დაეუფლნენ, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს და დაისაჯნენ კიდეც. ერთ-ერთ იშვიათ კონტრშეტევაში კოვალენკომ მოხტუნავე შაიბა ჰაერშივე დაარტყა, რასაც ფინელთა მეკარე ნამდვილად არ ელოდა, ხოლო შემდეგ, როცა სკანდინაველთა ზეწოლა თითქოსდა გაუსაძლისი იყო, კვლავ ბურე გამოირჩა — მან თავისი მესამე გარღვევა გოლით დაასრულა. ამ გოლმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა და მეტოქეებიც დამშვიდდნენ, მხოლოდ ბურემ ვერ მოისვენა და ბოლო წუთებზე, მეკარე რომ მეექვსე მოთამაშით შეცვალეს, თავისი ტრიუმფი ცარიელ კარში გატანილი მეხუთე გოლით დააგვირგვინა.

მატჩის შემდეგ ბურე სიტყვაძუნწობდა, სამაგიეროდ, ენამახვილი და მხიარული დარიუს კასპარაიტისი ინტერვიუებს არ იშურებდა: „ტურნირამდე მეოთხე ადგილზე გასვლას გვიწინასწარმეტყველებდნენ, რამაც მეტად გაგვაცხარა. ვფიქრობ, ახლა აღარ დაგვჭირდება იმის მტკიცება, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ვართ. თუმცა, ამ თამაშის სირთულემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პაველი საოცარი იყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბედმა გაგვიღიმა".

ასე იყო თუ ისე, რუსებმა ფინალს მიაღწიეს, რაც გუნდური სულისკვეთების წყალობა კი არა, ლიდერების მაღალი ოსტატობის შედეგი გახლდათ. ვნახოთ, იკმარებს თუ არა ეს ჩეხეთის ნაკრების მცველებისა და შეუდარებელი ჰაშეკის ძლევისთვის.

# იმპერატორს იმედი გაუცრუეს

## ორჭიდი

ორჭიდში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად 1992 და 1994 წლების ოლიმპიური ჩემპიონები — იაპონელები ითვლებოდნენ და ასპარეზობის მეორე დღეს მათ გასამხნევებლად თავმოყრილ 18 ათას თანამემამულეს თვით იმპერატორი აკიჰიტოც კი შეუერთდა. მაგრამ კუნძულელებმა საქმის გაფუჭება მანამდე მოახერხეს — ტრამპლინიდან ხტომაში, რომელშიც ისინი ტრადიციულად ძლიერნი არიან, მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავეს და თხილამურობაში ერთი ხანობა მეორეზე გადაბარგების მიუხედავად, საბოლოოდაც ამავე პოზიციას დასჯერდნენ. ძირითადი ბრძოლა კი ფინელებსა და ნორვეგიელებს შორის წარიმართა, რომლებიც პირველი დღის შემდეგ შესაბამისად პირველ და მესამე ადგილებზე იმყოფებოდნენ, თუმცა სტარტზე ერთმანეთისგან მხოლოდ რვა წამი აშორებდათ. განსაკუთრებით დაძაბული პირველი ეტაპი გამოდგა, როდესაც ფინელი სამპა ლაიუნენი და ნორვეგიელი ჰალდორ სკარდი კარგა ხანს მიდიოდნენ მხარდამხარ, თუმცა ამ უკანასკნელმა საბოლოოდ მაინც იმარჯვა და თავისიანს 12-წამიანი უპირატესობა გადაულოცა. ამის შემდეგ ნორვეგიელებს, ფაქტობრივად, აღარ გაჭირვებიათ და დანარჩენმა ორჭიდელებმა — კენეტ ბრაატენმა, ბიარტე ენგენ ვიკმა და ფრედ ბოერე ლუნდბერგმა საბოლოოდ უახლოეს მდევარს ლამის წუთნახევრით აჯობეს. ფინელები მეორე ადგილზე გავიდნენ, ბრინჯაოს მედალი კი ფრანგებს ერგოთ.

**ავთანდილ სვანიძე**

# ყველა ოქრო რუსებს

## ბარის თხილამურობა

ბარის თხილამურობაში რუს ქალებს არც უკანასკნელ დისტანციაზე გაუმეტებიათ სხვებისთვის ოქროს მედალი. ამჯერად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე რუსეთის იუნიორთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ქალიშვილი, 21 წლის იულია ჩეპალოვა აღმოჩნდა. იულიას მამის ავტორიტეტმა ნაგანოში მაინცდამაინც ვერ უშველა და თავისიანებმა ესტაფეტაში მონაწილეთა შორის არ ჩართეს, რაზეც კომსომოლსკელ გოგოს ჯერ მწარედ უტირია, მერე კი დაუქადნია, ყველას ვუჩვენებ, რაც შემიძლიაო. 30 კილომეტრიდან 25-ზე ასპარეზობას იტალიელი ოლიმპიური ჩემპიონი — სტეფანია ბელმონდო ლიდერობდა, მაგრამ მამის წაქეზებით ჩეპალოვამ დისტანციის ბოლო მეოთხედი ძალიან ძლიერად გაწვლო და საბოლოოდ იტალიელს 10 წამით აჯობა. ნაგანოს ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონმა ლარისა ლაზუტინამ 15 კილომეტრზე მოპოვებულ ვერცხლს ამჯერად ბრინჯაო დაუმატა და შინ ყველა ხარისხის მედალი წაიყოლა.



გიო ახვლედიანის სვეტი

## ნაგანოს თეთრი მზე

ზამთრის ოლიმპიადა სრულდება. ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში ეს არცთუ პოპულარული სანახაობაა. ხალხი დიდად არ ინტერესდება ოლიმპიურ თამაშობათა ცქერით. პრინციპში, რომც დაინტერესდეს, შუქი არა აქვს და უეჭველად სადმე დეფოკირებულ ადგილას უნდა წავიდეს, ვთქვათ, ფიგურული სრიალის საყურებლად.

მაგრამ დღეს სხვა დროა. განა ვინმეს ფიგურული სრიალი ახსოვს?

არადა, იყო სხვა დროც. სანამ რუსთა ხელქვეით ვიყავით, ფიგურული სრიალიც ძალიან გვიყვარდა და მე პირადად სკოლაც გამიცდენია, რომ სტენმარკისთვის მეყურებინა. იმ სხვა დროში თეთრი ოლიმპიადაც ჩვენი იყო, რადგან ზამთრის ქვეყნის ყმა-გლეხები ვიყავით. მაშინ ზამთრის ოლიმპიადას თავისი ჯიგარი ჰქონდა, ფიქრიანი კაცი, როგორც სხვა, ზაფხულის ამბავს, ისე უყურებდა თეთრ თამაშებს. უპირველესი სიხარული და აღტაცება ხომ ის იყო, რომ მავანი დევგმირი ბოლშევიკთა ფალავან სპორტსმენებს დაამარცხებდა. აბა, არ გავიხსენოთ ჯეინ ტორვილი და კრისტოფერ დინი?

ანდა ის შაბათი დღე, ის ლეიკ პლესიდი, ამერიკელმა სტუდენტებმა რომ მთელი წითელი არმია დასცეს ყინულზე და ჰოკეის ოქრო მოიგეს? ასე მგონია, რომ ის თამაში დაუვიწყარი და განუმეორებელია. თან რა დრო იყო — სულ იარაღს აჟღარუნებდნენ. „სავეცკი სპორტში" რუსთა ნაკრების შემადგენლობა იყო დაბეჭდილი და ყოველი მოთამაშის გვარის გასწვრივ ეწერა — „ვოენოსლუჟაშჩი". აი, ეგეთი დრო იყო — ჩვენი ჰოკეისტები მოთამაშენი კი არა, სამხედროები არიანო. ჰოდა, აი, ამ სამხედროებს საგამოცდო წიგნაკებით მორბენალმა ბიჭებმა მოუგეს...

ეჰ, კარგი იყო!

მაგრამ ის დრო ხომ წავიდა. პოლიტიკური ამბავი დაიკარგა. ვისაც ყვანჯი უვარგა, ყველა კანადაშია. რუსიც და არარუსიც. მოდი ახლა და დაიჭირე მუღამი. თუმცა, მთლად ასეც არ არის საქმე. ნაგანო ნაღდი, მოვლენებით მდიდარი სპორტული ღონისძიებაა და თუ კაცს ზამთრის თამაშები უყვარს, არ მოიწყენს. უფრო კარგიც კია, რომ ის საბჭოეთი აღარ არის და იმ სპორტს ისე უყურებ, უბრალო სპორტული ქომაგობით.

ნაგანოში კი მრავალი შთამბეჭდავი მოვლენა გათამაშდა.

თუნდაც ეს ახალბედა სნოუბორდი რად ღირს? თავზეხელაღებული ქუჩის ბიჭები რომ მიიყვანა ოლიმპიურ კვარცხლბეკამდე. ანდა, ფიგურული სრიალი, ანდა ეს ყბადაღებული ტამბა და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი რამ. ფრისტაილიც კი ყურადსაღები რამ შეიქნა, რადგან მასში გამორჩეული ხასიათის და ოსტატობის ხალხი მონაწილეობს.

ანდა, ჰოკეის ტურნირი აიღეთ. ოლიმპიადებზე არასოდეს ყოფილა ასეთი შემადგენლობა და ძნელი სათქმელია, კიდევ როდის იქნება. ყველა აქაა უეინ გრეცკის თამადობით და ოქროსაც განსაკუთრებული ფასი აქვს.

დაჯექი და უყურე.

მაგრამ სად და როდის? ვლადიკავკაზში ხომ არ წახვალ შუქის საძებნელად.

ნაგანოს თეთრი მზე მალე ჩავა და ჩვენ მორიგი გაცდენილი თეთრი ოლიმპიადა შეგვრჩება ხელში. გაცდენილი ოლიმპიადა და გაზეთში ნაძებნი ცხრილები. სილამაზე და სანახაობა კი ნურას უკაცრავად. თან — ეს ნაგანო ისეთ შორეთში მდებარეობს, რომ იქ რომ დილაა, ჩვენთან შუადღე გამოდის და დიდი ამბები ვერადავერ თავსდება საღამოს 8-სა და 12 საათს შორის. ოლიმპიადა კარგი, მაგრამ როგორ მოითმენ და ფეხბურთს არ ახსენებ? ევროთასები ახლოვდება, გარშემო კი ბნელა. ოთხშაბათ დღეს მაინც ხომ უნდა ჩაუჯდე თამაშს...

თუმცა, ასეთ ლაპარაკს აზრი არა აქვს.

ისევ ჯობს გვახსოვდეს, რომ არის ასეთი რამ — ზამთრის ოლიმპიადა, სპორტის დიდი ზეიმი, რომელიც მაყურებელს სიხარულს ანიჭებს. იქ სადღაც, უხარიათ, თოვლში მოთამაშეებს რომ უცქერენ.

# იმნაძეს თანამედროვე ფეხბურთელები სჭირდება



გიგლა იმნაძე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა, კალენდრის შედგენა, ამხანაგური მატჩების შეთანხმება, მოკლედ, თებერვალმა ბევრ საინტერესო კითხვას გასცა პასუხი. ახლა რა დაგვრჩენია? ის, რომ მეტოქეებს ღირსეულად ვეპაექროთ და გამარჯვების სიხარული ვიგემოთ. პირველობის სურვილი დიდია, არც მონდომებაა ნაკლები, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყველაფერი მწვრთნელ-ფეხბურთელთა ვაჟკაცობაზეა დამოკიდებული. ესენი საჯაროდ მხოლოდ ერთს აცხადებენ — მიზანი ქვეჯგუფიდან გასვლა იქნებაო. ასე თქვა გუცაევმა და მერეც არაერთხელ გაიმეორა. ახალგაზრდული ნაკრების ახალმა თავკაცმა გიგლა იმნაძემ კი დანიშვნისთანავე განაცხადა, გუცაევის მიერ მიღწეული შედეგის გაუმჯობესებას ვეცდებით. გასულ ციკლში ახალგაზრდულმა ნაკრებმა მეორე ადგილი დაისაკუთრა, ესე იგი ამჟამინდელმა გუნდმა პირველობისთვის უნდა იბრძოლოს.

იმნაძისთვის ეს ყოველივე იოლად მისაღწევი არ იქნება. ნაკრებს თაობათა ცვლამ არაერთი ფეხბურთელი გამოაკლო. მწვრთნელს ხელში რამდენიმე გამოცდილი მოთამაშეღა შერჩა, უმეტესობა კი ახალბედაა. თანაც მეტოქეებზე ჯერჯერობით მწირი ინფორმაციები გააჩნია. ესეც ხომ ცალკე თავსატეხია. იმნაძეს მაინც არ ეშინია, იმედოვნებს, რომ სექტემბერში ისეთი გუნდი ეყოლება, რომელიც ყველა ბარიერს გადალახავს. ვისაც იმნაძის დროინდელი „გურია“ და „კოლხეთი“ ახსოვს, ისიც ეცოდინება, მწვრთნელი რა სტილის მიმდევარია. ყველა წინ, ყველა უკან — სწორედ ამ პრინციპის დანერგვას აპირებს გუნდში და ფეხბურთელთა შესაბამისად გარდაქმნაც გულში ამოუჭრია. იმნაძეს გუშინ „დინამოს“ საფეხბურთო სკოლაში შევხვდით. ახალგაზრდულის თავკაცი თექვსმეტწლამდელთა გარჯას აკვირდებოდა. ჩვენი საუბარი ძირითადად ახალგაზრდული ნაკრების ამასწინათ მოწყობილ შეკრებას შეეხო, რის შესახებაც ნაკრების თავკაცმა თავისი აზრი გაგვიზიარა...

— ადრეც ვაცხადებდით, ეს შეკრება მოთამაშეთა გაცნობას და მათ შესაძლებლობებში გარკვევას ისახავდა მიზნად. ჩანაფიქრი თითქმის განვახორციელეთ. ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ცვლილებები არ იქნება.

**— შეკრებაზე არც ერთი ლეგიონერი არ მოგიწვევიათ. ამბობენ, იმნაძე მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებით აპირებს ნაკრების დაკომპლექტებასო...**

— ლეგიონერი, თუ მამუკა წერეთელს არ მივიღებთ მხედველობაში, არც გვყავს. ახალგაზრდული ასაკის კი არიან იაშვილი, კალაძე და კობიაშვილი, მაგრამ ესენი ფაქტობრივად ეროვნული გუნდის წევრებად ითვლებიან, ხოლო პირველი ნაკრების ინტერესები, ყველამ ვიცით, უზენაესი გახლავთ. ოღონდ გამოჩნდნენ და ახალგაზრდულის კარი ყველა ღირსეულისთვის ღია იქნება.

**— ერთი კვირის განმავლობაში ბიჭები თქვენს თვალწინ ირჯებოდნენ. ზემოთ აღნიშნეთ, თითოეულის შესაძლებლობებში გავერკვიეთო. თუ ასეა, მაშინ სათამაშო რგოლების ცალ-ცალკე დახასიათებას გთხოვთ.**

— შეკრებაზე სამი მეკარე გვყავდა. სოლოლაშვილი, ბათიაშვილი და გაბელია მონდომებული ბიჭები გამოდგნენ. ამათზე დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ამ ამპლუაში კრიზისული მდგომარეობა არ გვექნება. უფრო მეტიც, სექტემბრისთვის, დარწმუნებული ვარ, სასურველ ფორმაში იქნებიან. თანაც თითოეულმა იცის, რომ ადგილი გარანტირებული არც ერთს აქვს. კონკურენცია გუნდისთვის აუცილებელი პირობაა. სამი მეკარე ხომ გამოვცადეთ, სამიც მონიშნული გვყავს, დინამოელი ლომაია, აკადემიელი ჩაჩიბაია და თსუელი ნიკურაძე. არ არის გამორიცხული, არჩევანი ამათაც ერგოთ.

ყველაზე სავალალო სიტუაცია მაინც, მიმაჩნია, დაცვაში გვაქვს. ჩვენი ძირითადი გასაჭირი დაცვის ცენტრი და მარჯვენა ფლანგი გახლავთ. ამ ამპლუაში ორი ნახევარმცველის უკან დახევამ მოგვიწია. კვარაცხელია და რევაზიშვილი უფრო წინა ხაზის მოთამაშეებად არიან ცნობილნი. არც ძლიერი ლიბერო გვაწყენდა. მოკლედ, დაცვაში კიდევ ბევრი რამ არის დასალაგებელ-გადასახედი.

ნახევარდაცვას და თავდასხმას ერთად გავაერთიანებ და დახასიათებისას მათ წინა, შემტევი ხაზი ვუწოდოთ. ესენი ერთი წუთით არ უნდა ჩერდებოდნენ. ყველაფერი მოძრაობაში და სისწრაფეში უნდა გაკეთდეს. დღეს ისეთი ფეხბურთელი არავის სჭირდება, რომელიც ბრძოლას თავს აარიდებს. მერე რა, რომ თავდამსხმელი ხარ. კეთილი ინებე და გუნდის საერთო ინტერესებისთვის უკანაც იმუშავე. ნახევარდაცვაზე არაფერს ვამბობ, ბრძოლა მათი პირდაპირი მოვალეობაა. მინდვრის შუაგულს მოიგებ, თამაშიც შენს სასარგებლოდ დამთავრდება. ბრძოლა, მოძრაობა, სწრაფი აზროვნება, მაღალი ტემპი, კარგი ფიზიკური მომზადება ყველაფრის საწინდარი გახლავთ და ჩემი სათხოვარიც ეს იქნება, ნაკრების კანდიდატებმა და მათი კლუბების მწვრთნელებმა ამას დიდი ყურადღება დაუთმონ. სხვა გზა არ არის. ისინი უკვე პატარა ბიჭები არ არიან და უნდა იცოდნენ, რომ შეკრებაზე ჩვენ ბევრს ვერაფერს შევცვლით, ფეხბურთელი მომზადებული უნდა მოგვივიდეს, რათა მერე სხვა დანარჩენზე გულდამშვიდებულებმა ვიმუშაოთ.

**— თქვენი ნათქვამი ზოგიერთების აზრს ამტკიცებს, თითქოს გიგლა იმნაძეს ტექნიკური ფეხბურთელები თვალში არ მოსდის, ჯანმაგარი, მუშა მოთამაშეები ურჩევნიაო.**

— მეტად მცდარი აზრი შექმნიათ იმ ზოგიერთებს. ჩემს ადრინდელ გუნდებში არაერთი ტექნიკური და დრიბლიორი ფეხბურთელი მყოლია. ტექნიკა და ფიზმომზადება ერთიმეორეს არ გამორიცხავს. ტექნიკა ისეთი რამაა, რომელსაც ბუნება ყველას არ ანიჭებს. როცა ფეხბურთელს ეს თანდაყოლილი ნიჭი გააჩნია, მაგას რა სჯობს, მაგრამ ამასთან ერთად მაღალი ფიზიკური კონდიციებიც თუ ექნება, ყველაფერზე უკეთესია. დღეს ფეხბურთი სწორედ ასე ვითარდება. უბრძოლველად, მხართეძოზე წამოწოლილს არავინ არაფერს დაგითმობს. ვის რაში სჭირდება მოედნის შუაგულში ჯამბაზობა, თუ ამას შედეგი არ მოჰყვა. სწორედ ამიტომ ვამახვილებ ყურადღებას ფიზიკურ მომზადებაზე და არა მგონია, ბევრმა გამამტყუნოს.

**— ერთი შეკრებით ბევრს ვერ მიაღწევთ. ალბათ, მომავალშიც გექნებათ დაგეგმილი კანდიდატთა თავშეყრა.**

— აუცილებლად, მაგრამ ჩემპიონატის მეორე წრეში ამას არ ვაპირებ. ბიჭებს კლუბში თამაშს ვაცლით. ამ სამი თვის განმავლობაში კი მათ გარჯას დავაკვირდებით. ყველა კანდიდატზე ამომწურავი ინფორმაცია უნდა გამაჩნდეს, მათ შორის დიდი ყურადღება სამედიცინო შემოწმებებსაც მიექცევა. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში ახალი სახელებიც აღმოვაჩინოთ. არავინ იცის, ფეხბურთელი როდის გაიხსნება, როდის მოუმატებს.

რაც შეეხება სხვა შეკრებებს და ამხანაგურ თამაშებს, ამის საშუალება კიდევ სამჯერ მოგვეცემა. ამიტომ ავჯობებს, ყველაფერი შესარჩევი მატჩების დაწყებას მივუახლოვოთ. ფეხბურთელთა მზადყოფნის შემოწმებას ასეთ დროს უფრო ექნება აზრი.

**მამუკა ძმანტალიანი**

## ოდიშს კაიდარაშვილიც წაართვეს

წინა ნომერში ფეხბურთის ფედერაციაში 18 თებერვალს გამართული სატრანსფერო კომიტეტის სხდომის შესახებ გიამბეთ. მაშინ გაუწყებდით, რომ გორელმა გიორგი რევაზიშვილმა დაარღვია ზუგდიდის „ოდიშთან“ ადრე დადებული კონტრაქტი. სატრანსფერო კომიტეტმა საქმე ფეხბურთელის სასარგებლოდ გადაჭრა, რადგან „ოდიში“ საკონტრაქტო პირობების შეუსრულებლობაში ამხილეს. მსგავსი ვითარება ჰქონდა მეორე გორელს, ალეკო კაიდარაშვილს. მაშინ მისი საკითხი იმიტომ არ გაირჩა, რომ თავად ფეხბურთელი სხდომას ვერ დაესწრო. საქმე გადაიდო და გუშინ განიხილეს. სატრანსფერო კომისიის სხდომაზე ამჯერად ზუგდიდური კლუბის წარმომადგენლები არ მოვიდნენ, მაგრამ ეს უკვე არაფერს ნიშნავდათ. პირველ სხდომაზე დათქვეს, თუ ზუგდიდელები არ მოხვალთ, ყველაფერი ფეხბურთელის სასარგებლოდ გადაწყდებაო. ასეც მოხდა. ალექსანდრე კაიდარაშვილი მეორე წრიდან მშობლიური „დილას“ ღირსებას დაიცავს.

## შეკრება თბილისში

თბილისურმა თსუ-მ, პირველი წრის შემდეგ გათამაშების ცხრილში მეოთხე ადგილზე რომ დაფუძნებულა, სამეორეწრეო სამზადისი 16 იანვარს დაიწყო. მთავარმა მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ წვრთნას საკონტროლო თამაშები შეუნაცვლა, ხოლო 17 თებერვალს გუნდი შეკრებაზე გადაიყვანა. სტუდენტებმა ბინა ყველასთვის კარგად ნაცნობ სასტუმრო მესაზღვრეში დაიდეს და იქ 12 დღეს დაჰყოფენ. წრეებს შორის შესვენებისას გუნდიდან წავიდა მარჯვენა მცველი ზაზა ზამთარაძე. მან კარიერის გაგრძელება დედაქალაქის „ლოკომოტივში“ არჩია. „მერანში“ გადაბარგებულა მიხეილ საბიაშვილიც.

წასულთა სანაცვლოდ გაბელიამ სამი ახალწვეული მიიღო. მეორე წრეში სტუდენტთა ღირსებას „დინამოდან“ ნათხოვარი ირაკლი ვემეზაშვილი, „ლოკომოტივიდან“ გადმოყვანილი გრიგოლ გვაზავა და ცხინვალიდან მოსული შავლეგ ცხადაძე დაიცავენ. სამიდან ორი მცველია, ერთიც — თავდამსხმელი.

სიახლეა ისიც, რომ მეკარე გუბაზ დოლიძე გუნდში დაბრუნდა. გუბაზი უცხოეთში წასვლას ცდილობდა, რამდენიმე ვარიანტიც მოუსინჯავს, მაგრამ საბოლოოდ გუნდში დარჩენა ამჯობინა. დოლიძე ჩვენთან დაბრუნდა და ვარჯიშობსო, გვითხრა თსუ-ს ერთ-ერთმა მწვრთნელმა. სხვა დანარჩენიც უცვლელია და თსუ შედეგის გაუმჯობესებას ეცდება.

## ცუდია, მაგრამ ფაქტია

გაზეთის მოვალეობაა, თორემ გვერწმუნეთ, ჩვენც მოგვბეზრდა ყოველი ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე ანაც წრეებს შორის შუალედში მუდამ ერთსა და იმავეზე, გუნდების ცუდსა და უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაზე წერა. სამწუხაროდ, ახლაც ამას ვიტყვით — ბოლნისის „სიონი“, შესაძლოა, დაიშალოს. გუნდიდან ფეხბურთელები გაიქცნენ, მწვრთნელი თბილისშია და „სიონს“ ვარჯიში ჯერაც არ დაუწყია და ბოლნისში დარჩენილ ფეხბურთელებს რამდენიმე თვის კუთვნილი ხელფას-პრემიებიც არ მიუღიათ. „სიონის“ მეპატრონეები კი, როგორც ჩანს, ფულის გადახდას არ ჩქარობენ. არადა, დრო მიდის, სულ მალე ჩემპიონატიც განახლდება და ქვემოქართლელების შველა შეუძლებელი გახდება. რაც მოგახსენეთ, ცუდია, მაგრამ ფაქტია. „სიონს“ კი ჩემპიონატში თამაში სურს. ვისურვოთ, ასეც ყოფილიყოს.

## გრასჰოპერს მონაგარი გაუნახევრდა

სანამ ჩვენი შვეიცარიელი ლეგიონერები მალტაზე ლატვიას ერკინებოდნენ, „გრასჰოპერმა“ სამხრეთაფრიკის დასავლური პროვინციის გუნდს 10:0 მოუგო. ამ მატჩში 5 გოლი გაიტანა შვეიცარიის ნაკრების თავდამსხმელმა ნესტორ სუბიამ, ხოლო ებრაელმა აბრაჰამ თიქვამ ორჯერ თავად შეაგდო და ოთხჯერ თანაგუნდელს გაუწია ასისტენტობა. ერთ კვირაში „გრასჰოპერს“ მეორე ამხანაგურმა მატჩმაც უწია, ამჯერად „ქსამაქსთან“. ციურიხელები, მასლოვის გადამკიდე, პირველ ტაიმს 0:1 აგებდნენ, მაგრამ ჯერ ჩვენებურმა ყაველაშვილმა გაათანაბრა და მიწურულს თიქვამ მოაგებინათ — 2:1. ოთხშაბათს „გრასჰოპერმა“ „შაფჰაუზენს“ სძლია 3:0. ამ მატჩში მიშას არც უთამაშია, ნემსაძე კი შეუცვლელი იყო. ალბიონზე გადაბარგებული მოლდოვანისა და ყაველას არყოფნა გუნდს თურქილმაზმა და ფოგელმა არ აგრძნობინეს. კუბილაის დუბლს ფოგელმა ერთიც წაამატა.

შვეიცარიის ჩემპიონატის საგაზაფხულო წრის განახლებამდე 10 დღე დარჩა. ჩემპიონობისთვის ბრძოლას საშემოდგომო ეტაპზე რვა თავგამოჩენილი გააგრძელებს დაგროვილ ქულათა ნახევრით. ნუ გაგიკვირდებათ: კენტქულიანებს ერთსაც უმატებენ და შუაზე ისე უყოფენ. ამ სისტემის თანახმად, „გრასჰოპერი“ ახლა 23 ქულითაა პირველ ადგილზე და უახლოეს მდევრებს, ოცდაერთქულიან „ლოზანასა“ და ოცქულიან „სერვეტს“, მცირედით უსწრებს.

## მერანი მალთაყვაში მიდის

ისევ თბილისის „მერანზე“ მოგახსენებთ. ბევრჯერ დაგვიწერია ამ გუნდის წევრები უცხოეთში რომ დაიფანტნენ და ქვეყნის გარეთ თამაში ამჯობინეს „სინათლეზე“ გარჯას. თუმცა, როგორც გუშინ შევიტყვეთ, ცოტა საეჭვოა, რომელიმე მათგანი სხვაგან დაფუძნდეს. მაგალითად ის ფეხბურთელებიც გამოდგებიან, რომელთაც „მერანთან“ კონტრაქტი დაუსრულდათ — გელა ქორიძე, კახა სიდამონიძე, დემურ კაკუბავა უცხოეთში იყვნენ კლუბების საძიებლად, მაგრამ ისევ თბილისში დაბრუნებულან და მათი ბედი ჯერ გაურკვეველია. ოდესის „ჩერნომორეცსაც“ უკანვე გამოუშვია სულიკო დავითაშვილი, ზაზა ცქიფურიშვილი და რომეო გოგიტაძე. ესენი ჯერაც „მერანის“ წევრებად ითვლებიან, მაგრამ ცქიფურიშვილ-გოგიტაძის საკითხი გასარკვევია. მათ თვითნებურად განუზრახავთ ოდესაში წასვლა, „მერანის“ ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად, რისთვისაც კლუბის საერთო კრებაზე პასუხსაც მოსთხოვენ და იქნებ გუნდიც დაატოვებინონ. მოკლედ, „მერანი“ დღემდე გაურკვევლობაშია. მართალია, პოლონეთიდან დაბრუნებული ასპინძელაშვილი, მორკინალყოფილები — აბაზაძე და კაპანაძე, ტორპედოელი გეწაძე, ჯონი ჯანელიძის ხელმძღვანელობით „კახეთში“ გამოწრთობილი მაზანაშვილი და ფოფხაძე, მიხეილ მესხის სეხნია, „მერანის“ ფეხბურთელის ლევან ხორხელის ძმა ავთოც დაიმატეს, მაგრამ გუნდი მაინც, სანახევროდაც არაა დაკომპლექტებული.

დღეს, 12 საათზე, „მერანი“ ამხანაგურად თბილისში დარჩენილ დინამოელებს გაეჯიბრება დიღომში, ორი მარტისთვის კი მალთაყვაში გამგზავრებაა დაგეგმილი ორკვირიან შეკრებაზე. „მერანს“ მეორე წრის პირველი მატჩიც იქვე მიუსწრებს და მალთაყვიდან ლანჩხუთს ესტუმრებიან.

## უცხოელი ცხუმელები

სოხუმის „ცხუმს“ ჩვენში ყველა სიხარულით იხსენებს და არა მარტო მას. აფხაზეთის მხარის გუნდებს თავისებური ხელწერა ჰქონდათ. მათი დამარცხება ძალიან საძნელო საქმე იყო. რა დაგვრჩა მათგან? მხოლოდ ტკბილი მოგონებები. ავბედითმა დრომ რომ აფხაზეთი დაგვაკარგვინა, ხოლო ეს კოლორიტული გუნდები დაშალა. ფეხბურთელებიც ქვეყნიერებას მოედნენ. დანარჩენთა შორის მაინც „ცხუმი“ ბრწყინავდა. „ცხუმი“ სხვა იყო. სად არიან ახლა ისინი. უცბად ყველას გახსენება და ადგილ-სამყოფელის მოძიება ძნელია. დღეს სამ მათგანზე მოგახსენებთ:

გიორგი ჩიხრაძეს უკრაინულ „შახტიორში“ საქმეები რომ აერია, კარგად მოგეხსენებათ. ჩიხრამაც თავი „დინამოს“ შეაფარა. ჩვენებს ფეხბურთელი უკრაინელებისგან ჰყოლიათ ნათხოვარი. „შახტიორის“ ხელმძღვანელებს გახსენებიათ ჩიხრაძე და მოუკითხავთ კიდეც, აქაოდა, ჩინური ვარიანტი გამოჩნდა და შეგვეხმიანეო. გიორგიც შეეხმიანა და ჩინეთის გზას გაუყვა. ჩავთვალეთ, რომ ჩვენებური ერთ-ერთი იქაურ უმაღლესი ლიგის გუნდში მოეწყო, ოღონდ რომელში, ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ. საკითხავი მხოლოდ ის არის, ჩიხრაძის ჩინეთში გადაბარგება მის სანაკრებო კარიერას როგორ წაადგება.

მეორე ცხუმელი გოჩა ჟორჟოლიანი კარგა ხანია, ჩინეთიდან დაბრუნდა. მეკარე „დინამოში“ ვარჯიშობდა და ნოვოსიბირსკული „ჩკალოვეცის“ წინააღმდეგ ამხანაგური მატჩიც ითამაშა. ნოვოსიბირსკელებს კარგი მეკარე სჭირდებოდათ და ჟორჟოლიანსაც მაშინ დაადგეს თვალი. ვერ გეტყვით, რუსებმა და ჩვენებურმა რა მოილაპარაკეს, მაგრამ ფაქტი ერთია, ჟორჟოლიანი წყალტუბოში იმყოფება და „ჩკალოვეცთან“ ერთად ვარჯიშობს.

გოგა გადელიაც ბევრს ახსოვს. სარატოვის „სოკოლ-პჟდ“-ის წევრი ახლახან თბილისში იმყოფებოდა. გოგა ახლაც იმ გუნდში ირიცხება, მაგრამ ვერ თამაშობს. მიზეზი მუხლის მძიმე ტრავმა ყოფილა. სარატოვშია გიზო ჯელაძეც, მაგრამ წარმოიდგინეთ, „ცხუმი“ რომ ყოფილიყო, მაინც სულ სხვა იქნებოდა.

## შევარდენის აისი

კარგია, ბავშვთა ტურნირები თითქმის ყოველკვირა რომ იმართება. ერთმანეთს დიდი ხალისით ეჯიბრებიან ხოლმე, სხვა საქმეა, პირობები აქვთ თუ არა. რამდენიმე დღის წინ მორიგი, ამჯერად თენგიზ კუბლაშვილის სახელობის ტურნირი დასრულდა 1982 წელს დაბადებულ ყმაწვილებს შორის, რომლის ორგანიზატორიც სპორტსაზოგადოება „შევარდენი“გახლდათ. თამაშები სპორტკლუბ „გეორგიას“ მოედანზე, 11 თბილისური გუნდის მონაწილეობით მიმდინარეობდა. ნახევარფინალებში რესპუბლიკური საფეხბურთო სკოლის „შევარდენმა“ „ვითა ჯორჯია“ 2:0 დაამარცხა, „აისი“-35-ე სკოლამ კი „დინამო 83“ 3:0. ფინალი „შევარდენის“ გამარჯვებით დამთავრდა 2:1. შევარდენებმა — ლაშა ჯაჯანაშვილმა, დათო ჩიღვინაძემ და თენგიზ კვერცხიშვილმა ორგანიზატორთაგან სპეციალური პრიზებიც დაიმსახურეს. მათი მწვრთნელი თემურ ადუაშვილია, ხოლო სკოლის დირექტორი — ანზორ ჯინჭარაძე.



ბავშვთა ტურნირის გამარჯვებული თბილისის „შევარდენი“

## აფრიკის თასი '98

# ლომები მოათვინიერეს

### კამერუნი 0:1 კონგო

**კამერუნი:** ონგანძი, ობენ ეჩი, ვომე, მიმბო, სონგი, ბილონგი (იპუა 84), მეტომო, ტჩუტენგი, სიმო (ოლემბე 82), ჩამი (მბომა 54), ჟობი

**კონგო:** მაიალა, კიმოტო, კისომბე, მაკენგა, ბაკასუ, სიმბა, ბაზამბა (მბაიო 88), კანოკენე (კასონგო 66), მამალე, სელეგე, ტოდელუა (მიუტამბა 71)

**0:1 ტოდელუა (30)**



ნკუენი მაიალა, ოკიტანკუი კიმოტო, მუტამბა მაკენგა და მბილუა ტოდელუა — აი ხალხი, რომლის წყალობითაც კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ყოფილი ზაირი, აფრიკის თასის ნახევარფინალში ითამაშებს. სწორედ მეკარის, ორი მცველის და კამერუნელ უკანახაზელებთან ეულად მებრძოლი ტოდელუას თავგანწირული თამაშით მოიპოვეს კონგოელებმა შემდეგ წრეში თამაშის უფლება. მათ მოსაგებად თავი დადეს და აკი მიაღწიეს კიდეც საწადელს.

...დაახლოებით 10 ათასამდე გულშემატკივარი შეიკრიბა ბობო დიულასოში პირველი მეოთხედფინალის საცქერლად. აფრიკელი ფანები ტყუილად სულაც არ გარჯილან, მათ ნამდვილად ლამაზი და თვალწარმტაცი თამაში იხილეს, შეხვედრა, რომლის დარიც, თამამად შეიძლება ითქვას, ამ გათამაშებაში არ გამართულა.

კონგოელთა თავკაცი აკუბა მატუმბა, რომელსაც აფრიკაში მეტად გამოცდილი და ფეხბურთში დაბერებულ მწვრთნელად იცნობენ, როგორც ნამდვილ პროფესიონალს შეშვენის, წინასწარი პროგნოზებისგან თავს იკავებდა, მხოლოდ იმას ამბობდა, ჩემმა ფეხბურთელებმა დარიგებები ყურად რომ იღონ, არ წააგებენო. ეტყობა, ასეც მოხდა — კონგოელებს აშკარად ეტყობოდათ მწვრთნელის ხელი. ისინი ისე გააზრებულად და დაფიქრებულად თამაშობდნენ, მეტოქემ, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით გამოდილი ფეხბურთელები ჰყავდა, კონგოელთა შეჩერება ვერ შეძლო.

მალე გოლიც გავიდა — კონგოელთა ერთ-ერთი შეტევისას კამერუნელმა პიერ ნლენდ ვომემ უმბა კანოკენე საჯარიმოს მისადგომებთან წააქცია და საუდელმა მსაჯმაც ჯარიმა დანიშნა. ეპოპელე ბაზამბას ჩაწოდებული კამერუნელთ არავითარ ხიფათს არ უქმნიდა, მაგრამ ტოდელუას მეურვედ გამწესებული რიგობერტ სონგი შეცდა და კონგოელებიც გალიდერდნენ.

საფინალო სასტვენამდე ერთი საათი რჩებოდა, მაგრამ ეს დრო მოთამაშეებმა ფეხბურთს კი არა, ჩხუბს მოანდომეს. ამიტომაც იყო, აბდულ რახმან ალ ხაედი ფეხბურთელთა გაფრთხილებას რომ ვერ აუდიოდა — საერთო ჯამში აზიელმა მსაჯმა ცხრა აფრიკელი გააფრთხილა, შეხვედრის მიწურულს კი ორი კონგოელიც გააგდო, თუმცა სანამ აწ უკვე ნახევარფინალისტები ცხრანი დარჩებოდნენ, მათ სხვაობის გაზრდა შეეძლოთ — ემეკა მამალეს დარტყმა სასწაულებრივი ნახტომით მოიგერია ვინსენ ონგანძიმ. მალე მსაჯმა ესელე ბაკასუ და მუნდაბა კისომბე გააძევა. მიუხედავად იმისა, რომ კონგოელებს ორი კაცი აკლდათ, ბოლომდე იბრძოლეს, ამ სიტყვის ყოველგვარი გაგებით და ნახევარფინალს დამსახურებულად უწიეს.

— ჩვენ გავიმარჯვეთ და დღეს ეს უმთავრესია. რატომღაც კამერუნს მიიჩნევდნენ ფავორიტებად, მაგრამ ასე რომ არ იყო, ყველა დარწმუნდა. ჩვენ ბრძოლით მოვიპოვეთ ნახევარფინალის საგზური. კამერუნელთა მარცხი შემთხვევითობა კი არა, კანონზომიერება იყო. მიხარია, რომ ასეთი მოთამაშეების მწვრთნელი ვარ, მე ვამაყობ მათით — განაცხადა ფრთაშესხმულმა აკუბა მატუმბამ, რომელმაც ბოლოს ისიც დაიქადნა, ახლა თასის მოგება მიუწვდენელი ოცნება სულაც არაა, ჩვენ ჩემპიონები გავხდებითო.

ახდება თუ არა მატუმბას სიტყვები, ძნელი სათქმელია, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ „მოუთვინიერებელი ლომები" (კამერუნელთა მეტსახელია) დაიმორჩილეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ ოთხი აფრიკული გუნდიდან, რომელიც ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს, მანამდე კი კონტინენტის პირველობაზე გაისარჯა, ერთ-ერთი უკვე გამოეთიშა ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

**ლაშა გოდუაძე**

## ინგლისი

### ლიგის თასის ნახევარფინალი

საპასუხო შეხვედრები

### ჩელსი 3:1 არსენალი

**ჩელსი:** დე გუი, პეტრესკუ, ლებეფი, კლარკი, დაბერი, ლე სო, უაიზი, ჰიუზი, დი მატეო, ვიალი (ნიუტონი 80), ძოლა

**არსენალი:** მენინგერი, დიქსონი, უინთერბერნი (ჰიუზი 71), ადამსი, გრიმანდი, პეტი, პარლოუ (პლატი 46), ანელკა, ვიეირა, ოვერმარსი, ბერხკამპი

**1:0 ჰიუზი (10), 2:0 დი მატეო (51), 3:0 პეტრესკუ (53), 3:1 ბერხკამპი (82პ)**

ორიოდ კვირის წინ „არსენალის" მინდორზე გამართული ბრძოლა „მეთოფეთა" მინიმალური უპირატესობით დასრულდა. მაშინ არსენ ვენგერის ბიჭებმა „ჩელსი", რომელსაც ჯერ კიდევ ჰოლანდიელი რუდ გულიტი წვრთნიდა, 2:1 დაამარცხეს. თუმცა, სტუმართა თამაში იმას მოასწავებდა, რომ „არსენალს" ფინალში ადგილი დაბევებული სულაც არ ჰქონდა. ასეც მოხდა. მწვრთნელგამოცვლილმა „ჩელსიმ" ნამდვილად შესანიშნავად ითამაშა და მეტოქე, რომელიც ბოლო დღეების მოვლენებით გამოწვეული არეულობით სარგებლობას რომ აპირებდა, ყველა კომპონენტში დაჩაგრა. ფინალში გასვლა სრულიად კანონზომიერი იყო.

— ძალიან ვღელავდი. ჩემი თავკაცობით „ჩელსის" პირველი მატჩი გახლდათ და ამის გამო ვნერვიულობდი. გულიტის გუნდიდან წასვლის შემდეგ ჩემი ურთიერთობა ფეხბურთელებთან ცოტა გამკაცრდა, მაგრამ ჩვენ ისევ მეგობრებად დავრჩით. კარგად მესმოდა, რა მძიმე ტვირთი დამაწვა მხრებზე. უკან დახევაც არ ივარგებდა. ვფიქრობ, „ჩელსიმ" დღეს კარგად ითამაშა, ფინალში გასვლა ნამდვილად დავიმსახურეთ — თქვა ჯანლუკა ვიალიმ, რომელმაც სამწვრთნელო კარიერა იღბლიანად დაიწყო — გუნდი პირველივე მატჩში გამარჯვებით თასის ფინალში გაიყვანა.

მასპინძლები მართლაც შეუდარებელნი იყვნენ. უელსელი მარკ ჰიუზის ნაადრევმა გოლმა ძალიან დიდი საქმე გააკეთა. მართალია, გაშვებული გოლის შემდეგ „არსენალმა" ისევ დალაგებულად და შეწყობილად განაგრძო თამაში, მაგრამ ფეხბურთელებს ნათლად ეტყობოდათ, რომ მძიმე დარტყმა მიიღეს. ამის გამო დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ „არსენალის" დაცვას ბზარები დაეტყო, მეტოქის დასუსტებას კი მასპინძლები კარგად იყენებდნენ. ვიალის ბიჭები, რომელთაც გულს ჰიუზის გოლი და კიდევ ერთი სათამაშო ტაიმი უმაგრებდათ, წინ თამამად მიდიოდნენ, მაგრამ მენინგერის კარს კარგა ხანს ვერაფერს აკლებდნენ. ავსტრიელი მეკარე ისე თავგამოდებით თამაშობდა, „არსენალს" სულაც არ ეტყობოდა, დევიდ სიმენი რომ აკლდა. მიუხედავად სამი გაშვებული გოლისა, მენინგერის თამაშს ცუდი არ ეთქმოდა. წაგება უფრო დაცვის უნიათობის ბრალი იყო, ვიდრე მეკარისა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე „არსენალის" უმწეობა აშკარა გახდა, ხოლო ფრანგი პატრიკ ვიეირას მეორედ გაფრთხილებამ და შესაბამისად გაძევებამ სტუმრებს საბოლოოდ მოუთავა საქმე.

გასულ სეზონში ასოციაციის თასის ფინალში ლონდონელმა არისტოკრატებმა პრემიერლიგიდან გავარდნილ „მიდლსბროს" სძლიეს და ახლა შარშანდელი ფინალის მონაწილეები წლეულს უკვე ლიგის თასს გაითამაშებენ. ლონდონელები ამჯერადაც ფავორიტებად ითვლებიან, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „მიდლსბრო" დღესდღეობით პრემიერლიგაში დაბრუნებისთვის იბრძვის და თან საკმაოდ სახიფათო გუნდიცაა.

რაც შეეხება ვიალის, იგი „ჩელსიში" უკვე „დონ ლუკაა".

### მიდლსბრო 2:0 ლივერპული

**მიდლსბრო:** შვარცერი, კინდერი, ფესტა, ვიკერსი, პირსონი, მუსტო, პინეტი (ბეკერი 74), მერსონი, თაუნსენდი, ბეკი, ბრანკა

**ლივერპული:** ჯეიმსი, ჯოუნსი, კარაგერი, მატეო (ლეონარდსენი 46), ბიორნებიე, ჰარკნესი, ბერგერი (რიდლე 65), ინსი, მაკმანამანი, ოუენი, ფაულერი

**1:0 მერსონი (25), 2:0 ბრანკა (4)**

რამდენიმე სეზონია, „ლივერპული" ჩემპიონობისკენ ილტვის, მაგრამ ჯერჯერობით სანუკვარი პრემიერლიგის ჩემპიონთა თასი სხვას რჩება. „ლივერპულს" პირველობისთვის ბრძოლაში მუდამ რაღაც აკლდება. კლუბი, ჩემპიონატისგან განსხვავებით, თასებზე არც ისე კარგად ასპარეზობს, აქაც რომელიმე წრიდან ეთიშება ხოლმე გათამაშებას და ჩემპიონობის დარად, ასოციაციის და ლიგის თასებიც „ენფილდ როუდზე" კი არა, სხვაგან იზამთრებს.

# აქაც ჩვენ ვართ, იქაც ჩვენ ვართ

არავინ ელოდა, რომ „ლივერპული" ფინალში ვერ გავიდოდა, მაგრამ იმან, ვისი გამარჯვებაც ძნელადპროგნოზირებადი იყო, ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი დაჩაგრა და ზედიზედ მეორედ უწია ფინალს, სადაც პირველი ცდა უიღბლოდ დაუსრულდა.

მე-4 წუთისთვის უკვე 2:0 იყო. მისცა თუ არა მსაჯმა თამაშის დაწყების ნება მეტოქეთ, მასპინძლები სტუმრებს გიჟებივით ეკვეთნენ. ლივერპულელები ასეთ თავდასხმას არ ელოდნენ და ხუთწუთიანი არეულობაც ორ გაშვებულ გოლად და შესაბამისად ფინალის მიღმა დარჩენად დაუჯდათ.

მე-2 წუთზე კარაგერი უწყინარ სიტუაციაში დანიელ მიკელ ბეკს ეუხეშა. ექსარსენალელმა პოლ მერსონმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ნარკომანობაშიც ამხილეს, აშკარა პენალტი გოლად აქცია. ორიოდ წუთში „მიდლსბროელთა" იტალიელმა ლეგიონერმა მარკო ბრანკამ, რომელშიც ინგლისელებმა მილანის „ინტერს" მილიონი დოლარი გადაუხადეს, სხვაობა გააორმაგა.



ჯანლუკა ვიალი: მე მწვრთნელი ვარ, ახლა სხვებმა ივარჯიშონ

მატჩის დასრულებამდე 85 წუთი რჩებოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ გოლი აღარ გავიდა. სტუმრად მხოლოდ 1:2 წაგების წყალობით კი „მიდლსბრომ" ფინალს უწია. ისე, იღბალს რა ვუთხარი, თორემ „ლივერპულის" ფინალში ხილვა უსამართლობა ნამდვილად არ იქნებოდა — როი ევანსის ბიჭები, მიუხედავად მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობისა, კარგად თამაშობდნენ, მაგრამ თითქოს ფორტუნამ ზურგი აქციაო, სამჯერ გააფუჭეს უაღრესად კარგი მომენტები — პირველი ტაიმის დასასრულამდე ხუთი წუთით ადრე რობი ფაულერმა, რომელმაც შეხვედრის მიწურულს კოჭი დაიშავა, მაკმანამანის პასით ვერ იხეირა, შესვენების შემდეგ კი თავად სტივმა ვერ გამოიყენა მიდლსბროელ მცველთა ბოძებული შანსი. მოგვიანებით მაკმანამანისვე პასით მაიკლ ოუენმა ვერ ივარგა. სტუმართა ყველა შეტევის სული და გული მაკმანამანი იყო. ეს მეტად ნიჭიერი ნახევარმცველი სეზონის მეორე ნახევარში უდავოდ ძლიერად თამაშობს და რაც დრო გადის, „ლივერპული" მის გარეშე სულ უფრო წარმოუდგენელი ხდება. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მაკმანამანის გარდა ლივერპულის შუახაზში არანაკლებ დიდ როლს პოლ ინსიც ასრულებს.

და მაინც, ფინალში „მიდლსბრო" გავიდა, ამის ფონზე კი „ლივერპულის" და ლივერპულელთა ქება იქნებ უადგილოც იყო...

ნათქვამია, ძლიერი იგებსო, მაგრამ როგორც ყველაფერს, ამ სიბრძნესაც აქვს გამონაკლისი, რომლის დასტურადაც ეს ნახევარფინალიც გამოდგება.

### XXVI ტური

### ასტონ ვილა 0:2 მანჩესტერი

**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, სტონტონი, ეჰიოგუ, ტეილორი, დრაპერი, მილოშევიჩი, რაიტი (გრეისონი 71), ნელსონი, იოაკიმი, იორკი, კოლიმორი

**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ. ნევილი, მაკლეირი (ფ. ნევილი 71), სქოულზი, იონსენი, ირვინი, ბექემი, ბათი (ნივლენდი 80), შერინგემი, კოული, გიგზი

**0:1 ბექემი (82), 0:2 გიგზი (89)**

კვლავ შვიდქულიანი უპირატესობა, კვლავ საკმაო სხვაობა მდევრებთან. ჩემპიონატს ისეთი პირი უჩანს, „მანჩესტერ იუნაიტედს" ზედიზედ მესამე პირველობის მოგება არ უნდა გაუჭირდეს, მიუხედავად იმისა, რომ ალექს ფერგიუსონის გუნდი წინა წლებისგან განსხვავებით, დღესდღეობით ნამდვილად არ არის უცილობელი ლიდერი. უფრო მეტოქეთა ბრალია, „მანჩესტერსა" და მის მდევარებს შორის სხვაობა შვიდი ქულა რომაა, თორემ ოლდტრეფორდელები ამხელა უპირატესობას წლეულს იოლად ვერ მოიპოვებდნენ.

ამჯერადაც ასე იყო — ბირმინგემელები კი ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ შეტევებს სათანადოდ ვერ ასრულებდნენ. შეხვედრის მიწურულს კი ბექემისა და გიგზის დარტყმებისგან კარი ვერ იხსნეს და კვლავაც უქულოდ დარჩნენ.

### საუთჰემპტონი 1:2 ქოვენთრი

**საუთჰემპტონი:** ჯოუნსი, დოდი, ბენალი, რიჩარდსონი (სპედინგი 87), მონკუ, ლუნდეკვამი, პალმერი, ჰერსტი, ლე ტისიე (სლეიტერი 80), ოუკლი, დევისი (ოსტენსტადი 19)

**ქოვენთრი:** ჰედმანი, შოუ, ბაროუზი, ბრინი, ჰაკერბი, ბოატენგი, ჰოლი, ტელფერი, სოლტვედტი, დაბლინი, ფელანი (ნილსონი 80)

საკმაოდ უინტერესო მატჩი „ქოვენთრიმ" კი მოიგო, მაგრამ ასეთი თამაშით ისინი შემდეგ შეხვედრაში მასპინძლებზე ოდნავ ძლიერ მეტოქესთან ვერაფერს გახდებიან. მართალია, სტუმრებმა დასაწყისშივე მოიპოვეს უპირატესობა, მაგრამ „საუთჰემპტონს" კონტრშეტევების დაბოლოებისას უფრო გულდასმით რომ ეთამაშა, ლე ტისიეს პენალტი პრესტიჟის კი არა, გამარჯვების მომტანი გოლი იქნებოდა.

## პირველი დივიზიონი

### სიტი 1:2 იფსვიჩი

**სიტი:** რაიტი, ედჯილი (კრუქსი 46, ბისლი 66), ცხადაძე, შელია, საიმონსი, ჯიმ უაიტლი, ჯეფ უაიტლი, რასელი, ბერდსლი (ბრედბერი 74), ქინქლაძე, როსლერი

**1:0 საიმონსი (5), 1:1 მეტიუ (83), 1:2 დაიერი (90)**

სულ რაღაც შვიდი წუთი აშორებდა მანჩესტერელთა ახალ მწვრთნელ ჯო როილს სადებიუტო გამარჯვებისგან, მაგრამ იგი ხომ ამ შემთხვევაში მეინროუდელთა მწვრთნელი არ იქნებოდა. განა იშვიათად მომხდარა, „სიტის" მატჩი ბოლო წუთებში რომ წაუგია?

– როილის გარდა „სიტის" კიდევ ერთი დებიუტანტი ჰყავდა — პიტერ ბერდსლი.

**ლაშა გოდუაძე**

**დანარჩენი მატჩები:** ნორვიჩი — ტრანმერი 0:2; ვულვზი — ბრედფორდი 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 30 | 18 | 6 | 6 | 48:28 | 60 |
| მიდლსბრო | 30 | 17 | 8 | 5 | 48:26 | 59 |
| სანდერლენდი | 29 | 16 | 7 | 6 | 49:28 | 55 |
| შეფილდი | 30 | 14 | 12 | 4 | 46:31 | 54 |
| ჩარლტონი | 30 | 15 | 7 | 8 | 53:38 | 52 |
| ვულვზი | 31 | 15 | 6 | 10 | 42:31 | 51 |
| ვესტ ბრომვიჩი | 31 | 14 | 7 | 10 | 33:29 | 49 |
| სტოკპორტი | 31 | 14 | 5 | 12 | 49:42 | 47 |
| იფსვიჩი | 31 | 11 | 12 | 8 | 43:33 | 45 |
| ბირმინგემი | 30 | 11 | 11 | 8 | 37:23 | 44 |
| ბრედფორდი | 33 | 11 | 11 | 11 | 34:35 | 44 |
| სვინდონი | 32 | 12 | 7 | 13 | 34:46 | 43 |
| ნორვიჩი | 32 | 11 | 8 | 13 | 31:45 | 41 |
| ქრიუ | 31 | 12 | 4 | 15 | 40:46 | 40 |
| ქუინზ პარკი | 31 | 9 | 10 | 12 | 34:46 | 37 |
| ტრანმერი | 30 | 9 | 9 | 12 | 36:35 | 36 |
| რედინგი | 30 | 9 | 9 | 12 | 31:45 | 36 |
| ოქსფორდი | 30 | 9 | 6 | 15 | 36:44 | 33 |
| ჰადერსფილდი | 31 | 8 | 9 | 14 | 33:46 | 33 |
| სტოკ სიტი | 31 | 8 | 9 | 14 | 31:46 | 33 |
| პორტ ვეილი | 31 | 8 | 7 | 16 | 37:49 | 31 |
| სიტი | 32 | 7 | 9 | 16 | 34:37 | 30 |
| ბერი | 31 | 5 | 15 | 11 | 28:40 | 30 |
| პორტსმუთი | 30 | 6 | 6 | 18 | 32:50 | 24 |

## გერმანია

### თასის ნახევარფინალი

### ტრირი 1:1 დუისბურგი (პენ. 9:10)

**0:1 ზაიერი (51), 1:1 ფენგლერი (88)**

პატარა კლუბის, ტრირის „აინტრახტის" ისტორიის ყველაზე შესანიშნავი ფურცლის დასრულება პროვინციულმა „დუისბურგმა" ითავა — მესამე ბუნდესლიგაში მოთამაშე მოყვარულებს ცოტაღა დააკლდათ და ქვეყნის თასის ფინალში გავიდოდნენ, მაგრამ მათ ოცნებას ასრულება არ ეწერა — 16 მაისს, ფინალში, მიუნხენის „ბაიერნი" „დუისბურგს" შეხვდება.

— მეგონა, ფეხბურთში ყველაფერი ნანახი მქონდა, მაგრამ თუ მატჩის მოსაგებად 11-11 პენალტის დარტყმა მოგვიხდებოდა, ვერც ვიფიქრებდი — განაცხადა „დუისბურგის" თავკაცმა ფრიდჰელმ ფუნკელმა, რომლის კლუბსაც თავის აუტკივებლად შეეძლო ფინალის საგზურს დაბევება, მაგრამ ბოლო წუთებში მცველების უყურადღებობით იორგ ფენგლერმა იხეირა.

— ფინალში გასვლით გუნდის ფინანსური მხარე ძლიერ გაუმჯობესდა. სასიხარულოა, გადამწყვეტ მატჩში რომ ვითამაშებთ. მართალია, მეტოქესთან შედარებით თასის მოპოვების ნაკლები შანსი გვაქვს, მაგრამ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ. დღეიდან „ბაიერნს" ჩემპიონობას ვუსურვებთ, ისინი ჩვენი ფავორიტები არიან — განაცხადა დუისბურგელთა პრეზიდენტმა ჰანს სპიკმა.

თუ მოხდა და თასი „ბაიერნმა" მოიპოვა, ამავდროულად ჩემპიონობასაც გამოჰკრა ხელი „დუისბურგი" ევროთასებზე ითამაშებს.

## საფრანგეთი

### ლიგის თასის მეოთხედფინალები

### სოშო 1:4 ლანსი

**1:0 ბუჟე (39), 1:1 დეუ (63), 1:2 პეტერინი (76ს.კ.), 1:3, 1:4 ბრუნელი (83, 88)**

### ბორდო 4:3 პუატიე

**1:0, 2:0 პაპენი (113, 56), 2:1 ნდიევი (71), 2:2 გურნო (75პ), 3:2 მიკუ (104), 4:2 ლასლანდი (116), 4:3 ბილა (118)**

დრო მოვიდა. „ბორდომ" ქვედადივიზიონელი „პუატიე" წინ აღარ გაუშვა. ისე, არც იყო საჭირო, რადგან ნახევარფინალებში პატარა პროვინციული გუნდი უეჭველად თავს შეირცხვენდა. „ბორდო" აშკარად ძლიერი იყო მეტოქეზე და მიუხედავად იმისა, რომ მოგებისთვის დამატებითი ნახევარი საათი დასჭირდა, ნახევარფინალს დამსახურებულად უწია.

„პუატიეს" პირველი ნახევრის მიწურულს ნახევარმცველი კუე გაუძევეს, მაგრამ მიუხედავად კაცნაკლულობისა, გუნდმა ვაჟკაცურად იბრძოლა და მის წაგებაშიც კი იყო დაუვიწყარი რამ — პროვინციულმა გუნდმა, რომელსაც არასდროს ჰქონია დიდი ამბიციები, ისე ითამაშა, გაცილებით ძლიერ და სახელოვან მეტოქეს მეტად გაუჭირვა საქმე...

კიდევ ერთ მეოთხედფინალში „ლანსმა" თავდამსხმელ ფილიპ ბრუნელის შესანიშნავი თამაშის წყალობით აშკარად დაჩაგრა „სოშო".

## ესპანეთი

### თასის ნახევარფინალი

### ბარსელონა 5:2 სარაგოსა

**0:1 გარიტანო (1), 1:1, 2:1 რივალდო (4, 6), 3:1 ჯოვანი (11), 4:1 ლუის ენრიკე (20), 4:2 გარიტანო (40), 5:2 რივალდო (47)**

### ალავესი 1:2 მალიორკა

**0:1 ესკუერო (43), 1:1 ენსინკო (62), 1:2 სტანკოვიჩი (82)**

ამ სეზონში თასს ალბათ კვლავ „ბარსელონა" მოიგებს, რადგან გათამაშებას მისი დარი გუნდი აღარ შემორჩა. ის ერთი, რომელსაც ასე თუ ისე შესწევდა უნარი, კატალონიელთათვის წინააღმდეგობა გაეწია, „სარაგოსა" იყო, მაგრამ რა დღე აყარა „ბარსელონამ", თავად ხედავთ.

ისე, რივალდომ, რაც „ბარსელონაში" თამაშობს, პირველი ჰეთ-თრიქი შეასრულა, ლუის ვან გაალმა კი კარგა ხნის შემდეგ როგორც იქნა, მომღიმარმა დასტოვა სტადიონი.

მეორე ნახევარფინალში მეორედივიზიონელმა „ალავესმა", ეტყობა, ფავორიტთა ძლევაზე ხელი აიღო და ამჯერად თავად წააგო.

## იტალია

### თასის ნახევარფინალი

### მილანი 0:0 პარმა

### იუვენტუსი 0:1 ლაციო

**0:1 ბოკშიჩი (22)**

## ფეხბურთის რუკასთან



ბელგიურმა „სტანდარდმა" ახალ მწვრთნელად, გუშინ, ხორვატი ლუკა პერუზოვიჩი დანიშნა. იგი ოქტომბერში მოხსნილი ჰოლანდიელი აად დე მოსის ადგილს დაიკავებს. თავის მხრივ პერუზოვიჩიც თანამდებობიდან მოხსნილი გახლავთ. იგი ნოემბერში თურქულმა „გენჩლერბირლიგიმ" გაანთავისუფლა. პერუზოვიჩს ბელიაში მუშაობის გამოცდილება აქვს. იგი „შარლერუასა" და „ანდერლეხტში" მოღვაწეობდა. მისი ასისტენტი იქნება დე მოსის ადგილზე დღემდე დროებით მომუშავე დანიელ ბოკარი. „სტანდარდი", რომელსაც სეზონის წინ ფავორიტად მიიჩნევდნენ, დღეს მე-14 ადგილზეა და 22 შეხვედრაში მხოლოდ ექვსი გამარჯვება აქვს.

**ნორვეგიელი ლარს ბოჰინენი ინგლისურმა „ბლექბერნმა" სატრანსფერო სიაში ჩაწერა. გუნდში როი ჰოჯსონის მწვრთნელად მისვლის შემდეგ 28 წლის ნახევარმცველმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ძალიან განიცდიდა, ამის გამო თავისი ქვეყნის ნაკრებში თამაშის შანსიც არ დაეკარგა. ბოჰინენი რა ხანია სხვა გუნდში გადასვლას ითხოვდა და როგორც იქნა ჰოჯსონის წინააღმდეგობას სძლია. „მერჩივნა ბო-ჰინენი გუნდში დარჩენილიყო, მაგრამ მის ემოციებს ანგარიში უნდა გავუწიოთ — მე ორი გარემარბითა და ორი შუა მეომრით ვთამაშობ, ასე რომ მისი ადგილი, მისგან დამოუკიდებლად აღარ დარჩა" — თქვა ჰოჯსონმა. ბოჰინენი „ბლექბერნში" „ნოტინგემ ფორესტიდან" 1995 წელს 1,2 მილიონ დოლარად გადავიდა.**

დანიის ჩემპიონის „ბრონდბიუს" განცხადებით მის რიგებს უბრუნდება მცველი ბრიან იენსენი. კლუბის ხელმძღვანელებმა თქვეს, რომ 29 წლის ფეხბურთელში ფრანგულ „კანს" 300 ათასი ფრანკი ანუ 49 ათასი დოლარი გადაუხადეს. იენსენმა ძველ კლუბთან 2000 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. აღსანიშნავია, რომ 1995 წელს დანიიდან საფრანგეთში, კერძოდ „რენში" გადასვლამდე მცველს „ბრონდბიუში" 149 შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული.

**უელსის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ნახევარმცველი რობი ჯეიმსი 40 რწლისა მინორ ლიგაში თამაშის დროს გარდაიცვალა. ჯეიმსი „ლანელის" მოთამაშე მწვრთნელი გახლდათ. იგი ოთხშაბათს, „პორტკოულთან" შეხვედრის დაახლოებით 30-ე წუთზე ცუდად გახდა. იგი სასწრაფოდ „პრინც ფილიპ ჰოსპიტალში" მიიყვანეს, მაგრამ მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მას უელსის ნაკრების შემადგენლობაში 47 შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული. საუკეთესო წლებში თამაშობდა „სუონსიში", „სტოკ სიტიში", „ლესტერ სიტისა" და „ქუინზ პარკ რეინჯერსში".**

მაკედონიელი ფეხბურთელი, ქვეყნის ნაკრების წევრი გოცე სედლოვსკი როგორც ჩანს სპლიტის „ჰაიდუკიდან" ინგლისურ „შეფილდ უენსდეიში" გადადის. კლუბებს შორის შეთანხმება თავდაპირველად გასული წლის დეკემბერში დაიდო, მაგრამ შეფილდში სამედიცინო შემოწმებისას მოთამაშეს დაზიანებული მენჯი შეუნიშნეს. მას შემდეგ გაიმართა ვაჭრობის მეორე ნახევარი, რომელიც იმით დამთავრდა, რომ მაკედონიელის ხორვატიული გუნდი 1,2 მილიონ დოლარს ახლავე მიიღებს, 1,63 მილიონს კი იმ შემთხვევაში, თუ სედლოვსკი ახალ გუნდში 100 თამაშს ჩაატარებს ანუ ავადმყოფი არ აღმოჩნდება. დღეს ერთადერთ შეფერხებად ბრიტანეთში მუშაობის უფლებაა დარჩა. „ვგონებ ეს გარიგება ჩვენთვის დიდებულია. ნეტავ სედლოვსკიმ ისე ივარგოს, რომ ის დამატებითი ფული გადასახდელი შეგვექნას" — განაცხადა „უენსდეის" მწვრთნელმა რონ ატკინსონმა, რომელიც მაკედონიელს ტონი ადამსის ნაცვლად უპირებს თამაშს. ატკინსონი ადამსს ძველმოდურ ინგლისელ ცენტრალურ ნახევარმცველს უწოდებს.

**ესპანეთში ხვალ ერთობ საინტერესო ამბავს ელიან. „სევილიას" გულშემატკივრები საგანგებოდ ემზადებიან საძულველი ადამიანის, ხოსე ანტონიო კამაჩოს დასახვედრად, რომელიც ქალაქის მეორე გუნდის, „რეალ ბეტისის" წინააღმდეგ „ესპანიოლს" მიუძღვის. ჯერ არაა ცნობილი რანაირი იქნება პროტესტის ფორმა. კამაჩოს მიმართ „სევილიას" ქომაგთა ზიზღი იმითაა განპირობებული, რომ იგი მათ გუნდს ედგა სათავეში და მათი აზრით პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის მიზეზიც სწორედ ის იყო. „სევილიას" მხარდამჭერთა კლუბის წევრებმა განაცხადეს კამაჩოს დანახვაც კი აღარ გვინდაო. „მე, გასულ სეზონში, მხოლოდ 18 თამაშის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი „სევილიას". ჩემს მერე ექვსი თუ შვიდი მწვრთნელი გამოცვალეს და ვერავინ უშველათ" — თქვა კამაჩომ. „სევილიას" დღეს ფერნანდო კასტრო სანტოსი უდგას სათავეში და პრიმერა დივიზიონში დაბრუნების კარგი შანსი აქვს.**

ინგლისური „ჩელსი" მწვრთნელად იტალიელი ფეხბურთელის, ჯანლუკა ვიალის დანიშვნის შემდეგ ახალ სატრანსფერო კამპანიას იწყებს. ჯერ იყო და შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსში" მოთამაშე დანიელმა ვარსკვლავმა ბრიან ლაუდრუპმა განაცხადა სეზონის დამთავრების შემდეგ ლონდონურ გუნდში გადავალო, ბოლო ცნობით კი „სტემფორდ ბრიჯის" პუბლიკას გულს გაუკეთებს ვიალის ყოფილი თანაგუნდელი, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი დიდიე დეშამპი, რომელიც „იუვენტუსში" თამაშითაა ცნობილი. თურმე დეშამპის აგენტებსა და „ჩელსის" წარმომადგენლებს 4 მილიონ გირვანქად ხელი ხელს დაუკრავთ.

**პორტუგალიელი მწვრთნელი არტურ ჟორჟე ესპანურმა „ტენერიფემ" ორი დღის წინ დაითხოვა. ჟორჟეს შემცვლელი იქნება ხოსე მანუელ ლილო. შეგახსენებთ, რომ ჟორჟემ თავის მხრივ ამ სეზონის დასაწყისში შეცვალა ვიქტორ ფერნანდესი. რაც შეეხება „ტენერიფეს", იგი გასულ სეზონში უეფას თასის ნახევარფინალში თამაშობდა, ახლა კი პრიმერა დივიზიონში ბოლოდან მეორეა.**

## სამასის სამს პლუს ერთი

სამასი აბუს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ სასჯელზე სასჯელი დაამატა — კიდევ ერთი თამაშით გაუგრძელა დისკვალიფიკაცია. მან მსაჯ დევიდ ილერის ხელი ჰკრა და მერე მართალია განაცხადა ინგლისური არ ვიციო, განაჩენს მაინც ვერ ასცდა.

ფრანგი აბუ „ვესტ ჰემს" სამი თამაშით უკვე იყო ჩამოცილებული. ახლა „ბოლტონთან" დღევანდელ შეხვედრასაც სკამიდან ადევნებს თვალს. გარდა დისკვალიფიკაციისა, სადისციპლინო კომიტეტის სამეულმა მას ათასი გირვანქის გადახდაც დააკისრა.

ეს ამბავი „ვესტ ჰემისა" და „ტოტენჰემის" შეხვედრის დროს მოხდა. თამაშში, რომელიც „ტოტენჰემმა" 1:0 მოიგო, აბუმ მეტოქის შვეიცარიელი ფეხბურთელი რამონ ვეგა წააქცია, რისთვისაც არბიტრმა მოედნიდან გააძევა. გაძევებულმა არბიტრს ხელი ჰკრა.

თურმე ნუ იტყვით და აბუს მსაჯისთვის ხელი საჩხუბრად კი არა, რაღაცის სათქმელად, ყურადღების მისაქცევად უკრავს. მერე ასეთი რამ მოხდა, ილერიმ „ვესტ ჰემის" მწვრთნელი ჰარი რედნეპი გაძევებული ფეხბურთელის მოედნიდან გასაყვანად მიიხმო. რედნეპი რომ მინდორზე შევიდა, მისი და „ტოტენჰემის" შოტლანდიელ მცველს, კოლინ კალდერვუდს შორის გაწევ-გამოწევა გაიმართა. აბუს საქმეს ფეხბურთის ასოციაციაში 25 წუთის განმავლობაში არჩევდნენ. რედნეპმა მოსამართლეებს ასეთი რამ უთხრა:

— სამასიმ ინგლისური ძალიან ცუდად იცის. ის ცდილობდა გაეგო, რა ხდებოდა იმ ეპიზოდში.

მოგვიანებით რედნეპმა ჟურნალისტებს აუხსნა: — ჩვენ ხაზი გავუსვით ენობრივი ბარიერის პრობლემას. სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა პატიოსნად მოისმინეს ყველაფერი. ჩვენ პრეტენზია არ გვაქვს.

„ტოტენჰემთან" თამაშში მიღებული წითელი ბარათის გამო აბუმ სამი შეხვედრა „ევერტონთან", „ნიუკასლთან" და „ბლექბერნთან", როგორც მოგახსენეთ, უკვე გამოსტოვა. რედნეპს იმედი ჰქონდა, რომ ამით სასჯელი ამოიწურებოდა და ფრანგს „ბოლტონთან" მატჩში ათამაშებდა, მითუფრო, რომ პოლ კიტსონს საზარდული არ მოუშუშებია, მაგრამ წითელ ბარათს მსაჯის ხელყოფაც დაემატა.

ისე კი რედნეპი მართალია, როცა ამბობს, რომ საპრეტენზიო არაფერი აქვს მართლაც. ვერდიქტი გაცილებით სასტიკი შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან „ვესტ ჰემის" უკვე მეორე ფეხბურთელი წარსდგა სადისციპლინო კომიტეტის წინაშე რამდენიმე კვირის მანძილზე. მიზეზი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე გახლდათ. „ბლექბერნთან" თამაშის დროს სტივ ლომასმაც მსაჯს ჰკრა ხელი.

## EURO 2000
## ჩვენი ჯგუფი

ბელგიაში გამართულმა კენჭისყრამ საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში ერთ-ერთ მეტოქედ ალბანეთი არგუნა და მას მერე, ამ ქვეყნის ფეხბურთელების შესახებ ყველაფერი გვაინტერესებს. მეორე მხრივ, იქ სადაც არიან ფეხბურთელები, აუცილებლად არსებობენ მსაჯებიც და ისევე როგორც ყველგან, ფეხბურთელები მათი უკმაყოფილონი არიან და პირიქით.

## ალბანეთში ქვებს ისვრიან

დღეს ალბანელი არბიტრები მორიგი ტურის ყველა შეხვედრას, ყველა ქალაქში 15 წუთით გვიან დაიწყებენ. მათ საპროტესტო აქცია აქვთ, რადგან ფეხბურთის ფედერაციის ცნობით ბოლო ხანს ხშირად ესხმიან თავს.

როგორც ფედერაციის ერთ-ერთმა ჩინოსანმა, ბესნიკ სელამ სააგენტო „როიტერის" კორესპონდენტთან საუბრისას თქვა, არბიტრებმა გაძლიერებული დაცვაც მოითხოვეს.

თავდასხმის მაგალითი: „სოპოტის" და „შკიპონიას" უგოლო შეხვედრის შემდეგ მასპინძელმა ფეხბურთელებმა მსაჯი ფიკირი ჰაჯია ცემეს. ცემას შესაბამისი რეაქცია მოჰყვა, სამ მოთამაშეს ხუთი წლით აუკრძალეს ფეხბურთის თამაში, გუნდს კი ოთხი საშინაო მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვა მიუსაჯეს.

გავიხსენოთ შარშანდელი ამბავი. ქვეყანაში დიდი არეულობა იყო. ხომ იცით ეგრეთწოდებული „პირამიდა"? აი, რუსეთში მავროდიმ რომ მოაწყო და ხალხი გაამწარა, ისეთი. ზუსტად იგივე მოხდა ალბანეთშიც, „პირამიდა" რა თქმა უნდა ჩაიშალ-დაიშალა, მოქალაქეები აჯანყდნენ და ტყვია გავარდა. დაიღუპა 2 ათასი ადამიანი. ფეხბურთის ჩემპიონატის მეორე წრე, ცხადია, გადაიდო და მოგვიანებით, შეკვეცილად ჩატარდა. უეფამ ვერ გარისკა და არეული ქვეყნის კლუბები ევროშეჯიბრებებზე არ დაუშვა.

დღეს ალბანეთში პოლიტიკური ვითარება ნორმალურია. წესრიგს ხელისუფლება იცავს, მაგრამ დანაშაულს არ უჩანს ბოლო. არეულობების დროს სამხედროთა თოფ-იარაღი ქუჩაში გავიდა და აღარ დაბრუნებულა. შედეგი ისაა, რომ ხულიგნობა ერთობ მიღებული და გავრცელებული რამ შეიქნა.

სელამ თქვა, რომ ზოგიერთ მსაჯს განაწყენებულმა ქომაგებმა ქვებიც კი ესროლეს.

— ცხადია, პოლიტიკური არეულობა სტადიონებზეც უნდა ასახულიყო. სტადიონი ხომ ის ადგილია, სადაც უამრავი ხალხი იყრის თავს — დასძინა მან.

„გაზეტა შკიპტარე" წერდა, მსაჯების განცხადებაში ნათქვამია, დროა ძალადობის წინააღმდეგ ძლიერი ღონისძიება ჩავატაროთო.

„ჩვენ დიდ ზეწოლას და ძალადობას განვიცდით. მეტი ლოდინი შეუძლებელია" — წერია მსაჯთა განცხადებაში.

დარჩა
FRANCE 98
110 დღე

## ფუტიქსის დროშით
## ბერხკამპს კი კვლავ ეშინია

ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი გუს ჰიდინკი და 14 ფეხბურთელი ამერიკას გაემგზავრნენ ორი ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად. კიდევ ოთხი მოთამაშე მოგვიანებით შეუერთდება გუნდს. საქმე ისაა, რომ მათმა კლუბებმა ისარგებლეს უეფას წესით, რომლის თანახმადაც ნაკრების ამხანაგური შეხვედრის წინ ფეხბურთელი მხოლოდ 48 საათით ადრე თავისუფლდება. ეს ოთხეულია: „არსენალის" მარკ ოვერმარსი, „ჩელსის" ედ დე გუი, „ნოტინგემ ფორესტის" პიერ ვან ჰუიდონკი და „მილანის" პატრიკ კლუივერტი.

ჰოლანდიელები ოკეანის გადაღმა აშშ-ისა და მექსიკის ნაკრებებს ეთამაშებიან. ამერიკელებთან თამაში შაბათისთვისაა დანიშნული, მექსიკელებთან — სამი დღის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდია და მექსიკა საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ ჯგუფში მოახვედრა კენჭისყრამ.

ბუნებრივია ამერიკულ ტურნეს გამოტოვებს „არსენალის" დენის ბერხკამპი, რომელსაც თვითმფრინავში ჯდომის ეშინია და შესაბამისად ევროპაში დარჩა. მის ნაცვლად ჰიდინკმა „უტრეხტის" მიხაელ მოლსი წაიყვანა.

გუნდის სრული შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ედვინ ვან დერ საარი (აიაქსი), ედ დე გუი (ჩელსი); მცველები — ფრანკ დე ბური (აიაქსი), უინსტონ ბოგარდი, მიხაელ რაიციგერი (ორივე ბარსელონა), ერნესტ ფაბერი, არტურ ნუმანი, იააპ სტამი (სამივე ეინდჰოვენი); ნახევარმცველები — რონალდ დე ბური (აიაქსი), აარონ ვინტერი (ინტერი), ფილიპ კოკუ, ვიმ იონკი (ორივე ეინდჰოვენი), კლარენს ზეედორფი (რეალი); თავდამსხმელები — მარკ ოვერმარსი (არსენალი), პატრიკ კლუივერტი (მილანი), პიერ ვან ჰუიდონკი (ნოტინგემ ფორესტი), ბუდევინ ზენდენი (ეინდჰოვენი), მიხაელ მოლსი (უტრეხტი).

## გამეორდება ისტორია?

24 თებერვალს მარ დელ პლატაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი არგენტინა ამხანაგურ მატჩში იუგოსლავიის გუნდს უმასპინძლებს. ოკეანისგაღმელებს ნაკრების შემადგენლობა ჯერ არ განუცხადებიათ, ევროპელთა თავკაცმა სლობოდან ზანტრაჩმა კი რჩეულთა ვინაობა გუშინ დაასახელა. გამოძახებულთა შორის არ არიან მადრიდის „რეალის" თავდამსხმელი პრედრაგ მიატოვიჩი და „ტენერიფეს" ნახევარმცველი სლავიშა იოკანოვიჩი. მწვრთნელმა მათი არყოფნა იმით ახსნა, რომ ფეხბურთელთა კლუბებს თამაშის დღეს მეტად საპასუხისმგებლო მატჩები აქვთ.

რაც შეეხება ნაკრებს, მისი შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ივიცა კრალი (პარტიზანი), დრაგოსლავ იევრიჩი (ცრვენა ზვეზდა); მცველები — დრაჟენ ბოლიჩი, ჯორჯე სვეტლიჩიჩი (პარტიზანი), ბრატისლავ ზივკოვიჩი (ცრვენა ზვეზდა). სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი), დეიან სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი), ნიშა საველიჩი (ბორდო); ნახევარმცველები — მიროსლავ სტევიჩი (მიუნხენ 1860), ზორან ნიეგუსი (ცრვენა ზვეზდა), ნენად გროზიჩი, მიროსლავ სავიჩი (ობილიჩი), პრედრაგ პაზინი, ივან ტომიჩი (პარტიზანი); თავდამსხმელები — ანტონ დრობნიაკი (ლანსი), ზორან რანკოვიჩი (ობილიჩი), პერიცა ოგნიენოვიჩი, ზორან იოვიჩიჩი (ცრვენა ზვეზდა);

ბოლოს მეტოქეები 1996 წლის დეკემბერში შეხვდნენ ერთმანეთს, მაშინაც მარ დელ პლატაში, და სტუმრებმა 3:2 მოიგეს.

### საფრანგეთი

25 თებერვალს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლები მარსელში მეორე ამხანაგურ მატჩს გამართავენ ნორვეგიასთან. ფრანგთა მოსამზადებელი შემადგენლობა კი ასეთია: მეკარეები — ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), ლიონელ ლეტისი (მეცი); მცველები — ლორენ ბლანი (მარსელი), ვინსენ კანდელა (რომა), მარსელ დესაი (მილანი), ფრენკ ლებეფი (ჩელსი), ლილიამ ტურამი (პარმა); ნახევარმცველები — იბრაჰიმ ბა (მილანი), ალენ ბოგოსიანი (სამპდორია), კლოდ მაკელელე (მარსელი), დიდიე დეშამპი, ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი); თავდამსხმელები — ბერნარ დიომედი, სტეფან გივარში (ოსერი), იური ჯორკაეფი (ინტერი), რობერტ პირესი (მეცი), დევიდ ტრეზეგი (მონაკო).

### ნიგერია

ხვალ იამაიკა ნიგერიელებს კინგსტონში მასპინძლობს. აფრიკელთა შემადგენლობა კი ასეთია: მეკარეები — აბიდენ ბარუვა (სიონი), იუსტინ აკუბუკი (იესპერ იუნაიტედი); მცველები — ავგუსტინ ეგუავონი (ცსკა), უჩე ოკაფორი (კანზას სიტი), იერო შაკპორი (რეჯანა), განიუ აჟიდი (იულიუს ბერგერი), კინგსლი ობიეკვო (გიუ ეჰედ იგლსი), ბენ იროჰა (სან ხოსე ქლეში), პატრიკ პეშელი (გენჩლერბირლიგი), აჟიბად ბაბალადი (კორეა გლეტა); ნახევარმცველები — სტივენ მუსა (ზაარბრუკენი), ფესტუს ოკოუგა (სპარტა როტერდამი), ემანუელ ებიდი (ჰერენვეენი), კარიბი ოჟიგვი (კაიზერსლაუტერნი), ჯეიმს ობიორა (ანდერლეხტი); თავდამსხმელები — გაბრიელ ოკოლოსი (ვალდოფი), ანრი ონვუზერიკი (ჰერენვეენი), სამსონ სიასია (პერს გლორი), გარბა მოჰამედი (კანი პილარსი), იშოლა შაიბუ (შარქსი), დონდო აკვა (იესპერ იუნაიტედი), რაშიდი იეკინი (ციურიხი).



ედმუნდო

## ქუდი დაიხურა და წავიდა

ედმუნდომ რომი შუაღამისას დასტოვა, „ფიუმიჩინოს" აეროპორტში ჟურნალისტებს თავი აარიდა და რიო დე ჟანეიროს გაფრინდა. არადა, თითქოს „ფიორენტინაში" უნდა ეთამაშა.

ედმუნდოს აგენტს, პედრინიოს სხვა გზა არ ჰქონდა, პრესის წარმომადგენლებს ის დაელაპარაკა.

— ჩემმა კლიენტმა სიამოვნებით ისაუბრა კლუბის მეტაპრონე ვიტორიო ჩეკი გორისთან და სხვა თანამდებობის პირებთან, მაგრამ მაინც შინ დაბრუნება გადაწყვიტა. ედმუნდომ გადაწყვეტილება ოქროს თასზე (კონკაკაფის ჩემპიონატი) გამოსვლის დღეებში მიიღო. მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ მას თამაში სურს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, შეიძლება თუ არა მან აზრი შეიცვალოს, გიპასუხებთ, არ ვიცი. ჩვენ რიოში ვბრუნდებით, მაგრამ ვინაიდან აქ კონფლიქტი არავისთან მოგვსვლია, შინიდან დავუკავშირდებით ხოლმე „ფიორენტინას" და შევეცდებით გამოსავალი მოვძებნოთ — თქვა პედრინიომ.

მაშ ასე, ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელს, ედმუნდოს, ფლორენციელთაგან ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია სჭირდება, თუ არა და სულაც არ ჩავა იტალიაში.

ედმუნდო „ფიორენტინამ" „ვასკუ და გამასგან" გასული წლის მაისში 7,1 მილიონ დოლარად იყიდა. შეთანხმების შესაბამისად, ფეხბურთელი ფლორენციაში მხოლოდ ცოტა ხნის წინ, ნააახალწლევს ჩავიდა, მას მერე, რაც „ვასკუსთან" ერთად ბრაზილიური სეზონი ჩაამთავრა, სადაც 28 გოლი შეაგდო და შვიდი წითელი ბარათი მიიღო. მისმა იტალიაში ჩასვლამ ხელად ააგორა ხმები იმის შესახებ, რომ ედმუნდოს ნებისმიერ ფეხბურთელთან შეეძლება ძირითადში მოსახვედრად ბრძოლა, გუნდის ხელშეუხებელი კაპიტნის, არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტას გარდა. გამოდიოდა, რომ ბრაზილიელის კონკურენტები იყვნენ ლუის ოლივეირა, დომენიკო მორფეო და ანსელმო რობიატი. ბრძოლის ობიექტი გახლდათ „ფიორენტინას" წინა ხაზის ორი ადგილი ანუ პოზიცია ბატისტუტას გვერდით. ედმუნდო გაბრაზდა და ორი თამაშის შემდეგ წავიდა.

— რადგან „ფიორენტინას" ძირითადში არ მათამაშებენ, შინ ვბრუნდები — უთხრა მან „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს — წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატია და მასში მონაწილეობა საფრთხის წინაშე არ მინდა დავაყენო. იტალია ჩინებული ქვეყანაა, ფლორენცია საუცხოო ქალაქია, სერია A-შიც ზუსტად ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, მე რომ ველოდი, მაგრამ აქაურები ძირითად შემადგენლობაში თამაშს იყვნენ დაპირებულნი.

პედრინიომ კი ცოტა სხვანაირად თქვა:
— ედმუნდოს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერმოხვედრისა სულაც არ ეშინია, უბრალოდ მისთვის მნიშვნელოვანია იმის დამტკიცება, თუ რა შეუძლია მოედანზე. ჩემს კლიენტს სურს გაიმეოროს წინა წლებში მიღწეული შედეგები.

# ბულგარელები შინ ბრუნდებიან

სოფიის ცსკა 50 წლისთავზე მორიგი ტიტულის მოპოვებას აპირებს. საამისოდ მან ძლიერი ფეხბურთელები შემოიკრიბა, რომელთა შორის არიან ქვეყნის ეროვნული გუნდის ცნობილი მოთამაშეები ტრიფონ ივანოვი და ემილ კოსტადინოვი. ორივენი ძველ კლუბს ივლისამდე დაუბრუნდნენ და თვლიან, რომ ასე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთ მოემზადებიან.

ივანოვი 32 წლისაა. გასულ სექტემბერს სწორედ მისმა თავურმა დაამარცხებინა ბულგარელებს მოძმე სლავი რუსები და საფრანგეთის საგზური მოაპოვებინა. იგი კარგა ხანს ვენის „აუსტრიის“ მოთამაშედ იყო ცნობილი, მაგრამ ბოლოს ავსტრიისავე მესამე დივიზიონის „ავანტიში“ გადაბარგდა. სწორედ „ავანტისგან“ ითხოვა ცსკამ მარად გაუპარსავი მცველი.

კონსტადინოვი, მოგეხსენებათ, ფორვარდია და ერთობ პოპულარულიც. ამ 31 წლის ფეხბურთელის ხსენებისას გონებაში, უპირველეს ყოვლისა, პარიზის „პარკ დე პრენსი“ ამოტივტივდება. იქ 1993 წელს, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად მან ისტორიული გოლი გაიტანა. შეხვედრის ბოლო წამზე დარტყმულით საზეიმოდ შემართული ფრანგები ულმობლად დაანარცხა, ბულგარელებს კი ისტორიაში არგაგონილი ალმასვლისკენ გაუხსნა გზა. კიდევ კოსტადინოვის გვარს უკავშირდება 1994 წლის შემოდგომა, საქართველოს ეროვნული გუნდის პირველი ოფიციალური სტუმრობა. გამოუცდელი ქართველები ყოჩაღად უძალიანდებოდნენ მსოფლიოს მეოთხე გუნდს, რომელიც აშშ-ის ჩემპიონატის შემდეგ პირველ შეხვედრას ატარებდა, მაგრამ კოსტადინოვის მოედანზე შესვლა და ბულგარელთა წარმატება ერთი გამოდგა. თავდამსხმელმა ბურთთან პირველსავე შეხება გოლად აქცია, ერთი ხნის შემდეგ კი ზედ მეორეც დაამატა.

კოსტადინოვი სოფიას საზღვარგარეთ გატარებული რვა წლის შემდეგ დაუბრუნდა. ბოლოს იგი მექსიკაში, UNAM-ში გამოდიოდა. „წითელ“ გუნდში დაბრუნებულმა კვიპროსზე გამართული ტურნეს დროს ოთხჯერ დალაშქრა მოწინააღმდეგეთა კარი.

დღეისთვის ცსკა „ლევსკისთან“, „ლიტექსთან“ და „ლოკომოტივთან“ ერთად ბულგარეთის თასის ნახევარფინალისტია. მას მერე, რაც ზემოხსენებულ კვიპროსულ ტურნირზე მოსკოვის „დინამო (3:2) და სლოვაკეთის ჩემპიონი „კოშიცე“ (2:1) დაამარცხა, მის გულშემატკივრებს იმედი ჩაესახათ, რომ გუნდი ევროპულ სარბიელზე წარმატებული ასპარეზობისთვისაც არის მზად, მაგრამ ახლა უმთავრეს ამოცანად ბუნებრივია ქვეყნის ჩემპიონობა მიაჩნიათ. ჩემპიონის ტიტულს კი არმიელებს „ლიტექსი“, „ლევსკი“, „ნეფტოხიმიკი“, „ლოკომოტივი“ და „სლავია“ ეცილებიან. სხვათა შორის, „ლიტექსი“ ბულგარული ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში ამ სეზონში ალზევებული გუნდია, დებიუტანტს კი პირველობისთვის ამ ქვეყანაში 1940 წლის შემდეგ არ უბრძოლია.

მაშ ასე, ცსკა ოცდამერვედ ცდილობს გვირგვინის დადგმას და ერთობ ალიზიანებს, რომ საახალწლო არდადეგების წინ ცხრილის სათავეში „ლიტექსი“ დამკვიდრდა. არადა ახალგამომცხვარი ლიდერი სამი ქულით უსწრებს ბულგარული ფეხბურთის მეორე გიგანტს, სოფიის „ლევსკის“, ქვეყნის ოცგზის ჩემპიონს.

ისე კი, პატარა გუნდი პატარა გუნდია. ასეთებს ერთი ბედი აქვთ, მიაღწევენ ერთიბეწო წარმატებას და ხელად ფეხბურთელი გაურბით. ასეა „ლიტექსიც“. მან ჩემპიონატის ბომბარდირთა შეჯიბრების სათავეში მოქცეული სტეფან იურუკოვი და მეორე ფორვარდი დიმჩო ბელიაკოვი თურქულ „გაზიანთეფსფორს“ მიჰყიდა. ვაჭრობამ დაუპატიჟებელ ფავორიტს 2,1 მილიონი დოლარი შემატა.

ერთია გაყიდვა, მეორე — ყიდვა. „ლიტექსს“ ბულგარეთის ნაკრების 23 წლის მცველის, რადოსტინ კიშიშევის შეძენა სურს და იგი ესპანეთში მოწყობილ შეკრებაზეც იახლა, მაგრამ რაც გინდა, ქვეყნის საფეხბურთო კავშირის განმარტებით ეს მანამდე არ მოხდება, სანამ არ შეთანხმდებიან თავად „ლიტექსი“, კიშიშევის ყოფილი კლუბი „ნეფტოხიმიკი“ და თურქული „ბურსასფორი“, რომელმაც მოთამაშე „ნეფტოხიმიკისგან“ სექტემბერში ითხოვა.

ასეთი ამბებია! ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი ხრისტო ბონევი კი ფრიად კმაყოფილი გახლავთ. მან ორიოდ დღის წინ თქვა ამდენი ძლიერი ფეხბურთელის სამშობლოში დაბრუნება ძლიერ კარგია, დონეს აგვიმაღლებსო, თუმცა ესეც დაამატა:

— ვინმეს შინ დაბრუნება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე მას აუცილებლად გუნდში მივიწვევ.

ბულგარელებს საფრანგეთში მართლაც ძლიერი მეტოქეები ელით: ესპანეთი, პარაგვაი და ნიგერია. მაგრამ მანამდე...

დღეს ამ ქვეყანაში ჩემპიონატი განახლდება.



საქართველო — ბულგარეთი. მაშინ კოსტადინოვს ორჯერ გადავურჩით

# საუბარი სინანულისათვის

იყო დრო, უნგრული ფეხბურთი მსოფლიოში საუკეთესოდაც ითვლებოდა, თუმცა გამოხდა ხანი, ყველაფერი შეიცვალა და ღრმა კრიზისში მყოფ უნგრელებს ვერაფერმა უშველა. გუნდი, რომელმაც ერთ დროს ინგლისი „უემბლიზე“ 6:3 დამარცხდა, შემდეგ კი შინ 7:1 მოუგო, აგერ უკვე ათ წელზე მეტია, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ევროპის ჩემპიონატზეც ვერ გასულა. ნაკრებთან ერთად კარგი დღე არც უნგრულ კლუბებს ადგათ — ევროპის საკლუბო ტურნირებში კი მონაწილეობენ, მაგრამ ეს უფრო აუცილებლობის მიზნით ხდება, ვიდრე რაიმეს მისაღწევად.

შარშან დეკემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დასრულდა. უნგრელებმა ფინელთა უთავბოლობის წყალობით ფლეი-ოფს უწიეს, იქ კი იუგოსლავიასთან სასტიკად შერცხვნენ — შინ 1:7, სტუმრად კი 0:5 წააგეს. ასეთი ანგარიშებით დღეს სან მარინო და ფარერები არ მარცხდებიან.

მას შემდეგ ორ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ ამის გამო ცანკი არავის გაუთავისუფლებია და დღესაც უნგრელთა თავკაცად ითვლება. თითქმის ერთ თვეში, 25 მარტს, უნგრელები ავსტრიას შეხვდებიან ამხანაგურად. უნგრელებს როგორც ჩანს, აშკარად არ ეპიტნავებათ ცანკის კვლავ ნაკრების მწვრთნელად ხილვა.

1996 წელს, შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე, უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ქვეყნის პირველი გუნდის მწვრთნელად იანოშ ცანკი დაამტკიცა, მაგრამ მისი ხელი ნაკრებს არც უმალ დაეტყო და არც შემდეგ. უნგრეთი ისევ ისეთ მოსაწყენ და შავ-თეთრ ფეხბურთს თამაშობდა, როგორც მანამდე. მწვრთნელის კრიტიკა მისი თანამდებობაზე დანიშვნის დღიდანვე დაიწყო და არც შემდეგ შეწყვეტილა, იუგოსლავებთან მარცხკი მისი მიწასთან გასწორება მოჰყვა. არც ცანკის ამომრჩევლებს, უნგრეთის ფეხბურთის მამებს დაადგათ კარგი დღე.

ამ დღეებში ფეხბურთის ფედერაციის სხდომა გაიმართება, რომელზეც ნაკრების ახალი მწვრთნელის არჩევაა მოსალოდნელი. ცნობისთვის — უნგრეთის ნაკრებმა ბოლო 12 წელიწადში 13 მწვრთნელი გამოიცვალა.

რაც შეეხება ცანკის შესაძლო მემკვიდრეებს, ისინი საკმაოდ არიან — უპირველეს კანდიდატებად ბუდაპეშტის „ვაშაშის“ მწვრთნელი ფერენც გენცვაინი და „ფერენცვაროშის“ თავკაცი ტიბორ ნილაში ითვლებიან. ამათთან შედარებით ნაკლებ სავარაუდოა, რომ უნგრეთის პირველი გუნდის გაწვრთნა ატილა კოვაჩმა, ლაიოშ ბეტერმა და ატილა შესერმა იტვირთონ. ყველა მათგანი უნგრეთის უმაღლესი ლიგის კლუბებს თავკაცობს.

— ვიცი, ნაკრების მწვრთნელად არ დამტოვებენ, მაგრამ მართალი გითხრათ, არანაირი უფლება არ მაქვს, თანამდებობაზე დავრჩე. სათქმელი უნდა ითქვას, უნგრეთის გუნდს ჩემი ხელმძღვანელობით პროგრესი არ განუცდია. მე, როგორც გულშემატკივარს, ძლიერ გამიხარდება, თუ ნაკრებს სხვა ვინმე შედეგიანად გაწვრთნის — განაცხადა ცანკმა.

არავინ იცის, რას იზამს უნგრეთი ახალი მწვრთნელის ხელში. ისე, ჯერ არც შეცვლიათ თავკაცი. ამჟამად დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ უნგრეთი ახლაც ისეთივე სუსტი და უსუსური გუნდია, როგორიც ამ ბოლო წლებში იყო.

სხვათა შორის, ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უნგრელების მეტოქეები სლოვაკეთი, რუმინეთი, პორტუგალია, აზერბაიჯანი და ლიხტენშტაინი არიან.

# ბრძოლა მწვავდება

ფიფამ აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო შეკრება დანიშნა. პატივცემული ხელისუფალნი იმსჯელებენ თავიანთი ორგანიზაციის გენერალური მდივნის, ზეპ ბლატერის მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატად წამოყენების შესახებ.

შეკრების თარიღია 13 მარტი. ფიფას დიდმოხელენი ევროპული ფედერაციის, უეფას ზეწოლამ აიძულა ამ ნაბიჯის გადასადგმელად. ადრეც ვწერდით: უეფა დაჟინებით მოითხოვს ბლატერისგან ნათელ პასუხს, აპირებს თუ არა პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლას. მოგეხსენებათ ევროპელთა ლიდერი ლენარტ იუჰანსონი ჯერჯერობით თანამდებობის ერთადერთი კანდიდატია.

უეფადან გამოსული ხმების თანახმად ფიფას აღმასკომის 24 წევრიდან ცამეტმა ყაბული თქვა საგანგებო შეკრების მოწვევაზე. იმასაც გაუწყებდით, რომ თუ ბლატერი თავის კანდიდატურას წამოაყენებს, დიდი კონფლიქტია მოსალოდნელი. იუჰანსონი ამტკიცებს, რომ თუ პრეზიდენტობას ისურვებს, ბლატერი ვალდებულია საარჩევნო კამპანიის განმავლობაში გენერალური მდივნის თანამდებობიდან გადადგეს.

საყურადღებოა, რომ შეკრების დასანიშნავად 24-დან 11 ხმაც საკმარისი იქნებოდა.

# საჭირბოროტო კითხვა — პასუხი

*რატომ წააგო ინგლისის ნაკრებმა 0:2 ჩილელებთან?*

იმიტომ, რომ ჰოდლმა სტიუარტ პირსი და მეტ ლეტისიე არ ათამაშა.

*ამათ რომ ეთამაშათ, რა მოხდებოდა?*

მაშინ 0:4-ს წააგებდა.

*ჰო, მაგრამ, დიონ დაბლინის თამაში ხომ ექსპერიმენტი იყო?*

ერთმა ძველმა მეცნიერმა სახურავზე რკინის ჯოხი დააყენა და ჯოხს რომ მეხი დაეცა, ხელი მოკიდა, აბა, რა მოხდებაო. ესეც ექსპერიმენტი იყო.

*რა მოუვიდა იმ მეცნიერს?*

ის, რაც „მანჩესტერ სიტის“ მოსდის ყოველ შაბათს. ფეხები გაფშიკა.

*მაშ, ჩილი ძლიერი გუნდი ყოფილა. იოლად ხომ ვერ მოიგებ „უემბლიზე“?*

გააჩნია, ვის ეთამაშები. თუ „უემბლიზე“ ინგლისის ნაკრებს ხვდები, უეჭველად მოიგებ.

*ამის მიზეზი ძნელი საპოვნია?*

მიზეზი ცნობილია — ინგლისელ ფეხბურთელებს არ უყვართ „უემბლი“. ამიტომაც ანგრევენ. მის ადგილას ახალი უნდა ააშენონ, ჰოდა ნაკრები სხვაგან ითამაშებს.

*სად?*

„ოლდ ტრეფორდზე“.

*განა „ოლდ ტრეფორდზე“ უყვართ ინგლისის ნაკრები?*

თუ ინგლისი ნორვეგიას არ ეთამაშება, მაშინ უყვართ.

*რატომ ნორვეგიას?*

იმიტომ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ იგივე ნორვეგიის ნაკრებია.

*კარგი და, ინგლისმა თუ სულ წააგო და წააგო, ჰოდლის ნაცვლად ვის დანიშნავენ?*

უეჭველად, ჯანლუკა ვიალ[illegible].

*რატ[illegible]?*

იმიტომ, რომ ნაკრების მწვრთნელი აუცილებლად „ჩელსის“ ფეხბურთელი უნდა იყოს.

*ჰო, მაგრამ, გულიტი?*

გულიტი აღარ არის „ჩელსის“ ფეხბურთელი. პირდაპირ „სტემფორდ ბრიჯიდან“, შენი ბუცებიანად უნდა მიხვიდე ნაკრების მენეჯერად და მაშინ მიგიღებენ.

*არა მგონია, ეგ სწორი იყოს, გრემ ტეილორი ხომ არ მოქცეულა ასე?*

გრემ ტეილორს მისამართი შეეშალა, „გრიმსბი თაუნში“ იყო მიწვეული მენეჯერად და ისე გამოვიდა, ბირმინგემიდან გრიმსბიში რომ მოდიოდა, ავტობუსში ჩამოეძინა. რომ გაიღვიძა, უკვე ლონდონში იყო და გადაწყვიტა, ბარემ აქა ვარ და ნაკრებსაც გავწვრთნიო. მაშინ სხვა დრო იყო.

*და გულიტს თუ შეუძლია ფეხბურთის თამაში?*

გულიტს ისევე შეუძლია ფეხბურთის თამაში, როგორც ვიალის მწვრთნელობა.

*რა შუაშია აქ ჰოდლი?*

ჰოდლსაც არ შეეძლო მწვრთნელობა, როცა ფეხბურთელი იყო. ვერც ფეხბურთელობა შეძლო, მწვრთნელი რომ გახდა.

*განა ეს რაიმეზე მეტყველებს?*

ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჰოდლს ვერ გადაუწყვეტია, საკუთარი თავი გამოიძახოს „ბიშემში“ თუ სტივ მაკმანამანი.

*ესე იგი, ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ვერ იბრძოლებს?*

ეგებ იბრძოლოს კიდეც, თუ ნახევარფინალი „უემბლიზე“ არ ექნა და პენალტები არ შეექნა დასარტყმელი.

*რატომ ვერ გააქვთ პენალტები ინგლისელებს?*

იმიტომ, რომ სკოლაში რაგბის სწავლობენ და მერე ფეხბურთელები ხდებიან.

*ამისთვის რა უნდა იღონონ?*

ბლატერს უნდა დაურეკონ. იმას უყვარს კარის გაზრდაზე ლაპარაკი.

*მაშ, საშველი აღარ ყოფილა?*

არის საშველი: ბეტის კოჭები შირერს უნდა ჩაუდგან, ლეს ფერდინანდის ტანს მა[illegible] ოუენის სული უნდა შთაბერონ, რომ ლი და [illegible] მაკმანამანი კი ერთმანეთს შეაწებონ სიამის ტყუპებივით.

*და ბექემი?*

ოცდაორი წლის ბიჭი რომ ცოლად მატრაკვეცა სფაის გოგოს შეირთავს, მისი ფეხბურთი წასულია.

*რატომ არის წასული?*

იმიტომ, რომ თამაში სიმღერა ჰგონია.

*და გაზა?*

მოდი, ამინდზე ვილაპარაკოთ.

# რას მოგვიტანს როილი?

იყო დრო, როდესაც მანჩესტერის საფეხბურთო სიმბოლო იალქნიანი გემი იყო. სულ რაღაც ორმოციოდე წლის წინათ, „სიტის“ ცისფერ და „იუნაიტედის“ ალისფერი კვართების გულის ფიცრებზე გემი იყო გამოსახული. შემდეგ ხალხმა „წითელი ეშმაკუნები“ შეარქვა „იუნაიტედს“ და ამ გუნდის გერბზე გემის ადგილი სამკაპიანმა ეშმაკმა დაიკავა. სიტი კვლავ იალქნიანი გემის ერთგული დარჩა, აგერ შარშანდლამდე.

შარშან კი „სიტიმაც“ უკუაგდო გემი და გულზე არწივი გამოისახა. რა მიზეზით მოხდა ეს, ძნელი სათქმელია. მეინ როუდის ბედკრულ გუნდს საარწივო არაფერი გაუკეთებია. ლექსსაც ვერ მოიშველიებ, აქაოდა, დაჭრილი არწივი ყვავ-ყორნებმა დაკორტნესო. სიტი არასოდეს ყოფილა დაჭრილი არწივი და არც არასოდეს დაცემულა ასე.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ერთია — „სიტი“ მეინ როუდიდან ოლდ ტრეფორდზე უნდა გადაბარგდეს და იქ ეძიოს გამარჯვების სურნელი. ასეთი რამ ადრეც მომხდარა: ომის დროს გერმანულმა ბომბებმა მიწასთან გაასწორა ოლდ ტრეფორდი და „სიტიმ“ მეინ როუდზე შეუშვა მოქიშპენი. „იუნაიტედის“ ალორძინებასაც მეინ როუდზე ჩაეყარა საძირკველი.

მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი იცინის. ფრენსის ლი ალბათ სხვაგვარად ფიქრობს. ამიტომაცაა, რომ ფრენკ კლარკს ქუდი დაახურეს და გაისტუმრეს. მაგრამ ქუდი მრავალს დაუხურია და „სიტის“ კი არაფერი შველებია. შარშან ზამთარში რომ კლარკმა მოგებათა სერია გააჩერხა, საქართველოს (!) იმედი ჩაისახა, წელს თუ არა, გაისად „სიტი“ პრემიერშიფს დაუბრუნდებაო. კლარკი ხომ ბრაიან კლაფის მემკვიდრე გახლდათ. დიდი „ნოტინგემის“ მოთამაშე და მწვრთნელობაში აღზრდილი. ისემც კარგი დაგემართოთ. კლარკმა ავ სულებს, მეხუთე კოლონას, დააბრალა ყველაფერი და საქმე ისე გახადა, რომ სიტი სადღაც ქვემოთ, „ჩესტერებისა“ და „ბრენტფორდებისკენ“ მიიწევს. თუ ასე გაგრძელდა, „სიტი“ ნონ-ლიგის ამბავშიც გაერევა და „მოტლის“, „იდენბრიჯისა“ და „სლაუს“ წინააღმდეგ მოუწევს ბრძოლა.

„სიტი“ დაიკარგება და ჩვენ არც კი უნდა ვჩიოდეთ ამ ბედშავი გუნდის ამბავს, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის სამი ვარსკვლავი იქა გვყავს და რა ვქნათ? საკვირველია, მაგრამ „სიტისთან“ ძიძართებაში ტერმინ „ვარსკვლავს“ მოვიხმართ. რა ვქნათ, ცხოვრება პარადოქსებით არის სავსე. „სიტის“ ვარსკვლავი ჰყავს და ინგლისური ფეხბურთის მესამე ეშელონისკენ მიექანება.

მაინც რა უბედურებაა? ალან ბოლი, მსოფლიოს ჩემპიონი, მენეჯერი კაცი. ქუდი დაახურეს. გაუშვეს. სტივ კოპელი, კარგი მობურთალი, მენეჯერობაში გარკვეული კაცი. სულ გულის ფრიალით განერიდა მეინ როუდს, „ჩემი ფსიქოლოგიური მდგომარეობაო“ და რაღაცეები თქვა კიდევ. ესეც ავ სულებზე ფიქრობდა. ჯორჯ გრემი. დიდებული მენეჯერი. ქვა რომ შემიგდოთ, მეინ როუდზე არ შევალო, ესეც, მგონი, ავ სულებს გულისხმობდა და „ლიდსში“ წავიდა. „სიტიში“ კი არაფერი იცვლება: უფრო სწორად კი, ეს ძველისძველი კლუბი დინჯი და გაზომილი ნაბიჯით მიემართება საბოლოო აღსასრულისკენ.

ახლა ჯო როილი მოიყვანე[illegible]. კაცი [illegible]მელსაც ცხოვრებაში უპოთლო „კოკა-კოლაც“ კი არ [illegible]. მისი ამოცანა სიტის პირველ დივიზიონში შემაგრებაა. როილმა, როგორც „ოლდემისა“ და „ევერტონის“ ყოფილმა მენეჯერმა არაფერი იცის მეინ როუდზე დაბუდებული ავი სულების შესახებ. ის კია ცნობილი, რომ ტრანსფერებისმოყვარე კაცია და გუნდის გადაწყობა-გადმოწყობას დაიწყებს. ეგებ ამ ამბავში ქინქიც მოყვეს და მაშინ ორწლიანი იწილო-ბიწილოსაც ბოლო მოეღება.

რა უნდა „სიტის“ მსოფლიო ფეხბურთისგან? ეს ბუნდოვანი რამ არის. უფრო სწორად კი, ამოუცნობი საიდუმლოა. რა უნდა მეინ როუდიზე ფანობას ჩვენგან? ეს ხომ საერთოდაც გაუგებარი ამბავია. კლარკი ყოველთვის უფრო იყო მწვრთნელი, ვიდრე როილია. კლარკის „სიტიმ“ ყველა რეკორდი მოხსნა უვარგისობაში, თვით ბოლის თვალშეუდგამი მიღწევებიც კი გააფერმკრთალა.

რას მოგვიტანს როილი?

ჩვენის აზრით, მან ოლდ ტრეფორდზე უნდა დარეკოს და შეეცადოს, თავისი ბიჭები გამარჯვებით გაჯერებული ჰაერით ასუნთქოს. „სიტის“ რომ ოლდ ტრეფორდზე თუნდაც ერთი განავარდების საშუალება მიეცეს, გუნდი სულ სხვაგვარად გაშლის ფრთებს და ავ სულებსაც დააფრთხობს. „იუნაიტედმა“ კი, ალალი მეზობლობა გასწიოს. ის კარგი იყო, მეინ როუდზე რომ გამოიხედა თვალებში?

მე რომ ფერგიუსონი ვიყო, სოლსკიაერსაც კი ვათხოვებდი „სიტის“.

აბა, შეილო ფრენსის, სადამდე?

ასეთი გუნდი ჰლანდრდიდრონ ველსსაც კი ჰყავს, უელსის მადლიან მიწაზე.

ირაკლი გამყრელიძე

# ახალი ხელწერით



ლევან მოსეშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრები გუშინ მოსკოვში გაემგზავრა, საიდანაც ლატვიაში ჩავა და ვენტსპილსში 25 თებერვალს ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩს ითამაშებს ამ ქვეყნის ნაკრებთან, 28-ში კი — იტალიის ქალაქ სიენაში ევროპის ვიცე-ჩემპიონებთან. რუსეთის დედაქალაქში საქართველოს ნაკრები ორ მოსკოვურ გუნდთან გამართავს ამხანაგურ მატჩებს — 21-ში „ხიმკისთან" და 23-ში ცსკა-სთან. გამგზავრების წინ ვესაუბრეთ ნაკრების მთავარ მწვრთნელს **ლევან მოსეშვილს.**

**— თვეზე ცოტა მეტია, რაც ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდით. ამ ხნის განმავლობაში ოდნავ მაინც თუ გაუმჯობესდა გუნდის პირობები მომავალი თამაშებისთვის მოსამზადებლად?**

— ერთი, მე ვიტყოდი, კარგი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. გენერატორი გამოგვიყვეს დიღომში, „დინამოს" ბაზაზე, სადაც ნაკრები ვარჯიშობს. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამით გადაწყდა ცხელი წყლის და დარბაზის გათბობის პრობლემაც. ამიერიდან დენის მომლოდინე აღარ ვიქნებით და ნაკრების ვარჯიშიც ნორმალურ პირობებში ჩატარდება. გარდა ამისა, სპორტის სასახლის ადმინისტრაციამაც საშუალება მოგვცა, შესარჩევი მატჩებისთვის იქ გვევარჯიშა. გამოიყო იმის თანხებიც, რომ მოსკოვში გავმართოთ შეხვედრა სპარინგ-პარტნიორებთან. მოკლედ, ნაკრების მზადებას შესაძლებლობისამებრ ყურადღება მიექცა.

**— ნაკრები ძირეულად არ გადახალისებულა.**

— ვფიქრობ, გადახალისდა. მართალია, მხოლოდ ერთი ახალი სახელია — ბოისა, მაგრამ ჯაფარიძე, გოგობერიშვილი, მაისურაძე მაინც არ იყვნენ დამკვიდრებული ნაკრებში. მე კი მინდა, მათ უფრო მეტი თამაშის საშუალება მივცე. გუნდში დაბრუნდა კახა შენგელიაც, რომელიც კარგა ხანს არ ჩანდა ნაკრებში.

**— ახალი მწვრთნელი, ბუნებრივია, თავისი ხელწერით მოდის გუნდში. ძირითადად რას მიაქციეთ ყურადღება?**

— ჩვენი ნაკრების წინა მატჩებით უკმაყოფილო ვიყავი, განსაკუთრებით დაცვის თამაშით. ამიტომ ჩვენ დავამუშავეთ დაცვითი თამაშის გეგმა, ზონური პრესინგის ვარიანტი, რომელსაც ამ შეხვედრებში გამოვიყენებთ.

**— გუნდის შემადგენლობა საბოლოოდაა დადგენილი?**

— ნაკრების შემადგენლობა ერთხელ და სამუდამოდ არ დადგინდება. ის კალათბურთელები, რომლებიც ახლა გუნდში არ არიან, ყოველთვის შეიძლება ნაკრებში დაბრუნდნენ. ვთქვათ, რეზო ჩხეიძე, გია სანაძე, დავით ბერძენიშვილი, მამუკა აბრამიძე ისევ რჩებიან ჩვენი თვალთახედვის არეში. მაგრამ მე ვფიქრობ, ნაკრებში ახალი მოთამაშეებიც უნდა გამოიცადონ. ახლა არ მოვიწვიეთ ბერძენიშვილი და მის ნაცვლად გუნდში ჯაფარიძეა, რომელიც ძალიან კარგ ფორმაშია. ირაკლიზე გარკვეულ იმედებს ვამყარებთ, რადგან იგი უფრო მობილურია, შეუძლია, საშუალო და შორი მანძილებიდანაც შეუტიოს მეტოქის კალათს და მეურვე ფარიდან შორს გაიყვანოს. ასევე სხვა ახალ მოთამაშეებსაც, რა[illegible]მა უნდა, გარკვეული ფუნქციები და[illegible]რებათ.

**— გამთამაშებლის პრობლემებზე ადრეც გვითქვამს. ახლა რა მდგომარეობაა?**

— ამ ეტაპზე გათამაშება ვაშაკიძეს, მაისურაძეს და ხოშტარიას დაეკისრება. ისინი საკმაოდ კარგ ფორმაში არიან. თუმცა სამივე უფრო მეორე ნომერია, ვიდრე წმინდა წყლის გამთამაშებელი. ჩემი აზრით, მათ თავი უნდა გაართვან ამოცანას, მაგრამ მომავლისთვის მაინც ვფიქრობთ სუფთა გამთამაშებელზე. რეზერვში გვყავს დავით თორთლაძე, მაგრამ იგი იმდენი ხანი იყო ჩამოშორებული კალათბურთს ავადმყოფობის გამო, რომ ვერაა ჩვეულ ფორმაში და ჯერჯერობით დათოს ნაკრებში მიწვევა გადავდეთ. თუმცა ის და რეზო ჩხეიძე უახლოესი რეზერვია.

**— ლეგიონერები როდის შემოგიერთდებიან?**

— ამ მატჩებისთვის სამი ლეგიონერი გვყავს: ვაშაკიძე, სტეფანია და ნაცვლიშვილი. ცოტა ნაცვლიშვილზე ვნერვიულობთ. ვატოს ბულგარული კლუბი გაკოტრდა. ნაცვლიშვილი პორტუგალიაში წავიდა კლუბის მოსაძებნად და იქიდან არ შეგვხმიანებია, თუმცა მანაც და სხვა ლეგიონერებმაც იციან, რომ მოსკოვში უნდა შემოგვიერთდნენ. სტეფანია სლოვენიიდან ჩამოვა, ვაშაკიძე კი თავის კლუბ მოსკოვის „სპარტაკთან" ერთად სამხრეთ კორეაშია და ისიც იმდროისთვის დაბრუნდება.

**— სამი დამარცხების შემდეგ ნაკრებს თეორიული შანსებიღა აქვს ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად. დარჩენილ მატჩებში თქვენთვის რა იქნება მნიშვნელოვანი, გუნდის სახის ჩამოყალიბება თუ მაინც იბრძოლებთ იმ პატარა შანსისთვის?**

— რა თქმა უნდა, გუნდის ხელწერა უნდა ჩამოყალიბდეს, მაგრამ ჩვენ შედეგებისთვისაც ვიბრძოლებთ. ფინალურ ეტაპზე გასვლის გარდა არის კიდევ ერთი მიზანი. საქმე ისაა, რომ თუ ჩვენ მეოთხე ადგილზე ქვევით აღმოვჩნდით, ევროპის მომავალი ჩემპიონატის ციკლს ისევ საკვალიფიკაციო ტურნირიდან დავიწყებთ. გახსოვთ, ალბათ, როგორი ნერვიულობის ფასად მოვხვდით ამ ჯგუფში კვიპროსში საკვალიფიკაციო ტურნირის მერე. ამიტომ ჩვენ ის მიზანიც გვაქვს, რომ მომავალი შესარჩევი ტურნირი მშვიდად, პირდაპირ შესარჩევი ჯგუფებიდან დავიწყოთ. ამისთვის კი ყოველ თამაშში მობილიზებაა საჭირო. ამიტომ ჩვენ გუნდის სახის ჩამოყალიბებასთან ერთად პრაქტიკული მოტივებიც გვამოძრავებს.

ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ირაკლი ვაშაკიძე (მოსკოვის „სპარტაკი"; დაბ. 1969 წელს, სიმაღლე 196 სმ); ირაკლი მაისურაძე (თბილისის „დინამო. 1976. 188); ირაკლი ხოშტარია (1976. 189); რამაზ გოგობერიშვილი (რუსთავის „აზოტი". 1974. 194); ვახტანგ ნაცვლიშვილი (უგუნდო, 1976. 202); ვლადიმერ ბოისა (რუსთავის „აზოტი". 1981. 204); ვლადიმერ ბეჟანიშვილი (1975. 202); ირაკლი ჯაფარიძე (რუსთავის „აზოტი". 1974. 203); კახაბერ შენგელია (1972. 206); ვლადიმერ სტეფანია (1976. 212).

მთავარი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი, მწვრთნელები: პაატა გურასპაული, ზაზა ცაგარეიშვილი.

**ილია მხეიძე**

## ევროლიგა

### E ჯგუფი

ეფეს პილზენი (სტამბოლი, თურქეთი) — პორტუ (პორტუგალია) 80:71, ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) — ტელეკომი (ანკარა, თურქეთი) 64:60, მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) — სპლიტი (ხორვატია) 99:82

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფეს პილზენი | 16 | 12 | 4 | 1193:1106 | 28 |
| ოლიმპიაკოსი | 16 | 12 | 4 | 1176:1100 | 28 |
| მაკაბი | 16 | 10 | 6 | 1257:1205 | 26 |
| ტელეკომი | 16 | 6 | 10 | 1131:1185 | 22 |
| სპლიტი | 15 | 5 | 11 | 1198:1264 | 21 |
| პორტუ | 16 | 1 | 15 | 1101:1357 | 17 |

### F ჯგუფი

პაოკი (სალონიკი, საბერძნეთი) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 63:59, ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) — ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) 83:77, ესტუდიანტესი (მადრიდი, ესპანეთი) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 68:62

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 16 | 12 | 4 | 1203:1100 | 26 |
| ცსკა | 16 | 9 | 7 | 1253:1169 | 25 |
| პაოკი | 16 | 9 | 7 | 1119:1083 | 25 |
| ესტუდიანტესი | 16 | 8 | 8 | 1171:1191 | 24 |
| რეალი | 16 | 7 | 9 | 1187:1165 | 23 |
| ლიმოჟი | 16 | 6 | 10 | 1065:1199 | 22 |

### G ჯგუფი

პოორტეზი (საფრანგეთი) — ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია) 76:77, კინდერი (ბოლონია, იტალია) — ალბა (ბერლინი, გერმანია) 69:65, ბარსელონა (ესპანეთი) — პსჟ (პარიზი, საფრანგეთი) 78:77

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 16 | 14 | 2 | 1115:1038 | 30 |
| ბარსელონა | 16 | 9 | 7 | 1273:1255 | 25 |
| ოლიმპია | 16 | 8 | 8 | 1141:1133 | 24 |
| ალბა | 16 | 8 | 8 | 1158:1165 | 24 |
| პსჟ | 16 | 7 | 9 | 1062:1054 | 23 |
| პოორტეზი | 16 | 6 | 10 | 1044:1069 | 22 |

### H ჯგუფი

ციბონა (ზაგრები, ხორვატია) — ულკერ გენჩლიკი (სტამბოლი, თურქეთი) 91:86, აეკი (ათენი, საბერძნეთი) — პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) 68:76, ტიმსისტემი (ბოლონია, იტალია) — ჰაპოელი (ჰოლონი, ისრაელი) 83:77

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკი | 16 | 11 | 5 | 1131:1075 | 27 |
| ციბონა | 16 | 10 | 6 | 1245:1192 | 26 |
| ტიმსისტემი | 16 | 10 | 6 | 1210:1243 | 26 |
| პარტიზანი | 16 | 6 | 10 | 1240:1271 | 22 |
| ულკერი | 16 | 5 | 11 | 1201:1242 | 21 |
| ჰაპოელი | 16 | 2 | 14 | 1107:1247 | 18 |

## ევროთასი

მერვედფინალები

ხუვენტუდი (ბადალონა, ესპანეთი) — **ვილერბანი** (საფრანგეთი) 78:82 (პირველი მატჩი 74:82)
ტოპო (ჰელსინკი, ფინეთი) — **სამარა** (რუსეთი) 51:50 (74:77)
**ჟალგირისი** (კაუნასი, ლიტვა) — ბურსა (თურქეთი) 72:65 (62:66)
ზაგრები (ხორვატია) — **შლიონსკი** (ვროცლავი, პოლონეთი) 71:66 (60:76)
**სტეფანელი** (მილანი, იტალია) — ოსტენდე (ბელგია) 82:72 (80:68)
ტატამი (რონდორფი, გერმანია) — **ავტოტორი** (სარატოვი, რუსეთი) 76:98 (50:71)
კანტუ (იტალია) — **ბეობანკა** (ბელგრადი) 78:75 (58:88)
**პანათინაიკოსი** (ათენი, საბერძნეთი) — ჰაპოელი (ჰოლონი, ისრაელი) 86:68 (78:80)

რეგულარული ჩემპიონატი

# ტორონტო გულუბრყვილო ქალაქია

18 თებერვალი

### ვანკუვერი 105:114 ბოსტონი

**ვანკუვერი: მეკი (27), აბდურ-რაჰიმი (25)**
**ბოსტონი: ბაროსი (29), უოლკერი (27)**

„ვანკუვერ გრიზლის" ოთხეულმა — მეკმა, აბდურ-რაჰიმმა, რივზმა (22 ქულა) და ედვარდსმა (21 ქულა) 20 ქულიან ზღვარს კი გადააბიჯა, მაგრამ ბოსტონთან მაინც ვერას გახდნენ. ბოსტონელმა დანა ბაროსმა 29 ქულით სეზონის რეკორდი დაიმყარა, მისმა გუნდმა კი პირველი ნახევარი 19 ქულით მოიგო. საბოლოოდ, ვანკუვერმა ბოლო ცხრა თამაშში მერვედ წააგო.

### ფინიქსი 110:103 ლეიკერსი

**ფინიქსი: ჩეპმენი (26), რობინსონი (25), მაკდაიესი (20+11 მოხსნა +5 დაფარება)**
**ლეიკერსი: ონილი (30+10 მოხსნა), ჯონსი (20)**

ფინიქსელმა რექს ჩეპმენმა 26 ქულიდან შვიდი ბოლო წუთებში გაახერხა და თავისიანებს დაამარცხებინა „ვარსკვლავებით მოჭედილი" ლეიკერსი, რომელიც ოლსტარელი გამთამაშებლის ნიკ ვან ექსელის გარეშე თამაშობდა. ასევე ოლსტარელი კობი ბრაიანტი მხოლოდ 8 ქულას გამორჩა.

### სიეტლი 101:95 პორტლენდი

**სიეტლი: ელისი (19), პეიტონი (16+12 პასი)**
**პორტლენდი: რაიდერი (26), სტუდემაიერი (14+11 პასი)**

მესამე მეოთხედის შემდეგ სტუმრები 75:70-ს იგებდნენ, მაგრამ მასპინძლებმა პეიტონისა და ბეიკერის (17 ქულა) ძალისხმევით ხუთქულიანი ჩამორჩენაც იოლად დაძლიეს და 6 ქულითაც დაწინაურდნენ. ამ წაგებამ პორტლენდს 5-მატჩიანი მოგებების სერია შეაწყვეტინა.

### ნიუ ჯერსი 104:114 ატლანტა

**ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (22+13 მოხსნა)**
**ატლანტა: ჰენდერსონი (26)**

### იუტა 94:78 ნიუ იორკი

**იუტა: მელოუნი (25+10 მოხსნა)**
**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (13)**

ნიუ იორკმა პირველი ნახევარი 30:56 წააგო და ბოლო მეოთხედშიღა გამოცოცხლდა, მაგრამ 30-ქულიან ჩამორჩენას რაღას უზამდა.

### ვაშინგტონი 98:108 მილუოკი

**ვაშინგტონი: სტრიკლენდი (33+11 პასი), მიურეი (20)**
**მილუოკი: ალენი (25+10 მოხსნა +7 პასი), რობინსონი (21)**

ვაშინგტონმა კვლავ ლიდერების კრის უებერისა და ჯუონ ჰოვარდის გარეშე ითამაშა. გამთამაშებელი როდ სტრიკლენდი, რომელსაც 2 მოხსნა დააკლდა სამმაგი დუბლის გასახერხებლად, მშვენივრად გაისარჯა, თუმცა მისმა გუნდმა ზედიზედ მესამე შეხვედრა მაინც დათმო.

19 თებერვალი

### დალასი 81:87 სან ანტონიო

**დალასი: უელსი (21)**
**სან ანტონიო: დანკანი (26+16 მოხსნა +5 დაფარება)**

ტეხასური დერბის მასპინძელი დალასი პირველი ნახევრის შემდეგ 6 ქულას იგებდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო. სანანტონიელმა დეზებმა თავიანთი ლიდერი, მრისხანე დევიდ რობინსონი მოისაკლისეს. მის არყოფნაში ახალბედა ტიმ დანკანი სტუმართაგან საუკეთესო იყო.



ნიუ ჯერსი — ატლანტა. ნიუჯერსელმა კიტ ვან ჰორნმა ძალიან ივარგა

### ჰიუსტონი 100:90 დეტროიტი

**ჰიუსტონი: დრექსლერი (29), ბარკლი (14+14 მოხსნა)**
**დეტროიტი: დუმარსი (19), ჰილი (16)**

ჰიუსტონმა ზედიზედ მესამედ მოიგო და ლანდის დამსგავსებულ, ერთ დროს საკმაოდ ძლიერ დეტროიტს ზედიზედ მეოთხე მარცხი აწვნია.

### ინდიანა 82:77 ფილადელფია

**ინდიანა: დ. დევისი (14)**
**ფილადელფია: კოულმენი (16+18 მოხსნა)**

ცენტრ რიკ სმიტსის არყოფნაში თავი შეირცხვინა ინდიანას მეორე ოლსტარელმა რეჯი მილერმა (12 ქულა), თუმცა არც ფილადელფიელთა ლიდერ ალენ აივერსონს მოუკლავს თავი — მის ანგარიშზე 13 ქულაა. მისმა თანაგუნდელმა დერიკ კოულმენმა კი 18 მოხსნით სეზონის რეკორდი დაიმყარა.

### ტორონტო 86:123 ჩიკაგო

**ტორონტო: უოლესი (19), კრისტი (18)**
**ჩიკაგო: პიპენი (22), ლონგლი (21), ბარელი (20)**

აღმოსავლეთ კონფერენციის უძლიერესი და უსუსტესი გუნდების შეხვედრას ტორონტოს 20-ათასიან დარბაზში 30 ათასი მაყურებელი დაესწრო, თუმცა ტორონტოელებმა მათ იმედი გაუცრუეს და პირწმინდად დათმეს მატჩი. ჩემპიონებმა, მათ რომ ეკადრებათ, ისე ითამაშეს და ყველაფერში დაჯაბნეს მასპინძლები. ჩიკაგოს თავდამსხმელმა და მოხსნების დიდოსტატმა დენის როდმანმა 19-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი, მისმა გუნდმა კი ამ მაჩვენებლით 60:35 მოიგო. ჩიკაგოელებმა პასებშიც იძალეს 37:14. სტუდემაიერის ნაცვლად ტორონტოში მისულ კენი ანდერსონს ჯერ არც უთამაშია და თვალი უკვე ბოსტონ სელტიქსში გაქცევაზე უჭირავს.

### ლეიკერსი 131:92 დენვერი

**ლეიკერსი: ფოქსი (22), ბრაიანტი (21), ონილი (19+11 მოხსნა)**
**დენვერი: ელისი (19), ნიუმენი (19)**

ჩიკაგო — ტორონტოს შეხვედრისა არ იყოს, ლეიკერს — დენვერის მატჩმაც უფეროულად ჩაიარა. ძირითადი ხუთეულის ორი წევრის ჯონსისა და ჰორის გარეშე მოთამაშე ლეიკერსმა მაინც იოლად გააცამტვერა მეტოქე.



ჰიუსტონი — დეტროიტი. ჩარლზ ბარკლი (მარცხნივ) და ჰაკიმ ოლაჯუონი ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის იბრძვიან

### კლიპერსი 80:89 მაიამი

**კლიპერსი: ტეილორი (17)**
**მაიამი: მურნინგი (28+11 მოხსნა)**

მაიამის ცენტრმა ალონზო მურნინგმა ძალიან დაჩაგრა კლიპერსელები, რომელთაც ხეირიანი ცენტრი კი არა, მოთამაშეც არ ჰყავთ. მაიამიმ ზედიზედ მეოთხედ მოიგო, მეტოქეს კი ხუთამდე გაუზარდა ზედიზედ წაგებული მატჩების სერია.

**ირაკლი ფირაშვილი**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 35 | 18 | 66,0 |
| ნიუ ჯერსი | 31 | 22 | 58,5 |
| ნიუ იორკი | 29 | 22 | 56,9 |
| ვაშინგტონი | 27 | 27 | 50,0 |
| ორლანდო | 26 | 27 | 49,1 |
| ბოსტონი | 26 | 29 | 45,3 |
| ფილადელფია | 24 | 34 | 32,0 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო | 40 | 15 | 72,7 |
| ინდიანა | 37 | 15 | 71,2 |
| შარლოტი | 30 | 22 | 57,7 |
| ატლანტა | 31 | 23 | 57,4 |
| კლივლენდი | 28 | 24 | 53,8 |
| მილუოკი | 26 | 26 | 50,0 |
| დეტროიტი | 23 | 29 | 44,2 |
| ტორონტო | 11 | 41 | 21,2 |

### დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 36 | 15 | 70,6 |
| სან ანტონიო | 36 | 16 | 69,2 |
| მინესოტა | 28 | 23 | 54,9 |
| ჰიუსტონი | 27 | 25 | 51,9 |
| ვანკუვერი | 14 | 38 | 26,9 |
| დალასი | 10 | 43 | 18,9 |
| დენვერი | 5 | 47 | 6,9 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიეტლი | 40 | 12 | 76,9 |
| ლეიკერსი | 36 | 15 | 70,6 |
| ფინიქსი | 35 | 16 | 68,6 |
| პორტლენდი | 31 | 21 | 59,6 |
| საკრამენტო | 24 | 29 | 45,3 |
| კლიპერსი | 11 | 42 | 20,8 |
| გოლდენ სტეიტი | 10 | 41 | 19,6 |

# 24 სანთელი ქენიასთვის

**ანტვერპენი. ბელგია. ევროგაერთიანების ჩემპიონატი. ტარდება ჰარდზე დარბაზში. საპრიზო ფონდი 1 მილიონი $**

თავისი პირველი წრის შეხვედრას ჩეხ ირჟი ნოვაკთან რუსი ევგენი კაფელნიკოვი (4) ოთხშაბათს ატარებდა და მატჩის განმავლობაში დაბადების დღის შესაფერის განწყობაზე სულაც არ გახლდათ — საკუთარი თამაშით უკმაყოფილო თავს რუსულ ლანძღვა-გინებას არ აკლებდა, ჩოგანს კი კორტთან შეხლა-შემოხლას. მეორე სეტის მეტოქისთვის ჩუქების შემდეგ სიბრაზისგან აჭარხლებულ ქენიას მხსნელად ისევ და ისევ ნოვაკი მოევლინა — ერთი-ორჯერ ბრეიკ-პოინტზე შესცოდა, ერთი-ორჯერ მოწოდებაზე, რითაც რუსს ხასიათიც გამოუკეთა, ბრეიკიც დაანება და იუბილეც არ ჩაუმწარა 5:7, 7:5, 3:6. სოჭელმა განსაკუთრებით მატჩის შემდეგ გაიხარა, როდესაც ტურნირის ორგანიზატორებმა 24-სანთლიანი ტორტი გამოუტანეს და მათ ჩასაქრობად დახმარებაც არ დაიზარეს. სამაგიეროდ სხვა განთესილებს გაცილებით ნაკლებ გაუმართლათ. მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა — შვედმა იონას ბიორკმანმა (3) თანამემამულე ტომას იოჰანსონთან სამარცხვინოდ მოჭრილი ცაცია მოწოდებით გადაარჩინა, მერე მეტოქეს შეცდომაც დასტყუა და პირველივე მატჩ-პოინტზე არაქათგამოცლილ ესპანელს აუღებელი ფორჰენდით მოუღო ბოლო. ტურნირის თავკაცებზე განაწყენებული ჩეხი — ზედიზედ ორ დღეს, თანაც შუაღამისას, რად მათამაშეთო — მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზე არ გამოცხადდა, თუმცა მიზეზად ის მოიგონა, შეუძლოდ ვიყავიო. სხვათა შორის, თუ კორდა თავის დაუმარცხებელ სერიას ტურნირის ბოლომდე გააგრძელებს, მომავალი კვირიდან კლასიფიკაციაში პიტ სამპრასს გადაასწრებს და მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდება. ჩეხის მთავარ კონკურენტს ანტვერპენშიც და კლასიფიკაციაშიც — პატრიკ რაფტერს, რომელსაც ავსტრალიის ღია პირველობის მესამე წრეში დამარცხების შემდეგ არდადეგები ერთობ გაუგრძელდა, მერვედფინალში გაცილებით ძლიერი მეტოქე შარშანდელი უიმბლდონის ფინალისტი სედრიკ პიოლინი ჰყავდა. რაფტერს მეორე ხელში მეტად გაუჭირდა და სამი სეტ-პოინტის გადარჩენამაც მოუწია, მაგრამ ტაი-ბრეიკზე მიღებაზე ზედიზედ ორჯერ კარგად გაისარჯა, თავიდანვე წინ გაიჭრა და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა 6:4, 7:6 (7:3).



მარკ როსე

წინა დღის იუბილარ კაფელნიკოვს მეორე წრეში ყველაზე ნაკლებად სასურველი მეტოქე მარკ როსე ერგო. სოჭელს „დიადორას“ რეკლამელ კოლეგასთან ყოველთვის უჭირდა თამაში და ტრადიცია არც ახლა დარღვეულა — როსემ პირად შეხვედრებში ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა 3:6, 6:4, 6:3. მერვედფინალებიდან ყველაზე დაძაბული გრეგ რუზეცკისა და ფრანგი გიიომ რაუქსის შეხვედრა გამოდგა, რომელშიც ინგლისელმა მესამე პარტიის ტაი-ბრეიკზე ხუთი მატჩ-პოინტი გადაარჩინა და თავის მხრივ, შეხვედრა მეხუთე შესაძლებლობაზელა დაამთავრა 7:6 (8:6), 3:6, 7:6 (15:13)

**მეორე წრე: ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — მარტინ დამი (ჩეხეთი) 6:2, 6:4; ჯეფ ტარანგო (აშშ) მაგნუს ნორმანი 7:6 (7:2), 6:2; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — იან სიმერინკი 6:3, 6:4.**

**ჰანოვერი. გერმანია. ფაბერის გრან პრი. ტარდება ჰარდზე დარბაზში. საპრიზო ფონდი 480 ათასი $**

ფაბერის გრან პრის მეორე წრეში მხოლოდ ერთი მოულოდნელობა მოხდა — შვეიცარიელმა პატი შნიდერმა „როლან გაროსის“ ფორმიდან ამოვარდნილი და ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ჩემპიონი, ხორვატი ივა მაიოლი (3) გაანადგურა 6:1, 6:3, რომელსაც ეს ტურნირი შარშანაც მოეგო და შარშანწინაც. დიდი ბრძოლა გადახდა პირველად განთესილ ჩეხ იანა ნოვოტნას, მან ალმავლობის გზაზე მდგარი ბელგიელი დომინიკ ვან რუსტი დაამარცხა 4:6, 6:4, 6:3.

**მეორე წრე: ანა კურნიკოვა (რუსეთი) — ვილტრუდ პრობსტი (გერმანია) 6:3, 6:1; ანკე ჰუბერი (6, გერმანია) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:4, 6:2; საბინე აპელმანსი (ბელგია) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 7:5, 6:3; ლაიზა რეიმონდი (8, აშშ) — ადრიანა გერსი (ჩეხეთი) 6:1, 6:0; ნატალი ტოზია (7, საფრანგეთი) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:4, 6:4.**

დიდ ჩოგბურთში დაბრუნებული შტეფი გრაფს რვა თვის განმავლობაში მეორე მატჩში საბინე აპელმანსი გადაელობა. ჰანოვერის ტურნირის პირველი მეოთხედფინალი თავისიანების გამამხნევებელ შეძახილებში შტეფიმ მშვენივრად დაიწყო, მაგრამ პირველი სეტის შუაგულში ძველმა ქუსლის ტრავმამ შეახსენა თავი და ექიმების დახმარება დასჭირდა. შტეფიმ ჩვეული ბრძოლისუნარიანობა მეორე სეტის ბოლოსკა გამოავლინა, 3:5-ზე ორი მატჩ-პოინტიც გადაარჩინა და თავისი მძლავრი ფორჰენდის წყალობით ტაი-ბრეიკამდეც მიატანა, მაგრამ მეტისთვის ძალა აღარ ეყო 3:6, 6:7 (5:7). „არ მინდა, ამჟამად საკუთარ სიძლიერესა თუ სისუსტეზე ვიმსჯელო. დღეს გუშინდელზე გაცილებით უკეთ ვითამაშე, მეტსაც ველოდი, მაგრამ ამ მატჩმა დამარწმუნა, რომ მომავალში წარმატების მიღწევა ძალმიძს“ — განაცხადა გრაფმა, რომელსაც თავისი მეტოქის შექებაც არ დავიწყებია.

მეექვსედ განთესილი გორან ივანიშევიჩი წელს უკვე მეორედ გადაეყარა ტურნირის პირველ წრეში ჰოლანდიელ იან სიმერინკს და ავსტრალიის ღია პირველობის მსგავსად, ახლაც სასურველზე გაცილებით ადრე მოუწია ჩემოდნების ჩალაგება. თუ პირველ სეტში გორანი თავისსავით ცაცია მეტოქეს წინააღმდეგობას მაინც უწევდა, მეორეში თამაშს მსაჯთან დავა და სახის უკმაყოფილოდ მანჭვა არჩია, მატჩ-პოინტზე გორანმა ორმაგი შეცდომა დაუშვა, 4:6, 2:6 წააგო და კორტები მცირერიცხოვანი მაყურებლის კვალობაზე საკმაოდ ხმამაღალ სტვენაში დატოვა. მეორე წრეში გასასვლელად დიდი ბრძოლა გადახდა ტურნირის შარშანდელ ჩემპიონს — ახმახ შვეიცარიელ მარკ როსეს. მესამე გადამწყვეტ სეტში ბორის ბეკერის მემკვიდრედ შერაცხულ ნიკოლას კიფერთან იგი 3:5-ს აგებდა, მაგრამ მეტოქის შეცდომებით შესანიშნავად ისარგებლა, საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა და 2-საათნახევრიან მატჩს 21-ე ეისით დაუსვა წერტილი — 7:6 (7:3), 4:6, 7:6 (7:5).

**პირველი წრე: პეტერ კორდა (1, ჩეხეთი) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:2; პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) — არნო ბიოჩი (საფრანგეთი) 6:2, 7:6 (10:8); კაროლ კუჩერა (7, სლოვაკეთი) — იოჰან ვან ჰერკი (ბელგია) 6:7 (3:7), 6:4, 6:2; ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:2, 6:4; ალბერტ პორტასი (ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:7 (4:7), 7:6 (7:1), 6:4; მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — ტიმ ჰენმანი (8, ინგლისი) 7:5, 6:3; გრეგ რუზეცკი (5, ინგლისი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 7:6 (7:4), 3:6, 6:3.**

ავსტრალიის ღია პირველობაზე ტრიუმფის შემდეგ ანტვერპენი პეტერ კორდასთვის პირველი ტურნირია. ჩეხს, რომელსაც წლეულს ერთი თამაშიც კი არ წაუგია, მეორე წრეში არცთუ ძლიერი მეტოქე, ესპანელი ალბერტ პორტასი ჰყავდა და მოსაგებად ოფლისდენაც კი არ დასჭირვებია: ერთადერთი ბრეიკ-პოინტი მატჩის უკანასკნელ გეიმში თავისი ...

ავთანდილ სვანიძე



## ტომ უოკინშოუ რეისინგ — ეროუს

დირექტორი: ტომ უოკინშოუ
მთავარი კონსტრუქტორი: ჯონ ბარნარდი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1978, „ბრაზილიის დიდი პრიზი“
305 რბოლა; 1 პოული; 150 ქულა
შასი: ეროუს FA-19
ძრავი: საკუთარი წარმოების „ჰარტი“
საბურავები: „ბრიჯსტოუნი“



ტომ უოკინშოუ

**მიკა იუჰანი სალო (ფინეთი)**



დაიბადა 1966 წლის 30 ნოემბერს ჰელსინკში
სიმაღლე 166 სმ; წონა 66 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1994, იაპონიის დიდი პრიზი, „ლოტუსი“
52 რბოლა; 12 ქულა

**პედრუპაულუ დინიცი (ბრაზილია)**



დაიბადა 1970 წლის 22 მაისს სან პაულუში
სიმაღლე 170 სმ; წონა 68 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1995, ბრაზილიის დიდი პრიზი, „ფორტი“
50 რბოლა; 4 ქულა

# ჰარგია საკუთარი ძრავი?

შარშან ტომ უოკინშოუს გუნდმა თავი ვერაფრით გამოიჩინა. დეიმონ ჰილი და პედრო დინიცი გააწამა შასის ხარვეზებმა და ძრავის სისუსტემ. გუნდის ხელმძღვანელობამ კონსტრუქტორად ჯონ ბარნარდი მიიწვია, რომელმაც სეზონის მეორე ნახევრისთვის ბოლიდის გაუმჯობესება შეძლო. ამას დეიმონ ჰილის სენსაციური რბოლა მოჰყვა უნგრეთში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონმა პირველობა მხოლოდ ტექნიკური გაუმართაობის გამო დაკარგა და მეორე პოზიციას დასჯერდა. ეს იყო და ეს. „ეროუსი“ სხვა რბოლებში ისევ სუსტად გამოიყურებოდა, ჯონ ბარნარდი კი უკვე ახალი შასის შექმნაზე მუშაობდა, უოკინშოუც „იამაჰას“ ძრავის სანაცვლოს ეძებდა, მაგრამ ამაოდ. ბარნარდი საუკეთესო კონსტრუქტორად ითვლება, მის მიერ შექმნილი კონსტრუქციები ყოველთვის მოწინავე იყო და იგი, ალბათ, არც ახალ გუნდში შერცხვენს თავს. მიუხედავად ამისა, დეიმონ ჰილი დაკარგული სეზონის შემდეგ აღარ დაელოდა ჯონის ახალ ქმნილებას და „ჯორდანში“ გადაბარგდა. უოკინშოუს კი ახალი თავსატეხი გაუჩინა — ბარნარდის ბოლიდი და მის საჭესთან მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო პილოტი ხომ საუცხოო კომბინაცია და წარმატების საწინდარი გახლავთ. აი, ასეთი პრობლემები ჰქონდა „ეროუსს“ ახალი სეზონის წინ. ზამთრის ტესტები გუნდმა ახალი მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნილი მოდელით ჩაატარა და მხოლოდ ორშაბათს წარმოადგინა ახალი ბოლიდი.

პრეზენტაცია სენსაციური გამოდგა. გამოცხადდა, რომ გუნდი საკუთარი კონსტრუქციის ძრავით იასპარეზებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „იამაჰას“ ძრავი ფორმულა 1-ს გამოემშვიდობა. ძრავი „ფორდკოსვორთის“ ყოფილმა კონსტრუქტორმა, ჯეფ გოდარდმა და ძრავების დამოუკიდებელმა მწარმოებელმა ბრაიან ჰარტმა შექმნეს. თუ როგორი აღმოჩნდება მათი პირმშო, ჯერჯერობით ამის თქმა ნაადრევია, ისე კი, კოსვორთის ძრავები ყოველთვის გამოირჩეოდა გამძლეობით, მაშინ, როცა ჰარტის ქმნილებებს ძალა აკლდათ, თუმცა ამ ორი გამოცდილი ინჟინრის თანამშრომლობამ, შესაძლოა, გაამართლოს კიდეც. ასე თუ ისე, ფორმულა 1-ში კიდევ ერთი გუნდი გამოჩნდა, რომელმაც საკუთარი ძრავების წარმოებას მოჰკიდა ხელი.

რაც შეეხება შასის, როგორც ყოველთვის, ბარნარდის კონსტრუქცია მეტად ორიგინალურია. იგი სრულიად განსხვავებულია და, რასაკვირველია, ახალ ტექნიკურ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს. რამდენად სრულყოფილია, ამას მხოლოდ რბოლების დაწყების შემდეგ შევიტყობთ. თვით კონსტრუქტორი კი აცხადებს, რომ დიდი ხანია, არ შეუქმნია ავტომობილი სრულიად ახალი ძრავით, გადაცემათა კოლოფითა და შასით, ამასთან, სრულიად ახალი ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

სხვა გუნდების მსგავსად, „ეროუსმა“ წელს ფერი იცვალა — მისი ლურჯ-თეთრი სამოსი შავმა „სმოკინგმა“ შეცვალა, რითაც სახელოვან „ლოტუსს“ დაემსგავსა. მოუტანს თუ არა ეს ფერები გუნდს ისეთივე წარმატებებსა და სახელს, როგორც „ლოტუსს“ ჰქონდა, ამასაც მომავალი დაგვანახებს.

გუნდიდან წასული დეიმონ ჰილის ადგილი ფინელმა მიკა სალომ დაიკავა, რომელიც კმაყოფილია „ეროუსით“, თუმცა კი პირველ ტესტებზე მაინც ჩამორჩებოდა მეორე პილოტ დინიცს. სალომ რამდენიმე წელი სუსტ გუნდში, „ტირელში“ გაატარა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბოლიდი წარმატების მიღწევაში ხელს უშლიდა, მისი მაღალი ტექნიკა და სისწრაფე მაინც თვალშისაცემი გახლდათ. ახალგაზრდობაში იგი თავისი სეხნიისა და მეზობლის მიკა ჰაკინენის პირველი მეტოქე იყო, რაც სალოს დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

გუნდში კვლავ შეინარჩუნა ადგილი პედრუპაულუ დინიცმა, რომელმაც უკვე საკმაო გამოცდილება შეიძინა ფორმულა 1-ში და თავს იოლად არავის დააჩაგვრინებს. შარშან კი რამდენჯერმე თავის სახელოვან თანაგუნდელ დეიმონ ჰილსაც აჯობა კვალიფიკაციაში.

ამ ორ პილოტთან ერთად ბოლიდის დასახვეწად ფრანგი ემანუელ კოლარიც იმუშავებს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, ელის ადგილს ფორმულა 1-ში.

წლევანდელი სეზონი გუნდისთვის კვლავ რთული უნდა იყოს, რადგან ყოველი ახალი კონსტრუქცია ხარვეზებით ხასიათდება, განსაკუთრებით ეს ძრავს ეხება. ძნელია იმის გათვლა, როგორ იგუებს ძრავი შასისა და გადაცემათა კოლოფს და როგორ იმუშავებს ეს კომბინაცია. ასე რომ, წლეულს გუნდის დიდი წარმატებები სათუოა, თუმც სეზონის მეორე ნახევარში მისგან უკეთესი შედეგებიცაა მოსალოდნელი.

ალეკო ჩაგუჩიანი

## ბრიჯსტოუნი: ახალი ცოცხი

მიკა ჰაკინენმა ბარსელონაში მიმდინარე ტესტებზე საუკეთესო დრო 1.22,02 აჩვენა და წინა კვირას ფრენცენის მიერ დამყარებული რეკორდი 1.23,32 გააუმჯობესა.

ბრიტანული გუნდის ამ წარმატებამ მეტოქეები უნდა დააფიქროს — „მაკლარენმა“, „ბენეტონთან“ ერთად, „ბრიჯსტოუნის“ საბურავებზე გადასვლით ხომ გარკვეული უპირატესობა მოიპოვა. მეორე საუკეთესო დრო ფიზიკელას ჰქონდა 1.23,27. „გუდიარის“ კლიენტთა შორის კი საუკეთესო „ტირელის“ დებიუტანტი ტაკაჯი გახლდათ 1.25,17. დეიმონ ჰილმა მეოთხე დრო — 1.25,40 აჩვენა და თანაგუნდელი რალფ შუმახერი და სტიუარტელი იან მაგნუსენი ჩამოიტოვა. ორშაბათს კი საუკეთესო დრო ისევ „ბრიჯსტოუნით“ მოასპარეზე კულჰარდმა აჩვენა — 1.21.58 და სამი წამით აჯობა „ზაუბერის“ პილოტ ჰერბერტს.

„გუდიარის“ წარმომადგენელმა ამ მოულოდნელი წარუმატებლობის შემდეგ განაცხადა: „ჩვენ, უბრალოდ, პროგრამას ვასრულებთ, ისევე, როგორც იაპონელები, სხვა არაფერი შეგვიძლია. ჩვენი ძირითადი მიზანი პირველი რბოლისთვის საბურავების ოპტიმალური ტიპის შერჩევაა, მერე კი ვნახოთ...“

## პროფესორმა გამოცდები ჩაიბარა

ალენ პროსტის გუნდს თებერვლის პირველი ნახევარი ბარსელონაში უნდა გაეტარებინა, მაგრამ მოულოდნელად გადაწყვეტილება შეცვალა და მანი კურში გააგრძელა ტესტირება, რაც გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა ბერნარ დუდომ ასე ახსნა: „ჩვენი ამჟამინდელი საქმიანობის მოცულობის გათვალისწინებით, გუნდისთვის უფრო სასარგებლო და მოხერხებულია ტესტების მანი კურზე ჩატარება“.



პროსტს (მარჯვნივ) და მის გუნდს უამინდობის არ ეშინიათ

პირველ დღეებში ტესტებს ცივმა ამინდმა და ნისლმა შეუშალა ხელი, თუმცა შემდეგ ვარჯიში უფრო ნაყოფიერი გამოდგა და ფრანგმა პროფესორმაც კმაყოფილმა განაცხადა: „მოხარული ვარ, რომ პირველი ტესტებისთვის მანი კური ავირჩიეთ. ცივი ამინდის მიუხედავად, საკმაოდ წარმატებული სესია გამოგვივიდა. იარნო ტრულიმ 60 წრე გაიარა, პანიმ კი ჯამში 92. ძირითად ყურადღებას გადაცემათა კოლოფის გამართვას ვაქცევდით, ამასთან, „ბრიჯსტოუნის“ საბურავების შერჩევის პროგრამაც შევასრულეთ“.

ამჟამად, „პროსტ პეჟო“ სხვა გუნდებთან ერთად ტესტებს ესპანეთში ატარებს და მისი პილოტები უსწრაფესთა შორის არიან.

„უილიამსის“ პილოტები ტესტებს ესპანეთსა და სამხრეთ საფრანგეთში ატარებენ. ბარსელონაში ვარჯიშისას ვილნევის ახალი „უილიამს FW-20“ მხოლოდ ჰაკინენისა და კულჰარდის „მაკლარენებს“ ჩამორჩებოდა სისწრაფეში. ვსენი ამ პერიოდში შარშანდელი ბოლიდებით ასპარეზობდნენ, წლევანდელი მოდელები კი, შარშანდელთან შედარებით, 1-2 წამით ნელია.

## ჟაკი კმაყოფილია

ესპანეთიდან ფრენკის ბიჭებმა საფრანგეთში, „ლე კასტელეს“ ტრასაზე გადაინაცვლეს, სადაც მსოფლიოს ჩემპიონმა 90 წრე გაიარა და საუკეთესო დრო — 1.09,9 აჩვენა. ჟაკი კმაყოფილი დარჩა მანქანით და განაცხადა, ავტომობილი შესანიშნავია და მეტოქეთა დასამარცხებლად მზად ვართო.

მისმა თანაგუნდელმა ფრენცენმა კი ტესტების უმეტესი დრო საწვავის შევსებასა და საბურავების შეცვლის ტექნიკის დამუშავებას მოანდომა, მხოლოდ 51 წრე გაიარა და საუკეთესო დროდ 1.09,31 აჩვენა.

აქვე შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე მთავარია არა საუკეთესო წამების ჩვენება, არამედ ბოლიდის სხვადასხვა აგრეგატების შეწყობა და საბურავების მორგება. პილოტები საწვავის სხვადასხვაგვარი მარაგით ასპარეზობენ და ახალი ბოლიდის ჩვევებს ეცნობიან. „უილიამსის“ ორივე მრბოლი კმაყოფილი გახლავთ FW-20-ის ხასიათით და სისწრაფით და არ მალავენ, რომ გამარჯვების იმედი აქვთ.

## მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი მეშვიდე

# დიადი კინშასა
# ბრდღვინვა ჯუნგლებში

### ბოლოს და ბოლოს

გეხსომებათ, ორი კვირის წინანდელ ფურცელში კინშასური ჯახისწინა ამბები იყო აღწერილი. ახლა თავად შერკინების გამო მოგითხრობთ.

ბოლოს და ბოლოს, ბრძოლის დღეც დადგა, უფრო სწორად კი, ღამე, რადგან ზაირის რესპუბლიკა ძალზე შორსაა ამერიკიდან. თუმცა, დილა უფრო ითქმოდა, რადგან კინშასას სტადიონზე დილის სამ საათზე უნდა იკრივო, რომ შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე ხალხმა საღამოს, სასურველია, პარასკევ ან შაბათ საღამოს ჩართოს ტელევიზორი და საკაბელო არხზე უყუროს დიად შერკინებას. დანარჩენ მსოფლიოში კი კინოთეატრების კარებია ღია, მოდი, ბილეთი იყიდე და ნახე დაუვიწყარი რამ შავი აფრიკიდან. განა ჯო ლუისი ოდესმე წარმოიდგენდა, რომ მის წინაპართა მიწა ამგვარი მოვლენის მოწმე შეიქნებოდა? ანდა, რეი შუგარ რობინსონი იფიქრებდა ამას? მოწმე კი მთელი მსოფლიო იყო.

კინშასას სტადიონზე მხოლოდ დასაჯდომი ადგილები მოეწყოთ. ღია ცის ქვეშ, აფრიკულ ღამეში ჩხუბს ესწრებოდა მრავალი ცნობილი უცხოელი. საკრივო სამყაროზე აღარაფერს ვამბობთ, აქ იყვნენ მწერლები, პოლიტიკოსები, ამერიკელი და ევროპელი ჟურნალისტები. ღამე იყო, „ბრდღვინვა ჯუნგლებში“, ვიღაცის მოქნილ კალამს ასეთი სახელი დაერქმია უდიდესი შერკინებისთვის, მერე კი უფრო სევდიანად უწოდებდნენ — „როცა მეფენი ვიყავით“.

რეფერი ზაკ კლეიტონი თეთრი და ცისფერი ბაგირებით შეკრულ რინგზე იდგა. ენაუნსერი რაღაცას გაჰყვიროდა. ნაცნობ სიტყვებს წელავდა კარგად ნაცნობი ხმით, ხალხი ბობოქრობდა. მუჰამედ ალი თავის განუყრელ თეთრ შორტში გამოწყობილიყო, მსოფლიოს ჩემპიონს შინდისფერი ეცვა. ალი, ჩვეულებისამებრ, ცმუკავდა, ფორმენი თავს ატრიალებდა. დიდი იყო, ნამდვილი გოლიათი. არაადამიანური ძალის პატრონი. ხომ გახსოვთ? ალიმ თქვა: „სპილო ქურციკის წინააღმდეგ“. ალი საუცხოო ანალიტიკოსი იყო. მან ზუსტად იცოდა ყველაფერი, მაგრამ...

### ფავორიტი

ფავორიტი ფორმენი იყო — სამით, ერთის წინააღმდეგ. ამერიკული სანიძლაო ბიუროები სწორედ ასე იდებდნენ ქვითრებს. ამაში ერთგვარი აზრი იყო ჩადებული: ჯორჯი მსოფლიოს ჩემპიონია, ისეთ ხალხს, როგორებიც ჯო ფრეზერი და კენ ნორტონი არიან, თავ-პირს ამტვრევს რინგზე. შეიძლება ითქვას, რომ მიუშვა, ორივეს სასაფლაოს გზას გაუყენებს. ეს დროება ბოლო წელიწადი ფორმენისაა. მთაკაცის არაადამიანური ძალა და ოსტატური მანერა დიდ უპირატესობას აძლევს მას.

და ვინღაა ალი სადღეისოდ? რამდენი წელიწადი გაუცდა... დაბრუნება არცთუ ეფექტური გამოუვიდა. მას არც არასდროს უყვარდა ხორცის საკეპ მანქანებთან ჩხუბი, ყოველთვის რაღაც პრობლემები ჰქონდა და ყოველთვის სკანდალებით ამთავრებდა საქმეს. როგორც ამბობდნენ, იძულებითმა უმოქმედობამ და გაუთავებელმა დავამ პენტაგონთან, სასამართლოსთან, სახელმწიფოსთან, მუჰამედ ალის არა მხოლოდ ჩემპიონის წოდება წაართვა, არამედ მისი უმთავრესი კოზირი — სისწრაფე და მოქნილობა დაუქვეითა. ამას მისი ბოლო შერკინებები ადასტურებდა, მაგრამ თავად „მოფარფატე პეპელა“ სხვაგვარად ფიქრობდა. მან იცოდა, რომ ფორმენს ისევე უჭირს გადაადგილება რინგზე, როგორც უშველებელ, ძველი ნივთებით გამოტენილ ზანდუკს.

ამიტომ ალი დარწმუნებული იყო — მისი ტაქტიკა გაამართლებდა.

მისი მწვრთნელი ანჯელო დანდი განუწყვეტლივ იმეორებდა — თუ ის საკუთარ თავს არ უღალატებს, თუ არ გაითქვიფება, აუცილებლად გაიმარჯვებს.

### ასეთი რამ

ეს იყო ჭიდილი კრივის ორი საწყისის — ძალისა და გონებისა. აგრეთვე, ეს იყო ჭიდილი ნიჭისა და მონდომებისა, აგრეთვე, ეს იყო ჭიდილი საკუთარ თავთან და იმავდროულად სხვასთან.

გონგსა ჰკრეს და ბრძოლაც დაიწყო.

ერთმანეთის პირისპირ იდგა ორი სრულიად განსხვავებული კაცი. „დიადი კინშასა“ იმითაც იყო გამორჩეული, რომ კრივის უცოდინარ, უნახავ კაცსაც ჩააფიქრებდა ადამიანთა რაობის, მათი ფიქრების გამო. მუჰამედ ალი და ჯორჯ ფორმენი — პირველი წამებიდანვე ცხადი შეიქნა, რომ ასეთი რამ არც მანამდე ყოფილა და არც მერე იქნება.

რა თქმა უნდა, კრივის მოყვარულთ უნახავთ ბევრად უფრო ცეცხლოვანი ორთაბრძოლებიც. ახსოვთ როკი მარსიანოს დაუდგრომელი სული, ჯო ლუისის ჯადოსნური სვინგები, შუგარ რეის დახვეწილი კრივი. ახსოვთ და უნახავთ ბევრი რამ, მაგრამ ასეთი, ასე მოწოდებული, ასე მომზადებული, ამგვარად წინააღმდეგობრივი — არაფერი! მოძრაობებში დალანდული ხასიათები და მისწრაფებები, ამგვარად ჩამოქნილი და გამოკვეთილი რინგის კვადრატზე ჯერ არ ყოფილა.

ის დრო, როცა მეფენი ვიყავით...

### ბრძოლა

პირველი რაუნდი ისე ჩათავდა, რომ ალი არც კი გამოჩენილა. თითქოს, არც კი იყო რინგზე. ის ძალიან მშვიდად ირჯებოდა და ფორმენის ავად მოზუზუნე სვინგები ჰაერს ებრძოდა. პრეტენდენტს ორიოდე დარტყმა გაუვიდა. ჩემპიონის სურვილმა, აქტიურად და დაუნდობლად ეკრივა, მას გამხსნელი რაუნდი მოაგებინა. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩათვალეს დამთვლელმა მსაჯებმა. მეორე რაუნდში ალი ძველებურადვე ირჯებოდა, ფორმენის შემოტევას მოქნილობით და განუწყვეტელი მოძრაობით იცილებდა. ამ ჯერზე მას ერთადერთი დარტყმა გაუვიდა.

ასე დაიწყო და ჰაერში უკვე დატრიალდა სურნელი, თვალნათლივ ჩანდა, რომ ამ ორ კაცს ძნელად შეადარებდი ერთმანეთს. ალი მსუბუქი ნაბიჯით მიმოდიოდა, ყოველგვარი შიშის გარეშე ეკვროდა ბაგირებს, მაგრამ იქედან მშრალი გამოდიოდა. ის ურტყამდა ცოტას და ზუსტად, მაშინ, როცა ფორმენს თავისი განთქმული მანქანა ჩაერთო და დიდად არ დაგიდევდათ, საით იქნევდა მუშტებს. ეს მისი ტაქტიკა იყო — ძალას ყველაფერი უნდა დაენგრია. მაგრამ ამ შემთხვევაში, რინგზე „ყველაფერი“ არ იყო. აქ იყო მხოლოდ ალი.



რეფერი ზაკ კლეიტონი ითვლის. კინშასა დამთავრდა

პრეტენდენტი ნიკაპს მალავდა და ბაგირებთან, თითქოს სასიკვდილოდ მიმწყვდეული ავ სვირინგებს ტოვებდა ჩემპიონის სახეზე. ალი იმგვარად გადი-გამოდიოდა, რომ ფორმენი მართლაც ზანდუკი გეგონებოდათ. „თუ დაეწია, სპილო გაჭყლეტს ქურციკს. მაგრამ სპილო ვერასოდეს დაეწევა ქურციკს“ — ალის უყვარდა ასე ლაპარაკი, ქურციკს სარბენად მთელი სავანა ჰქონდა, აქ კი ერთი ბეწო, კინშასას სტადიონზე ჩადგმული ფიცარნაგი. ალი მშვენივრად ეტეოდა მისთვის გამოყოფილ საზღვრებში. ფორმენი სივრცეს ვერ ითვისებდა.

მეოთხე რაუნდის შემდეგ მთელი მსოფლიოს ტელე და კინო ეკრანებზე ჩანდა აქოშინებული ჯორჯ ფორმენის შესიებული სახე. საკეპ მანქანას დანა უცვდებოდა, ძალიან ძარღვიანი ხორცი შეხვდროდა. ცხადი იყო, ალის ტაქტიკა უფრო ეფექტური ჩანდა, ვიდრე დიკ სედლერის მიერ დაქოქილი ბულდოზერი.

ფორმენი ათჯერ იქნევდა და ერთს არტყამდა, ალი ორს მოიქნევდა და ორივე ზუსტი იყო. პრეტენდენტი ქულებს აგროვებდა. რინგზე ძველი ჩემპიონი იდგა. იყო წამები, როცა 32 წლის მუჰამედ ალის ვერ გამოარჩევდი 25 წლის კასიუს კლეისგან.

ეს აღმოჩენა იყო — ერთგვარი მოულოდნელობა.

მეხუთე რაუნდი — ახლა ფიქრობენ, რომ სწორედ ეს რაუნდი იქცა ფორმენის დრამის დასაწყისად: ბაგირებისკენ უკანდახეულ ალის გამოსვლა გაუჭირდა. ლამის ერთი წუთის განმავლობაში ჩემპიონი გასაქანს არ აძლევდა მას. ურტყამდა და ურტყამდა ტანსა და თავში. მაგრამ ალი გადარჩა. მან მოახერხა და ბევრი მუშტი შეაჩერა.

რაუნდის მიწურულს ალი მოულოდნელად აფეთქდა! ის მარჯვენათი მისწვდა ფორმენს თავში და ზედიზედ რვა-ათი დარტყმა მიაყარა თავ-პირში. აშკარა იყო, რომ ჩემპიონს ძალიან უჭირდა. ეს რომ ცოტა მოგვიანებით მომხდარიყო, ფორმენი წაიქცეოდა.

მეექვსე რაუნდში ფორმენი კვლავ თავდაუზოგავად უტევდა, ალი კი იოლად იყენებდა მის მოქანცულობას და თავში ახვედრებდა. ჩემპიონს ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა და თავისსავე შეტევაზე აგებდა. ამ რაუნდის ბოლოსაც თითქმის იგივე განმეორდა. ალიმ გამოიჭირა მთაკაცი და ისეთი „ერთი-ორი“ დასცხო, რომ უკვე აღარავის დაუტოვა ეჭვის საბაბი — ბრძოლის ნახევარიც არ გალეულიყო და გამარჯვებული აშკარად ჩანდა.

მეშვიდე რაუნდი მშვიდი იყო, მოკრივენი ბრძოლით ისვენებდნენ, თუმცა ფორმენი კვლავ ჰაერს ეომებოდა.

### ნოკაუტი

სეკუნდანტი ზურგში უბიძგებს მოქანცულ, თავპირდასიებულ და დაბნეულ ფორმენს, მიდიო. ფორმენი რინგის შუაგულში გამოდის. მარჯვენა თვალი ჩაშავებული და თითქმის დახუჭული აქვს. მერვე რაუნდი იწყება და ჩანს, რომ ჩემპიონი ძალის მოკრებას ცდილობს. ალი კვლავ მოუსვენარია, მარჯვენათი მოკლე დარტყმებს სთავაზობს მოწინააღმდეგეს და კარგად ხმარობს ცაცას. მდგომარეობა ისეთია, რომ ახალს არაფერს უნდა ელოდე, ეს რაუნდი საოცრად ჰგავს წინას. და უცებ, ფორმენი შეტევას გადაწყვეტს. ის კუთხეში მიიმწყვდევს ალის და თავში ურტყამს. თუმცა ეს არ არის მისი უროსებური მუშტი, ჯორჯი შერყეული და დაღლილია. ეს ფორმენის უკანასკნელი დარტყმაა. ალი თავს დაიძვრენს და თითქოს წამის უკვდავებას გრძნობსო, უსწრაფეს კომბინაციას ახერხებს: მარცხენა და მარჯვენა ნიკაპში და კიდევ ერთხელ! არაადამიანური სისწრაფის ოთხი დარტყმა.

ეს ამხელა გოლიათი ბაგირებს ახლოს ენარცხება და ცალი თვალით ასცქერის აფრიკულ ზეცას. ზაკ კლეიტონი აწ უკვე ყოფილი ჩემპიონის წინაა ჩამუხლული და ითვლის... „ათი! აუთ!“

ასე მთავრდება დიდი შერკინება — მუჰამედ ალი იბრუნებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს მძიმე წონაში და რაც მთავარია, ამარცხებს ყველას და ყველაფერს, ამარცხებს განვლილ უმოქმედობის წლებს, ამერიკის შეიარაღებულ ძალებს, ენამწარე საკრივო მწერლებს, ამრეზით მოცქერალ ადამიანებს, მთელს მსოფლიოს... მთელი მსოფლიო ეკრანებთან ზის, დიადი კინშასა, განუმეორებელი და დაუვიწყარი ჯუნგლის ისტორია მთავრდება... ენაუნსერი კვლავ რინგზეა. „მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მუჰამედ ალიმ. ის მეორე მოკრივეა მძიმეწონოსანთა ბრძოლის ისტორიაში, ტიტული რომ დაიბრუნა!“ — გაჰკივის ის.

— მე მეფე ვარ! მე მეფე ვარ! — ყვირის ალი.

ჯორჯ ფორმენი კი გულაღმა წევს რინგზე. დიდი ხანი, მთელი 15 თვე გაივლის, სანამ ის კვლავ გამოვა რინგზე. ამ ხნის განმავლობაში ფორმენს ვერ შეხვდებიან ჟურნალისტები და არავის ეცოდინება, რას ფიქრობს იგი. მერე კი ფორმენი იტყვის:

— ორმოცი ბრძოლა ისე გავლიე, რომ არაფერი ვიცოდი მარცხის შესახებ. ბოლოს იატაკს დავენარცხე და მივხვდი, რაც არის წაგება. თუმცა, მე ვერასოდეს დავივიწყებ კინშასას, ვერ დავივიწყებ და ვერც შევეგუები.

ალი კი თავისებურად ჭიკჭიკებდა:

— შემდეგ ბრძოლაში ათ მილიონს მოვითხოვ. ხუთი გადასახადებში წავა. ორს ჩემს მწვრთნელს და სპარინგ-პარტნიორებს გავუნაწილებ, სამი კი ზანგებისთვის საავადმყოფოს აშენებას მოხმარდება...

„დიადი კინშასა“ კი დასრულებულიყო. დასრულებულიყო დონ კინგის და შვეიცარიელი ჯუჯების მიერ დადგმული დაუვიწყარი წარმოდგენა, რომელიც თითქოს იმისთვის გათამაშდა, რომ მთელი მსოფლიოს ადამიანები ნახევარი საათით მაინც გაეერთიანებინა მოციმციმე ეკრანების გარშემო, აეძულებინა ისინი, გამხდარიყვნენ თავიანთი დროის შვილები და ამ დიდი ჯახის წყალობით ეფიქრათ ადამიანის, მისი ცხოვრებისა და ბედის შესახებ.

მუჰამედ ალი ჩემპიონი იყო.

### ბოლოს

ორივენი ცოცხლები არიან.

ფორმენმა ეგრეც ვერ აირჩია ხელთათმანსა და ბიბლიას შორის უფრო მიმზიდველი. ალის მოწყენილი ღიმილი და მთვლემარე გამოხედვა მის უკურნებელ ავადმყოფობას გვახსენებს. ძია ჯორჯს ქოჩორი დაუკარგავს. მოფარფატე პეპელას სხვები ეხმარებიან სიარულში. ორივე დიდი ხანია იქცა სიმბოლოდ — იმ არეული 70-იანი წლების უპირველეს სამკერდე ნიშნად.

უყურებ ამ ჩასუქებულ ძიაკაცებს და ისევ იქ ბრუნდები — მეოთხედი საუკუნის წინანდელ აფრიკაში, მოუწყობელ, ხმაურიან ქალაქში, სადაც გათამაშდა გრძნობათა, ხასიათთა და პრინციპთა უდიდესი ორთაბრძოლა — ომი ორი დიადი მებრძოლისა. და გჯერა: არ ყოფილა ასეთი ღამე ბაგირებით შეკრულ ადგილას. არ ყოფილა და არც იქნება.




როცა მეფენი ვიყავით

# თავრიზიდან დიდი პრიზით

— იცოდეთ, ირანელ ხალხს უყვარს ედუარდ შევარდნაძე, დიდ პატივს სცემს მას, გულითადად გილოცავთ პრეზიდენტის გადარჩენას — ასე მიმართა ქალაქ თავრიზის მერმა თავი ზადემ ქართველ ბალახის ჰოკეისტებს. ჩვენი ბიჭები ამ ქვეყანაში ისლამური რევოლუციის გამარჯვების მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე იყვნენ მიწვეულნი. ამ ტურნირს ჰამადანი მასპინძლობდა. ჩვენებმა აქ რომ იასპარეზეს, მერე თავრიზში გადაინაცვლეს და თავიც ისახელეს — პირველი ადგილისთვის დაწესებული მშვენიერი პრიზით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ შინ. რაღა გავაგრძელოთ, სჯობს, ირანული ამბების თვითმხილველის, საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტის თემურ არჩაიას ნაუბარს მივენდოთ.



თემურ არჩაია

— დავიწყოთ იმით, რომ ირანში ჩვენ, ფაქტობრივად, ერთი გუნდით — ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონით, ქუთაისის „იმერეთით" გავემგზავრეთ. ქალაქ ჰამადანში საერთაშორისო ტურნირში სასპარეზოდ ათზე მეტი ქვეყნის გუნდი იყო მიწვეული, მაგრამ მოხდა ისე, რომ იქ მხოლოდ ამიერკავკასიის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. აბა, ტურნირი ხომ არ ჩაიშლებოდა და, ორგანიზატორებმაც ჩვენ და აზერბაიჯანელებს გვთხოვეს, იქნებ ორ-ორი შემადგენლობით ითამაშოთო. სხვა რა გზა გვქონდა, დავთანხმდით. მეორე გუნდში ახალგაზრდა ჰოკეისტებს მოვუყარეთ თავი. საბოლოოდ, მონაწილენი ორ ქვეჯგუფში დალაგდნენ. პირველში მოხვდნენ ირანის პირველი და მეორე ნაკრებები, აზერბაიჯანი და „იმერეთი", მეორეში — ჰამადანის კლუბი, სომხეთი, პირობითად საქართველოს მეორე და აზერბაიჯანის ახალგაზრდული გუნდები. რა უნდა ვთქვა? ამ ტურნირით მეტად უკმაყოფილონი დავრჩით. ერთი მხრივ, ჩვენი ბიჭების თამაშმა გაგვაწბილა, მეორე მხრივ ყოვლად უმსგავსო, არაობიექტურმა მსაჯობამ. ჩასვლის დღესვე სასტუმროში დაბინავებაც კი ვერ მოვასწარით, რომ ფავორიტ ირანის პირველ გუნდს შეგვახვედრეს. თავიდან ბრძოლა თანაბარი იყო, მაგრამ მეორე ტაიმში ბიჭებს დაღლა დაეტყოთ და ირანელთა უპირატესობაც აშკარა გახდა. მოკლედ, „იმერეთმა" 2:9 წააგო. შემდეგ ირანის მეორე ნაკრებთან გვქონდა საქმე. აქ დაგვმართეს, რაც დაგვმართეს.

ანგარიში მახათაძემ გახსნა, თუმცა მსაჯის წყალობით მეტოქემ უმალ გაათანაბრა. ჩვენებმა მაგრად შეუტიეს. სულ მცირე, ხუთი პენალტი მაინც გვეკუთვნოდა, მაგრამ ვინ გალირსა? ტაიმის დამთავრებას ხუთი წუთი აკლდა, ზაზა ჩარკვიანს და ჯავახაძეს ნერვებმა უმტყუნა, სომეხ მსაჯს შეეკამათნენ. ეგრე არ უნდაო და, მანაც ჩვენებს 5-5 წუთით დაატოვებინა მოედანი. ინდორ (დარბაზის) ჰოკეიში რიცხობრივი, მითუმეტეს, ორკაციანი უპირატესობის გამოყენება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს და მეტოქემაც კარგად გამოიყენა ეს შანსი. 5 წუთში ოთხი ბურთი გაგვიტანა, მეორე ტაიმში კი შეინარჩუნა სხვაობა. საბოლოოდ 2:6 დავმარცხდით და ფინალურ ეტაპზე გასვლის იმედიც დაიკარგა. აზერბაიჯანელებთან აღარ გვითამაშია. ჩვენმა ახალგაზრდებმაც ორი შეხვედრა გამართეს და ორივე დათმეს, ჯერ აზერბაიჯანთან (3:10), მერე ჰამადანთან (2:8). ამ ტურნირის ფინალში ერთმანეთს ირანის პირველი და მეორე გუნდები შეებრძოლნენ. პირველმა 5:2 იმარჯვა. მესამე ადგილისთვის ჰამადანმა სომხეთს 3:2 მოუგო.

შესაძლებლობა მოგვეცა და ჰამადანიდან თავრიზში გადავინაცვლეთ, სადაც მსგავს ტურნირში ჩავებით. აქაც ქვეჯგუფები შეიქმნა. ჩვენი ორი გუნდი ირანის მეორე და აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად იბრძოდა მომდევნო ეტაპზე გასასვლელად. სტარტზე ჩვენები ერთმანეთს შეხვდნენ. „იმერეთმა" 2:1 მოიგო. მეორე გამარჯვება ბიჭებმა აზერბაიჯანელ ახალგაზრდებთან მოიპოვეს, დიდი ანგარიშით 3:0 სძლიეს მეტოქეს. მესამე მატჩი „იმერეთს" უკვე ნაცნობ ირანის მეორე ნაკრებთან ჰქონდა. ჩვენებს რევანში სწყუროდათ, არც მოწინააღმდეგე აპირებდა დათმობას და თამაშიც უაღრესად დაძაბული გამოდგა. სვანიძემ და ჯავახაძემ ორი ბურთით დააწინაურეს თავისიანები, მაგრამ ირანელებმა გაათანაბრეს ანგარიში და უფრო მეტიც, წინაც გაუდნენ. შემდეგ სვანიძემ (ორჯერ) და თოდრიამ ისახელეს თავი — 5:3. მაგრამ გავიდა მცირე დრო და ანგარიში ისევ გათანაბრდა. ფინალურ სასტვენამდე ორიოდ წუთი იყო დარჩენილი, რომ კვლავ ჩვენმა ბიჭებმა იმარჯვეს. ზაზა ჩარკვიანის და სვანიძის ზუსტმა დარტყმებმა „იმერეთის" სასარგებლოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი — 7:5. ქუთაისელები ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ. ჩვენმა ახალგაზრდებმა ირანის მეორე ნაკრებთან 2:6, ხოლო აზერბაიჯანელ თანატოლებთან 0:1 წააგეს.

მეორე ქვეჯგუფში თავრიზის, აზერბაიჯანის და ირანის ახალგაზრდულმა გუნდებმა ერთმანეთში შეთანხმებულებივით 2:2 ითამაშეს. ყველაფერს მათი სომხეთთან მატჩების შედეგები წყვეტდა. აქ კი ასეთი სიტუაცია იყო: თავრიზმა მას 4:2 მოუგო, აზერბაიჯანმა — 3:2. სათამაშო რჩებოდა ირანი (ახალგაზრდული) — სომხეთი, მაგრამ ეს მატჩი არ შედგა. სომხებმა ტურნირი მატოვეს. დებულების თანახმად, ირანის ახალგაზრდულ ნაკრებს 3:0 გამარჯვება და ამასთან ერთად ქვეჯგუფში პირველი ადგილი მიეკუთვნა.

გადამწყვეტი შეხვედრა „იმერეთსა" და ახალგაზრდა ირანელებს შორის უშელავათო ბრძოლას გვპირდებოდა. ეს ვარაუდი დადასტურდა. მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ვერც ერთმა მხარემ ვერ გადაწონა და პირველი ტაიმიც უშედეგოდ გაილია. სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ ჩვენებმა იყოჩაღეს და მეტოქის წინააღმდეგობა გატეხეს. ქუთაისელთა ლიდერმა სოსო სვანიძემ შავი დღე აყარა ირანელებს. მან სამი ბურთი შეაგდო. ერთიც თოდრიამ მიამატა და საბოლოოდ „იმერეთმა" დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია — 4:0. ეს იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ ქართველმა ჰოკეისტებმა პირველად მიიგეს ასეთი დონის საერთაშორისო ტურნირი. აღსანიშნავია, რომ სოსო სვანიძე 7 ბურთით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მესამე ადგილისთვის თავრიზმა 4:2 სძლია ირანი-2.

შუა თებერვალს ჩვენს ირანულ ვიზას ვადა გასდიოდა, თორემ იქაური ბალახის ჰოკეის ფედერაციის თავკაცმა თეირანსა და ყარმანშაჰში მიგვიპატიჟა სათამაშოდ. იქ თამაში მართლაც არ გვაწყენდა, მაგრამ რა გაეწყობოდა, რაც შევძელით, ამ ეტაპზე ესეც საკმარისია.

**— თავრიზში გამარჯვება მართლაც მოსალოცი ამბავია. მით უფრო იმ დიდი ასპარეზობების წინ, რომლებიც ქართველ ჰოკეისტებს წლეულს უწევთ. უახლოეს გეგმებზე რას გვეტყოდით?**

— ადრეც მითქვამს, საქართველოს ნაკრებს შოტლანდიაში ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის საგზური აქვს მოპოვებული. ეს პრესტიჟული შეჯიბრება ამ ზაფხულს, ივლისში გაიმართება. ჩვენ კი ჯერაც არ ვიცით, მოვახერხებთ თუ არა იქ გამოსვლას. დიდი ხანია, დამფინანსებელს ვეძებთ, მაგრამ უშედეგოდ. 4-11 აგვისტოს მოსკოვში ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე ვართ მიწვეულნი. რა გამოვა, ვნახოთ. დაზუსტებით ჯერ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ოთხ თვეში ირანის ნაკრები გვეწვევა. ორ თამაშს ქუთაისში ვგეგმავთ, ერთსაც — ბათუმში.

**იუზა ძაციტაძე**


**იყიდება**

თეთრი, გამჭვირვალე

**ორგანული მინა**

3 და 4 მილიმეტრიანი.

ზომები: 80x120 სმ და 120x170 სმ

*ფასი შეთანხმებით*

*ტელეფონი: 95-22-56*

*38-60-88 (საღამოს საათებში)*



**გაცნობა**

**ქორწინების მიზნით**

საშუალო ასაკის (38-55 წელი) პრესტიჟული მდგომარეობის მარტოხელა ადამიანებისთვის.

შეთანხმების გარეშე კოორდინატები არ გაიცემა.

კოორდინატორს დაუკავშირდით

☎ 29-26-84

*16-დან 20 საათამდე. ასმათი.*




ეროვნული ბიბლიოთეკა






სამთო არის საცქერლად...

ნაგანოში ოლიმპიადაა. თბილისში პრეზიდენტის აფეთქებას ლამობენ. თუკი იაპონიაში საზამთრო თამაშებს ავდარმა უწია და კალენდარიც აურია, საქართველოში ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმა მშვიდობიანად დამთავრდა. ასეა თავად პრეზიდენტისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის, თორემ ტერორიზმმა დაცვის ორი წევრი მაინც შეიწირა. ტერორიზმი შორს (თუმცა, რაღა შორსაა) იყოს და თავდასხმის

# გუდაურში მარტო არ იქნებით

მეორე დღეს გუდაურში საღმრთო სიმშვიდე სუფევდა. ეს განსაკუთრებით საგრძნობი ათამდე მოჩოჩქოლე პიკეტის უკან მოტოვების შემდეგ იყო.

9 თებერვალს კომპანია „კავკაზუს თრეველიდან" შეგვეხმიანნენ და გუდაურში სამთო გამყოლთა სკოლის პრეზენტაციაზე მიგვიპატიჟეს. ამაში ურიგო აბა რა გახლდათ, მაგრამ გასაგებ მიზეზთა გამო სამშაბათს მხოლოდ სამი ჟურნალისტი გაემართა სამთო კურორტისკენ. პრეზენტაციამ დაგეგმილთან შედარებით გვარიანად კი დაიგვიანა, მაგრამ ეს დიდად არც გვიგრძნია. სპორტსასტუმრო „გუდაურში" თბილა, შუქია, ორი დახურული საჩოგბურთო კორტია, ბილიარდისა და ჩოგბურთის მაგიდებია, აქვეა კეგელბანიც და საცურაო აუზიც. არაგვის ხეობის იგავმიუწვდომელ სილამაზეზე რომ არაფერი ვთქვათ, მხოლოდ სასტუმროშიც არ მოგეწყინება კაცს მთელი დღე. ჰოდა, თუკი ოჯახური პრობლემები სულს არ გიფორიაქებს და ჯიბეზეც ქსეტად არა ხარ, ამ საოცნებო ადგილის მიტოვება იქნებ არც ისურვო. მაგრამ, რაკი ჟურნალისტთა ვიზიტის მიზანი რომანტიკულზე მეტად საქმიანი გახლდათ, მისი ასრულებაც გვიწევს.

შუადღე გადასულიყო, სასტუმრო „გუდაურის" ლიფტისკენ სათხილამურო კოსტუმში ჩაბუნებული კაცი რომ გაექანა. მისთვის, შესაძლოა, ყურადღება არც მიმექცია, რომ არ გამეგო, საბერძნეთის ელჩიაო. არ ვიცი, იქნებ იგი სულაც ჩვეული სიჩქარით მიემართებოდა საკუთარი ნომრისკენ, მაგრამ მაინც ცხადი გახლდათ, წინა ღამის ტერაქტს აეღელვებინა.

სად პრეზიდენტი და სად ელჩი, იტყვით, მაგრამ სიცოცხლე ყველასთვის ძვირფასია. მთაში მყოფ დამსვენებელს, შესაძლოა, არც ტერორისტი გადაეყაროს და არც ყაჩაღი, მაგრამ ხიფათი კი შეიმთხვიოს.

გაგონილი გექნებათ ეს ერთი შეხედვით სახუმარო ამბავი. ორი მოხევე მთაში ნადირობდა. ერთი კლდეს მოწყდა და უფსკრულში გადაიჩეხა. მეორემ ქარაფიდან ჩასძახა: ფეხ ხომ არ მიიტეხ?! — არაა!!! ხელ ხომ არ მიიტეხ?! — არაა!!! თავ ხომ არ გაიტეხ?! — დამაცა, ჩავვარდე! — იყო პასუხი.

ელჩს რომ მსგავსი რამ არ გადახდეს, ელჩს კი არა, ნებისმიერ დამსვენებელს,



ახალი დიპლომანტები უცხოელ მასწავლებლებთან ერთად

მას გამოცდილი, მცოდნე, მოხერხებული და ერთგული გამყოლი სჭირდება.

სწორედ სამთო გამყოლთა სკოლის დაარსებაზე იზრუნეს ქართულმა და შვეიცარიულმა კომპანიებმა და ამავე სკოლის არსებობას უწყობს ხელს სპორტსასტუმრო „გუდაურიც".

— ჩვენ დაინტერესებულნი ვართ საკუთარი პროდუქციის გაყიდვით. ეს კი პროფესიონალ გამყოლთა დაუხმარებლად წარმოუდგენელია. თავიდან უკვირდათ, უცხოელები რომ მოვიწვიეთ, მაგრამ რეალობა ასეთია: ტურისტი გუდაურში ჩამოსვლას რომ დააპირებს, თუ გამყოლთა ნუსხაში ნაცნობ და სანდო გვარს არ მოჰკრა თვალი, გადაიფიქრებს — ამბობს სასტუმრო „გუდაურის" დირექტორი, ძველი მოთხილამურე ვახტანგ მიქელაძე. კომპანია „კავკაზუს თრეველის" პრეზიდენტმა საბა კიკნაძემ სკოლის უახლესი ისტორიაც გაიხსენა, არც მისი შემწე სოლიკო ხაბეიშვილი, ვახტანგ მიქელაძე და შვეიცარიელი ჰერმან ბინერი დაივიწყა.

მანვე ორი დიპლომანტი ზურგჩანთებით დაასაჩუქრა და ახალ ლიცენზირებულ გამყოლებს არჩილ ცინცაძესა და გია აფაქიძეს საქმე დაულოცა.

მოხდა მცირედი დამთხვევა. შვეიცარიულ „ალპინ თრეველის" წარმომადგენელთა მთავარი საჩუქარიც ზურგჩანთები აღმოჩნდა. თუმცა ამას სათვალეები და შავი პერანგებიც მოაყოლეს. ეს უკანასკნელი მზიან ამინდში ერთობ არაპრაქტიკული კია, მაგრამ რა ვუყოთ, თუ უცხოელთა თქმითაც, ქართველებს შავი ფერი გვიყვარს.

ახალგამომცხვარ გიდთა გარდა სამადლობელი ყაზბეგელ არმაზ ჩოფიკაშვილს, გია ქუშაშვილს, დათო ქირიკაშვილს, თბილისელ ირაკლი ჭელიძეს, ვაკო დუნდუას, ბუბა სამადაშვილს და ლევან გურჩიანსაც შეხვდათ. ეს ის ერთგული ლეგიონია, ვინც სკოლას იმ 150 მოხალისისგან შემორჩა, 1993 წელს რომ დაუკავშირა თავისი მომავალი. შევსება ისევ მოდის, ორი კვირაა, რაც თუშეთიდან 18 ბავშვი ჩამოუყვანიათ. ესენი პირველად გასცდნენ ალვანს. მათ დაოსტატებას სკოლის დირექტორი დათო რაქვიაშვილი და ნიკა ერქომაიშვილი ცდილობენ. სწორედ ისინი არიან, მთამსვლელ ბიძინა გუჯაბიძესთან და ვანო ვაშაყმაძესთან ერთად, პირველი დიპლომირებული გამყოლები. ამ ლოგიკით ახალი გიდები მეხუთე-მეექვსენი არიან, მაგრამ ყოფილა კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც საქართველოში პირველი გამყოლის არსებობას გვამცნობს. დათო რაქვიაშვილის თქმით, გეოგრაფიულ საზოგადოებას 1925 წელს გაუცია ვინმე გახა წიკლაურზე ფრანგულ-ქართულ-რუსული სერთიფიკატი.

ქართველ გამყოლებს ერთიც ემაყებათ — მათი კავშირი საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანების კანდიდატია. და ეს მაშინ, როცა ამ ასოციაციის წევრი ჩვენი კავკასიონსიქთა მეზობელი არაა. მათ სიამაყეს მატებთ ერთი ფაქტიც — შვეიცარიის ბარის კანტონთა გილდია 1860 წელს შექმნილა, მაგრამ მთის კანტონთა გილდიამ მხოლოდ 1972 წელს აღიარა. აქედან იოლი მისახვედრია, რომ სამთო გამყოლებს მკაცრი და კონსერვატული კანონები აქვთ.

ახლა მთავარზეც. რა პერსპექტივა აქვს ქართველ გამყოლთა სკოლის არსებობას? მისი გამართლება უცხოელ ტურისტთა სიმრავლეა. არადა, საქართველო არა მხოლოდ თოვლიან ზამთარში მასპინძლობს ეგზოტიკის მოყვარულთ, არამედ ზაფხულშიც — ალპინისტებს. ესეცაა, მოთხილამურეთ გუდაურში ჰელი-სკი და ჰელისნოუბორდი იზიდავთ. ეს ვერტმფრენთა დახმარებით უკვალავში სრიალს ნიშნავს და მხოლოდ კანადაში, ახალ ზელანდიასა და საქართველოშია დანერგილი.

**ვახტანგ ბზიძაძე**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**



ალპინისტებსა და სამთო მოთხილამურეთ ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „გუდაური" მასპინძლობს

## აფროსნობა

# პოლ კეიარდს გული ეთანაღრება

 თუ რამ სასწაული არ მოხდა, პოლ კეიარდის ნავს პირველობას ვერვინ შეეცილება არათუ ურთულეს მეხუთე სტადიაზე, არამედ გარსაქვეყნო ნაოსნობის სულ ბოლომდეც. „ლენგვიჯი“ ისე დიდებულადაა აგებულ-აღჭურვილი და ეკიპაჟიც ისე ჩინებულადა ყავს შერჩეულ-გაწვრთნილი, რომ დღითიდღე სულ უფრო მეტად შორდება მდევრებს.

მოლიდერე სკიპერი ამბობს, ბედი მწყალობსო და მართალიცაა. მის ნავს ბარემ ერთი კვირაა ერთთავად ძლიერ ქარში უწევს ცურვა და მარდადაც მიიწევს ალთქმული მიზნისკენ. ამასობაში მდევრები ბევრჯერ შეაფერხა შტილმა.

არადა, სამხრეთი ოკეანე სწორედ რომ გრიგალებითაა ცნობილი, მეტადრე ამერიკის კიდურა სამხრეთი ალაგის — ჰორნის კონცხის მიდამოში. ეს კლდოვანი წარმონაქმნი და მისი მოსაზღვრე დრეიკის სრუტე ხომალდ-ზღვაოსანთა ნაღდი სასაფლაოა. მოგზაურობათა წიგნები ხომ ამგვარი გადმოცემებითაა სავსე.



ჰორნს „ლენგვიჯმა“ კვირას, 15 თებერვალს, გრინვიჩულად 11:14 საათზე უწია. ამან გუნდს ერთბაშად სიხარულიც მოგვარა და სევდაც. პირველი იმად, რომ გათოშილი წყლები მოილია და თუმც უკაცრიელი, მაგრამ მაინც ხმელეთი იხილა შუაგულ ოკეანეში ორკვირიანი ყურყუტის შემდეგ. მეორე იმად, რომ ჰორნამდელი ბოლო ღამეები დაუვიწყარი ყოფილა: მოწმენდილი ზეცა, მოკიაფე ვარსკვლავები, ბადრი მთვარე, 20 კვანძით ცურვა და გარდასულ დღეთა მოგონება. კონცხის შემოვლის შემდეგ სამხრეთული რომანტიკა გაქრა და თბილ წყლებში ალმა ცურვის სადაგი დღეები დადგა.

ბიჭებმაც თანდათან იგრძნეს შვება. სკიპერი ჩიოდა, შხაპს რომ ვერ ვიღებთ, ავყროლდითო. გალუმპულ ტანისამოსს ტრიუმში საშრობად რომ აწყობდნენ, იქ გაუსაძლისმა სურნელმა დაისადგურა. ამიტომ ყოფილა, რომ ყველა ლენგვიჯელს დასვენებას ისევ და ისევ გემბანზე ფუსფუსი ერჩია. რაც უნდა იყოს, სუფთა ჰაერს გადაყლაპავდა.

ილბალი ბევრს ნიშნავს, მაგრამ კეიარდი გუნდის წარმატების სხვა წანამძღვრებსაც არ ჩქმალავს. წესრიგი, რუდუნება და თავგამოდებული ნაოსნობა — აი ჩვენი წარმატების მდგენელებიო, მოუწერია ელექტრონული ფოსტით დაუდეგარ სკიპერს.

დიდი აფროსნობა რუდუნებას გულისხმობს: „ი-ეფ ლენგვიჯი“ სამხრეთ ოკეანეში

ოლ სპორტი

სხვაგვარად ვერც იქნება. სამხრეთი ოკეანე უნიკალური ადგილია დედამიწის ზურგზე. იქ, ისევე როგორც ევერესტზე ანაც საჰარაში, მხოლოდ რჩეულთ დაუდგამთ ფეხი. ამადაა, ჰორნის შემოვლის შემდეგ ყოველ ზღვაოსანს რომ გული ეთანაღრება, ვაითუ იმქვეყნად ისე წავიდე, ამ კურთხეული ადგილის ხილვა ველარ მეღირსოსო.

ახლა სხვა ნავების ამბავიც მოვყვეთ. ფიცხელი შეჯიბრი გაჩაღებულა მეორე ადგილისთვის. თავიდან „ლენგვიჯს“ ასე თუ ისე „მეჩი“ და „ტოშიბა“ მისდევდნენ, ახლა კი მათ „ინოვეიშენი“ და „მერიტ კაპიც“ შეამხანაგებიან. ამათი ურთიერთგანლაგება პოზიციათა ყოველ 6-საათა მოკითხვისას იცვლება. ბრაზილიისკენ ოთხივე ერთობ ზანტად მიიწევს. მოკლედ, სხვებისთვის მართლდება კეიარდის ვარაუდი, ატლანტის ოკეანეში შეჯიბრი ფაქტობრივად თავიდან დაიწყებაო.

სამხრეთი ოკეანე ორი მაჩანჩალას გარდა ყველამ დატოვა. „ჩესის“ ტუმბო გაუფუჭდა. ეკიპაჟი სასმელ წყალს იზოგავს და ვერც ბალასტის ავზებს ამუშავებს ხეირიანად. „სილკ კატი“ ძლიერ ქარში მიცურავს, გატეხილი ანძის შეკეთებას კი უშუაიაში (არგენტინა) ეცდება. რაც შეეხება მთლად დიაცთა ნავ „ედუკეიშენს“, მას სახელდახელოდ შეკეთებული და განახევრებული ანძა სამშაბათს ისევ გადაუტყდა და კინაღამ ნავის კორპუსიც დაუზიანა.



### უიტბრედის VII გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

Whitbread

V სტადია. ოკლენდი (ზელანდია) — სან-სებასტიანი (ბრაზილია). 1 - 23 თებერვალი (6 670 მილი)

პოზიციები (ფინიშამდე გასაცური მანძილი + ჩამორჩენა) გრინვიჩულად 06:00 საათზე (* 18:00); # ბოლო 6 სთ საშ. სიჩქარე (კვანძებად)

| იახტა | დროშა | ქ | სკიპერი | 13-II | * 14-II | 15-II | 16-II | 17-II | 18-II | 19-II | 20-II | # |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | 372 | პოლ კეიარდი (აშშ) | 2949.3 | 2412 | 2230 | 1997.1 | 1737.5 | 1432.7 | 1178.6 | 1037.2 | 9.9 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვეგია | 307 | კნუტ ფროსტადი | +117.6 | +153.8 | +187.6 | +228.6 | +322.3 | +440.8 | +598.8 | +623 | 7.4 |
| მერიტ კაპ | მონაკო | 333 | გრანტ დოლტონი (ზელ) | +107.5 | +153.9 | +185.7 | +219 | +325 | +445.2 | +604.1 | +626 | 7.3 |
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | 313 | გუნარ კრანცი | +47.6 | +94.5 | +128 | +218.3 | +317 | +444.6 | +605.2 | +626.6 | 7.1 |
| ტოშიბა | აშშ | 299 | პოლ სტენდბრიჯი (ბრიტ) | +92.9 | +121.7 | +154.6 | +212.8 | +321 | +445 | +605.7 | +629.3 | 6.7 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | 294 | დიი სმითი | +214.1 | +281.7 | +347.8 | +381.3 | +530.3 | +711.5 | +758.8 | +632.5 | 10.4 |
| ბრიუნელსანერჯი | ჰოლანდია | 96 | როი პაინერი | +212.1 | +260.7 | +310.2 | +361.3 | +499.6 | +689.7 | +750.6 | +643.7 | 13.2 |
| სილკ კატ | ბრიტანეთი | 258 | ლორი სმითი | +613.5 | +790.8 | +908.7 | +981.8 | +1041.7 | +1098.3 | +1078.2 | +1122.9 | 5.5 |
| ი-ეფ ედუკეიშენ | შვედეთი | 100 | ქ-ნი კრისტინ გიუ (საფრ) | +1180.7 | +1383 | +1427.2 | +1407.6 | +1549.3 | +1710.2 | +1801.4 | +1805 | 5.9 |

# ლაშა გეგენავა



დამწუხრებულა ქართული რაგბის თემი. სხვა რა გზა აქვს: 40 წლისას იმქვეყნად ისტუმრებს ღირსეულ წევრს, ნაღდ ვაჟკაცს, ქვეყნის ჩემპიონი კლუბის მწვრთნელს, ვისაც ყველა, მორაგბე თუ გარეშე, ლაშად იცნობდა.

ლაშა გეგენავა ერთი მოკრძალებული თბილისელი ბიჭი იყო. იმ თაობის წარმომადგენელი, სასტიკმა დროებამ ოცნებები ნაადრევად რომ დაუსაფლავა. თუ ლაშა მის კბილათავით არ წამხდარა და ბოლომდე წესივრად იცხოვრა, ისევ და ისევ მისი ინტელიგენტი ოჯახისა და უპირველესი გატაცების — რაგბის წყალობით.

განათლებით არქიტექტორი ლაშასთვის რაგბი იქცა საქმედ, მოწოდებადა და სალაღობოდ. ოვალური ბურთის სამყაროში იგი ამ 24 წლის წინ, სტუდენტობისას მოვიდა. მას აქეთ ერთგულად ემსახურა „ყოჩებს“ (უწინდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტს) ჯერ როგორც მოთამაშე, მერე კი მისი სული, გული და მთავარი მწვრთნელი.

იყო დრო, ლაშა და მისი ტყუპისცალი გუგა ქართული რაგბის დიდი იმედები რომ იყვნენ. ძმები სამგზის გახდნენ საქართველოს თასის მფლობელები, მაგრამ გარემოებათა გამო ნაადრევად მოუწიათ დამრიგებლის საპალნის აკიდება. ლაშა 25 წლისა იყო, პოლიტექნიკოსთა გუნდი რომ ჩაიბარა და მას აქეთ შეუპოვრად მიყავდა მწვერვალისკენ, ერთი ხანობა კი საქართველოს სტუდენტურ ნაკრებსაც თავკაცობდა.

შარშან „ყოჩებმა“ ქვეყნის პირველობაზე გაიმარჯვეს, დღეს კი ახალი ასპარეზი უნდა დაეპაშნიკებინათ — სათამაშოდ საფრანგეთს მიფრინავდნენ. ვერ გაფრინდნენ; უკუღმართი ბედის ძალით სანაცვლოდ მოძღვარს აბარებენ მიწას.

ერთი წლის წინ „სარბიელში“ ამ ადგილას თავმდაბალი, მარად მომღიმარი, ოპტიმისტი და ბავშვურად მიამიტი ლაშას ინტერვიუ ებეჭდა. კაცი საჯაროდ ოცნებობდა იმაზე, რასაც თანამოასპარეზეთა მხარდამხარ მალე ხორცი შეასხა. დღეს ამ, საქმედქცეულ სიტყვას ლაშას მეგობართა გულისტკივილიანი მოგონება ენაცვლება.

ქართულმა რაგბმა ერთი კოლორიტული, თავდადებული მოღვაწე დაკარგა. ამით მოგვრილი მწუხარება დიდია, მაგრამ ტკივილს ოდნავ მაინც გვიმსუბუქებს იმის ცოდნა, რომ საქმე, რომელსაც ლაშა გეგენავამ მთელი შეგნებული ცხოვრება შეალია, კვლავაც იმძლავრებს. ვაგლახ, უკვე ჩვენი ლაშას გარეშე.

საქართველოს რაგბის კავშირი

მორაგბე მეგობრები

გიორგი კობახიძე და მამუკა გიორგაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრისა და პარტნიორის, ღირსეული ქართველი კაცის

ლაშა გეგენავას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და ქართველ მორაგბეთა დიდ სამეგობროს

ქუთაისის რაგბის კლუბი „აია“ წევრები ფრიად წუხან ძველი მეტოქისა და მეგობრის, თბილისის „ყოჩების“ მთავარი მწვრთნელის

ლაშა გეგენავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

## ველორბოლა

# 6 თვე არა კმარაო!

საბჭოთა ველოსპორტის ჯილაყოფილი, აწ კი დამოუკიდებელი უზბეკეთის ზე-ვარსკვლავი ჯამოლდინ აბდუჯაფაროვი უდაოდ დიდი მრბოლია, მაგრამ ბოლო ხანს სახელი გაუტყდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ დაუდეგარი მრბოლის მწვანე კვართის სამგზის მომგები კაცი შარშანდელი „ტურ დე ფრანსიდან“ გააძევეს, რაკი დოპინგ-სინჯი ჩაუფლავდა.

33 წლის ჯამოლდინს სტეროიდების — ბრომანთანისა და კლენბუტეროლის მიღება დაუდგინეს. პირველი პრეპარატი ერთდროულად სტიმულატორი და სხვაგვარი დოპინგის შესანიღბი აგენტია, მეორე კი თან სტიმულატორია, თან სუნთქვას აცხოველებს და კუნთური მასის დახვავებასაც უწყობს ხელს.

აბდუჯაფაროვი „ტურიდან“ რომ გააძევეს, 4 ათასი შვეიცარული ფრანკით დააჯარიმეს. ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა (უსი) ცდომილის დასჯა უზბეკეთის ფედერაციას მიანდო, ამან კი დისკვალიფიკაციის ვადად ბიჭს ექვსი თვე აკმარა.

სასჯელი უსი-ს ეცოტავა და სარჩელი შეიტანა სპორტულ არბიტრაჟში, ლოზანაში (შვეიცარია) რომ ფუნქციონირებს. ამანაც განაჩინა, რომ დავაში მართალი საერთაშორისო კავშირია და არა უზბეკეთის ფედერაცია. ჰოდა, აბდუჯაფაროვიც წელს 12 ივლისამდე ველარ იასპარეზებს.

რეზო ნემსაძე

## მოტოციკლი

# აფერუმ!

ჩაშლილი პორტუგალიის დიდი პრიზის სამაგიერო ეტაპი ესპანეთს ერგო. რაკი ამ ქვეყანაში ისედაც დანიშნულია ესპანეთისა და კატალონიის დიდი პრიზები, სპორტის მამებს გვარიანი ფანტაზიის ხმობა დაჭირდათ, რათა 14 ივნისს, მადრიდიდან 30 კილომეტრით დაშორებულ „ხარამაზე“ გასამართი შეჯიბრი მოენათლათ. ჰოდა, სახელიც როგიანი მივიღეთ: „მადრიდის საქალაქო საბჭოს დიდი პრიზი“.


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები

დამცავი ჟალუზები

მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge


## ჰოკეი

# ფიოდოროვმა „ქარიშხალი“ ატეხა



როგორც იქნა, გადაწყდა რუსი თავდამსხმელის სერგეი ფიოდოროვის ბედი. 28 წლის ჰოკეისტმა, რომელიც მთელი თავისი ნჰლ-ური კარიერის მანძილზე დეტროიტის ღირსებას იცავდა, წლეულს ვერ გამონახა საერთო ენა გუნდის მესვეურებთან. ამის გამო მას, აგერ უკვე მეექვსე თვეა, არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია. მიუხედავად ამისა, რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელებმა მეამბოხე ჰოკეისტი მაინც მიიწვიეს გუნდში და არც შემცდარან. ფიოდოროვი ნაგანოში ერთ-ერთი საუკეთესოა, თავისი დიდი ოსტატობითა და მებრძოლი სულისკვეთებით იგი პარტნიორებსაც ამხნევებს. ცხადია, ეს ნჰლ-შიც შენიშნეს და გუშინწინ „კაროლინა ჰერიკეინსმა“ („ქარიშხალი“) სუპერფორვარდს სენსაციური კონტრაქტი შესთავაზა — 6-წლიანი კონტრაქტის საერთო თანხა 38 მილიონ დოლარს შეადგენს. აქედან 12 მილიონი გასამრჯელოა (ყოველ წელიწადს 2 მილიონიძ, დანარჩენი 26 კი — პრემიალურები. ერთობ კმაყოფილმა ფიოდოროვმა განაცხადა: „დეტროიტის ხელმძღვანელებს მოსაფიქრებლად ერთი კვირაღა დარჩათ. ვფიქრობ, ისინი კაროლინას თავკაცებთან მოილაპარაკებენ და ამით ორივე მხარე იხეირებს.“ „წითელფრთიანებმა“, თავდამსხმელი რომ არ დაკარგონ, იგი უახლოეს ხანს უფრო სარფიანი კონტრაქტით უნდა მოხიბლონ. ეს კი, თუ გავიხსენებთ „ფიოდოროვის საქმეს“, მეტად საეჭვოა.

# კვლავ იაპონიაში დაიწყება

ნაგანოს ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ იაპონია ჰოკეის არ გამოემშვიდობება. ნჰლ-ის მესვეურების გადაწყვეტილებით, 1998 წლის 10-11 ოქტომბერს „კალგარი ფლეიმსი“ და „სან ხოსე შარქსი“ ამომავალი მზის ქვეყანაში ორი მატჩით ახალ სეზონს გახსნიან. „ძალიან მოხარულნი ვართ, რომ ისევ დავბრუნდებით. არასოდეს დაგვავიწყდება იაპონელი ხალხის გულთბილი დახვედრა“ — თქვა ამ მოვლენისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა, რომელიც ამჟამად ნაგანოში იმყოფება. ცხადია, ნჰლ-ის იაპონიით დაინტერესებას მატერიალური საფუძველი აქვს. მისი მოედნები ოლიმპიადის დედაქალაქში მუდამ მყიდველითაა სავსე, არაერთმა იაპონელმა მოირგო ლიგის ამა თუ იმ გუნდის მაისური. ეს ყველაფერი კი, მოგეხსენებათ, ფულია.

სამველ ლარიბიანი


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის

ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი

ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი

თამაზ მიბრიაული

ტექნიკური რედაქტორი

გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ილია ბაბუნაშვილი

ვახტანგ ბზიკაძე

ზაალ გიგინეიშვილი

ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:

ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:

გიო აზვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში

იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში

დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:

გურამ დოლენჯაშვილი

ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:

ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი

გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29